ჰერბერტ მარკუზე



მარქსიზმი და რევოლუცია

ჰერბერტ მარკუზე

მარქსიზმი და რევოლუცია

თარგმანების კრებული

თბილისი 2018

პუბლიკაცია დაიბეჭდა ფრიდრიხ ებერტის ფონდის მხარდაჭერით.

პუბლიკაციაში გამოთქმული მოსაზრებები შესაძლოა არ ემთხვეოდეს ფრიდრიხ ებერტის ფონდის მოსაზრებებს.

ფრიდრიხ ებერტის ფონდის მიერ მხარდაჭერილი ნებისმიერი პუბლიკაციის კომერციული მიზნებით გამოყენება, იკრძალება ფონდის წერილობითი ნებართვის გარეშე.

ფრიდრიხ ებერტის ფონდი
სამხრეთ კავკასიის რეგიონალური ოფისი
რამიშვილის ქუჩა 4, 0179
თბილისი, საქართველო

© ფრიდრიხ ებერტის ფონდი
© სამოქალაქო აქტივიზმის კვლევის ცენტრი – CARC

თარგმანები მომზადდა პროექტის – „ალტერნატიული აკადემია: ჩაგვრის სოციალური და პოლიტიკური ასპექტები“ – ფარგლებში. პროექტი განხორციელდა „სამოქალაქო აქტივიზმის კვლევის ცენტრის“ (CARC) მიერ, „ფრიდრიხ ებერტის ფონდის“ ფინანსური მხარდაჭერით.

თარგმანების ავტორი, რედაქტორი **დავით გალაშვილი**

დაუშვებელია აქ მოყვანილი მასალების გადაბეჭდვა, გამრავლება ან გავრცელება კომერციული მიზნით „ფრიდრიხ ებერტის ფონდისა“ და „სამოქალაქო აქტივიზმის კვლევის ცენტრის“ (CARC) წერილობითი ნებართვის გარეშე

© ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობა, 2018
ISBN – 978-9941-8-0278-2

სარჩევი

მთარგმნელის წინასიტყვაობა 5

უტოპიის დასასრული..... 11

სოციალისტური ჰუმანიზმი 38

აგრესიულობა მოწინავე ინდუსტრიულ საზოგადოებებში..... 51

რევოლუციის ცნების გადასინჯვა 74

ძალადობისა და რადიკალური ოპოზიციის პრობლემა..... 87

მთარგმნელის წინასიტყვაობა

ჰერბერტ მარკუზე (1898-1979) თავისი მოღვაწეობის განმავლობაში ცდილობდა მარქსიზმის, ფროიდის თეორიისა და ჰეგელის მოძღვრების ერთმანეთთან შერწყმას. მისი ტექსტები ირეკლავს მეოცე საუკუნის საზოგადოების სიმპტომატიკას, ასევე ის ცდილობდა, რომ ხსენებული მიმდინარეობანი თანამედროვე სოციალური მეცნიერების სიბრტყეში გადაემუშავებინა. მისთვის მარქსისტული თეორია, რომელიც უნდა პასუხობდეს ახალ ისტორიულ გამოწვევებს, საჭიროებს მუდმივ რევიზიასა და გადასინჯვას. მარკუზეს ფილოსოფიური მოღვაწეობა ფრაიბურგში იწყება, ის თავდაპირველად, 1928 წელს, გადაიკვეთა ედმუნდ ჰუსერლთან, რომელიც ფენომენოლოგიური ტრადიციის ერთ-ერთი თვალსაჩინო წარმომადგენელი გახლავთ, ხოლო შემდეგ 1932 წელს მარტინ ჰიადეგერის ხელმძღვანელობით სწორედ ჰეგელის შესახებ, „ჰეგელის ონტოლოგია და ისტორიულობის თოერია“ (Hegels Ontologie und die Theorie der Geschichtlichkeit), წერს დისერტაციას. მარკუზემ ჰაიდეგერთან თანამშრომლობა 1933 წელს დაასრულა და შემდეგ წელს ამერიკაში გაემგზავრა, მისი ყველაზე ცნობილი ნაშრომები სწორედ აქვე გამოქვეყნდა, მათ შორის აღნიშვნის ღირსია „გონება და რევოლუცია“ (1940), „ეროსი და ცივილიზაცია“ (1954), „ერთგანზომილებიანი ადამიანი“ (1964). „გონება და რევოლუცია“ მარკუზემ ჰეგელის და მარქსის საკმაოდ მრავალშრიან და ღრმა ანალიზს მიუძღვნა. მარკუზე ტექსტში აღნიშნავს, რომ ჰეგელის რეაქტუალიზება ნეგატიური აზროვნების მნიშვნელობის ხაზსგასმითვის უმნიშნელოვანესი რამაა, ჰეგელი კი ასე განსაზღვრავს მას(ნეგატიურ აზროვნებას): „ჭეშმარიტად, აზროვნება არის იმის არსებითი უარყოფა, რაც ჩვენს წინ უშუალოდაა“. მარკუზე წუხს, რომ

პოზიტიური მეცნიერება დაცლილია წინააღმდეგობებისგან, რაც სამყაროსთვის არსებით მახასიათებლად შეგვიძლია მივიჩნიოთ. შეიძლება ითქვას, რომ იმდროინდელი სოციალური მეცნიერებებიც კი, უკუაგდებდნენ დიალექტიკურ მეთოდს: „დღეს, აზროვნების დიალექტიკური მეთოდი უცხოა უნივერსალური დისკურსისა და ქმედებისათვის, ასე ჩანს, რომ ის ეკუთვნის წარსულს და გაბათილებულია ტექნოლოგიური მიღწევებით“. მარკუზეს ადრეული მიმართებანი, არსებული სოციალური და ეკონომიკური გარემოს უფრო ბასრ კრიტიკად გარდაიქმნა, აუცილებლად უნდა აღინიშნოს ის ფაქტი, რომ მისი კრიტიკა მეტწილად მარქსის თეორიაზე დგას, თუმცა „ეროსსა და ცივილიზაციაში“ მან სცადა ფროიდის ფსიქოანალიტიკური ცნებებით აეხსნა საზოგადოებაში მიმდინარე მოვლენები. კრებულში არსებული ტექსტები ძირითადად ავტორის გვიანდელი პერიოდის შეხედულებებს შეიცავს, მარკუზე ცდილობს, რომ მარქსის რევოლუციის ცნება არსებული სოციუმის კონფიგურაციას მოარგოს. მისთვის საკმაოდ კრიტიკულია რევოლუციური აგენტის/სუბიექტის პრობლემა, რომელიც მეოცე საუკუნის საზოგადოებაში ჩაკარგული და არსებულ სისტემასთან ინტეგრირებულია. მარკუზე ასევე ბევრს საუბრობს ახალი ადამიანური საჭიროებების შესახებ, რომელიც ძველისგან თვისებრივად განსხვავებული უნდა იყოს. მარკუზე (მისი რევოლუციის ცნება) ემანსიპირებული საზოგადოების აშენების წინაპირობად არამხოლოდ კაპიტალიზმის დამხობას მიიჩნევს, თავისივე ინსტიტუციებითა და კულტურული პროდუქტებით, არამედ „ახალი ადამიანის შექმნას“, რომელიც ბიოლოგიურ დონეზე უარყოფს გვიანდელი კაპიტალიზმის ავადმყოფ საზოგადოებას. მისთვის აუცილებელია ადამიანის ცხოვრების ალტერნატიული ონტოლოგიის წარმოქმნა. ასევე უნდა ითქვას, რომ წინამდებარე ტექსტებში წამოჭრილი პრობლემები ბიოპოლიტიკური განზომილების მატარებელია, რომელიც ფუკოს გვიანდელ არტიკულაციებთან ერთად, შეიძლება მივიჩნიოთ, როგორც დომინაციის, მანიპულაციისა და კონტროლის საკმა-

ოდ ღრმა ანალიზი. გვიანდელ კაპიტალიზმში ტექნოლოგიების განვითარების არსებული ტემპი, საკმაოდ კომფორტულ ნიადაგს ქმნის კონტროლის ახალი მექანიზმების დასანერგად.

მარკუზე ასევე ოპოზიციურად იყო განწყობილი სტალინისტური რეჟიმის მიმართ, რომელსაც ის მიიჩნევდა ისეთივე მჩაგვრელ სისტემად, როგორიც იყო კაპიტალისტური სამყარო. ასევე ის აკრიტიკებდა მარქსიზმის „მეცნიერულ“ (იგულისხმება საბჭოთა მარქსიზმ-ლენინიზმი, რომელიც პოზიტივიზმის ნაირსახეობაა), დოგმატურ ფორმას და უფრო მეტად ჰეგელიანური დიალექტიკის, მარქსის ემანსიპატორული თეორიის მიმართ, რომელიც ყველა სახის დომინაციას უარყოფს, იხრებოდა. მარკუზე არის მოაზროვნე, რომელიც საკუთარი ტექსტებისა და შეხედულებების წყაროდ მარქსის ადრეულ ნაშრომებს მიიჩნევდა, თუმცა მას ასევე მიაჩნდა, რომ შრომისგან გაუცხოებული ადამიანის ონტოლოგიური სტრუქტურა კარგად შეეძლო აღეწერა ფილოსოფიის ფენომენოლოგიურ ტრადიციას, თუმცა მისი ეს ხედვა ბევრი ორთოდოქსი მარქსისტის კრიტიკის ობიექტი გახდა. მარკუზეს ღრმად სწამდა, რომ მნიშვნელოვანი იყო ადამიანის ინდივიდუალური მხარის, მისი საჭიროებების, ცნობიერებისა და პოტენციალის შესწავლა, მისთვის სწორედ ამ ასპექტების გავლით არის შესაძლებელი ემანსიპირებული საზოგადოების ჩამოყალიბება. მარკუზესთვის ასევე არსებითია ის ფაქტი, რომ ადამიანის ბუნება დამახინჯებული და რეპრესირებულია კაპიტალისტურ საზოგადოებაში, ის საკმაოდ დიდ აქცენტს სვამს ნორმალურობის კონცეპტზე, რომელიც თვითონვე, საკუთრივად შეიცავს პათოლოგიურობის ელემენტებს.

დასკვნისთვის უნდა ითქვას, რომ მარკუზეს ანალიზი საკმაოდ ხელსაყრელია 90-იან წლებში კაპიტალიზმის ტრიუმფის მიზეზების გამოსარკვევად, იმის გასააზრებლად თუ რატომ ვერ მიაღწია აქამდე არსებულმა ემანსიპატორულმა მოძრაობამ წარმატებას. ისტორია არასოდეს მეორდება და ჩვენ მუდმივად გვჭირდება კრიტიკული თეორიისა და პრაქტიკის განვითარება

და განსაზღვრა, თუმცა ჩვენ შეგვიძლია ვისწავლოთ და გამოვიყენოთ წარსულის სასარგებლო თეორიები. ჰერბერტ მარკუზეს ნაშრომები კვლავაც რელევანტურია მათთვის, ვინც დაინტერესებულია არსებული საზოგადოების რადიკალური კრიტიკით და ემანსიპატორული ალტერნატივების ძიებით.

დავით გალაშვილი

ტექსტები

ჰერბერტ მარკუზე

უტოპიის დასასრული

დღესდღეობით მსოფლიოს კონკრეტულობის, ადამიანის ცხოვრების ნებისმიერი ფორმა, ტექნიკური და ბუნებრივი გარემოს ნებისმიერი ტიპის გარდაქმნა, არის შესაძლებლობა, ხოლო ამ შესაძლებლობის ცენტრალური არეალი, ისტორიულია. დღეს ჩვენ გვაქვს იმის უნარი, რომ სამყაროს ჯოჯოხეთისკენ გავუძღვეთ და ეს კარგად გამოგვდის. ასევე გვაქვს იმის შესაძლებლობა, რომ ამ გზის საპირისპიროდ წარვმართოთ მოქმედება. ეს ნიშნავს უტოპიის დასასრულს, რაც გულისხმობს იმ იდეებისა და თეორიების ნეგაციას, რომლებიც ცნება უტოპიას იყენებს იმისათვის, რათა კონკრეტული, მკაფიო სოციო-ისტორიული შესაძლებლობები უარყოს. ასევე ეს(უტოპიის დასასრული) შესაძლოა გავიგოთ, როგორც „ისტორიის დასასრული“, რაც გულისხმობს იმას, რომ საზოგადოების ახალი შესაძლებლობები, ძველის გაგრძელებად აღარ იქნას აღქმული, ასევე არც არსებული მიიჩნეოდეს ისტორიულობის განგრძობითობად. უფრო მეტიც, ისინი უნდა მოწყდნენ ამ ისტორიულ განგრძობითობას. ასევე უნდა განისაზღვროს თვისობრივი განსხვავება თავისუფალ და ჯერ კიდევ არათავისუფალ სოციუმებს შორის, რომლებიც, მარქსის მიხედვით, მთელს განვლილ ისტორიას მხოლოდ კაცობრიობის პრეისტორიულობად აქცევენ.

მჯერა, რომ მარქსიც კი, ძალიან შემოსაზღვრული იყო პროგრესის განგრძობითობის ცნებით, ასევე მისი იდეა სოციალიზმის შესახებ, ჯერ არ განხორციელებულა, შესაძლოა კაპიტალიზმის უარყოფის ის განსაზღვრულობა, რომელიც ნავარაუდები იყო, აღარც გამოვლინდეს. ასე, რომ დღეს უტოპიის

დასასრულის კონცეპტი, სულ მინიმუმ სოციალიზმის განმარტების ახლიდან განხილვასა და გადახედვას საჭიროებს. ამგვარი განხილვა და დისკუსია უნდა დაეფუძნოს საკითხს იმის შესახებ, ეკუთვნის თუ არა სოციალიზმის განმსაზღვრელი მარქსისტული თეორიის გადამწყვეტი და საკვანძო ელემენტები, უკვე მოძველებული, ადრეული განვითარების სტადიის საწარმოო ძალებს. ეს მოძველებულობა ყველაზე ნათლად გამოხატულია, ჩემი აზრით, თავისუფლებისა და საჭიროების სხვადასხვაობაში, სადაც თავისუფლება შეცნობილი და არსებულია, მხოლოდ საჭიროების მიღმა. ეს დაყოფა გულისხმობს, რომ საჭიროების არეალი რჩება გაუცხოებული შრომის არეალის გაგებაში, რაც იმას ნიშნავს, როგორც მარქსი ამბობს, რომ ერთადერთი, რაც შეიძლება მოხდეს, ეს არის შრომის მოწყობა მაქსიმალურად რაციონალურად და შემცირებულად. თუმცა ამგვარი შრომა საჭიროების ფარგლებში რჩება, რაც ამ პროცესს არანებაყოფლობითსა და არათავისუფლად აქცევს. მჯერა, რომ ზოგიერთი ახალი შესაძლებლობა, რომელიც, თავის მხრივ, თავისუფალი და არათავისუფალი საზოგადოებების თვისობრივი განმასხვავებელია, საჭიროებების არეალში, თავისუფლების ცნების გამოჩენას ემსახურება, არამარტო შრომის პროცესისას, არამედ მის მიღმაც. თუ ამ სპეკულატური იდეის პროვოკაციული ფორმით ჩამოყალიბება გვსურს, თვალი უნდა გავუსწოროთ იმ ალბათობასაც, რომ შესაძლოა სოციალიზმმა გზა განაგრძოს მეცნიერებიდან უტოპიისკენ და არა უტოპიიდან მეცნიერებისაკენ.

უტოპია არის ისტორიული კონცეპტი. ის ხაზს უსვამს იმგვარი სოციალური ცვლილების პროექტებს, რომლებიც შეუძლებლად მიიჩნევა. შეუძლებელი რომელი მიზეზების გამო? ჩვეულებრივ, უტოპიის განხილვისას, ახალი სოციალური პროექტის განხორციელების შეუძლებლობის პრობლემა არსებობს მაშინ, როდესაც სუბიექტური და ობიექტური ფაქტორები მოცემული სოციალური სიტუაციისა, გარდაქმნების გზაზეა-როცა სოციალური სიტუაცია მოუმწიფებელია. კომუნისტური პროექტები საფრანგეთის

რევოლუციის განმავლობაში და სოციალიზმი ყველაზე მაღალ განვითარებულ კაპიტალისტურ ქვეყნებში, წარმოადგენენ იმ სუბიექტური და ობიექტური ფაქტორების სავარაუდო ან რეალურ არ არსებობას, რომლებიც საზოგადოებრივ გარდაქმნას, შეუძლებლად მოიაზრებენ.

სოციალური გარდაქმნის პერსპექტივას შეუძლებლად კიდევ იმიტომ მიიჩნევენ, რომ ის ეწინააღმდეგება გარკვეულ ფუძემდებლურ კანონებს, ბიოლოგიურ და ფიზიკურ კანონზომიერებებს. მაგალითად, ისეთი პროექტი, როგორიცაა უკვე ყავლგასული იდეა სამუდამო ახალგაზრდობისა, ან ოქროს ხანის დაბრუნების მცდელობა. მჯერა, რომ უტოპიას მხოლოდ ნახსენები მნიშვნელობით ვიყენებთ, უტოპიაში მოვიაზრებთ მხოლოდ იმას, რაც ბუნების კანონებს ეწინააღმდეგება. მხოლოდ ასეთი მცდელობაა უტოპიური, ეს მცდელობა ისტორიულობის მიღმაა, მაგრამ ისტორიულობის უგულებელყოფაც, ისტორიულ ლიმიტებშია მოქცეული.

მეორე ჯგუფის პროექტებისთვის, რომელთა შეუძლებლობა ხსენებული სუბიექტური და ობიექტური ფაქტორების არ არსებობის მიუხედავად მაინც აქტუალურია, საუკეთესო შემთხვევაში შესაძლოა აღინიშნოს, განისაზღვროს, როგორც დროებით შეუძლებლობად. ამგვარი პროექტების შეუძლებლობის კარლ მანჰეიმისეული კრიტერიუმები, მარტივი მიზეზის გამო არაადაკვატურია, თუნდაც დავიწყოთ იმით, რომ შეუძლებლობა თავის თავს, მხოლოდ ფაქტობრივი ხდომილების შემდეგ ამჟღავნებს. გასაკვირი სულაც არაა, რომ სოციალური გარდაქმნების პროექტები შეუძლებლად განისაზღვრება იმის გამო, რომ მათი რეალიზება ისტორიულ პროცესში არ მომხდარა. ასევე არსებობს მეორე არგუმენტიც იმისა, თუ რატომ არის შეუძლებლობის ნახსენები განსაზღვრება არაადეკვატური. ხშირად, კარგ შემთხვევებშიც კი, რევოლუციური პროექტის განხორციელებისას, მას წინ ეღობება კონტრტენდენციები, კონტრძალები, რომლებიც აფერხებს გარდაქმნის მიმდინარეობას და მისი დაძლევა სწორედ ამ რევო-

ლუციური პროცესისას ხდება. ამ მიზეზით, საეჭვოა, რომ სპეციფიკური სუბიექტური და ობიექტური მიზეზების არარსებობა, ქმნიდეს რადიკალური ტრანსფორმაციის შემძლეობის მიმართ წინააღმდეგობას. მინდა შევეხო საკითხს, რომელიც განსაკუთრებულია და რომელზეც ყველაზე მეტად უნდა ვკონცენტრირდეთ, ის ფაქტი, რომ მაღალ განვითარებულ კაპიტალისტურ ქვეყნებში, რევოლუციური კლასი არ არსებობს, არ ნიშნავს იმას, რომ მარქსიზმი უტოპიაა. რევოლუციის სოციალური აგენტები, ორთოდოქსი მარქსისტები, ფორმირდებიან მხოლოდ თავიანთი თავის გარდაქმნის პროცესში და ვერავინ დამისახელებს მზა რევოლუციურ ძალას, რომელიც წინააღმდეგობის მოძრაობის დასაწყისში უკვე ჩამოყალიბებული სახით არსებობდა. მაგრამ, ჩემი აზრით, არსებობს ერთი ვალიდური კრიტერიუმი შესაძლო რეალიზაციისათვის, სახელდობრ, როდესაც მატერიალური და ინტელექტუალური გარდამქმნელი ძალები თავმოყრილია, მიუხედავად იმისა, რომ მათი რაციონალური გამოყენების უფლებას არსებული მწარმოებელ ძალთა ორგანიზაციები არ ანებებენ მოწინააღდეგეებს. ამ თვალსაზრისით, მე მჯერა, რომ ჩვენ დღეს შეგვიძლია ღიად ვისაუბროთ უტოპიის დასასრულზე.

ყველა მატერიალური და ინტელექტუალური ძალა, რომელიც საჭიროა თავისუფალი საზოგადოების იდეის განსახორციელებლად, ჩვენს ხელთაა. მაგრამ ეს ძალები არ გამოიყენება იმ მიზნით, რომ მოხდეს ტოტალური მობილიზება არსებული საზოგადოების წინააღმდეგ, თავისივე თავის გასათავისუფლებლად. მიუხედავად ამისა, ეს ვითარება სულაც არ ქმნის განცდას, რომ რადიკალური ტრანსფორმაციის იდეა უტოპიაა.

სიღარიბისა და მიუსაფარობის აღმოფხვრა, ჩემი თვალსაზრისით, შესაძლებელია, ასევე ვფიქრობ გაუცხოებისა და „ჭარბი რეპრესიის“ აღმოფხვრაზეც. ბურჟუაზიულ ეკონომიკებშიც კი, ცოტაა იმ მეცნიერთა და მკვლევართა რაოდენობა, რომლებიც უარყოფენ, რომ შიმშილისა და გაჭირვების აღმოფხვრა, დღევანდელი რესურსებითა და საწარმოო ძალების საშუალებით შე-

უძლებელია, ასევე ვერ უარყოფენ იმ ფაქტს, რომ არსებული პოლიტიკა გლობალური რეპრესიული სოციუმის ნაყოფია. მიუხედავად ამისა, ვთანმხდებით, რომ ჩვენთვის საკმარისად ნათელი არ არის ტექნიკური შესაძლებლობების გავლენა სიღარიბისა და გაჭირვების აღმოფხვრის პროცესში. საქმე იმაშია, რომ ეს ისტორიული შესაძლებლობები მოაზრებული უნდა იყოს ისეთ ფორმებში, რომლებიც წყვეტის მიმანიშნებლები უფრო არიან, ვიდრე წინარე ისტორიულობის გაგრძლების, შესაძლებლობები ამ ისტორიულობის უარმყოფელნი უნდა იყვნენ და არა მათი პოზიტიური გამგრძელებლები. ისინი მიანიშნებენ ადამიანის მატერიალური ბაზისის ეგზისტენციალური განზომილების გათავისუფლებაზე, საჭიროებების გარდაქმნაზე.

საქმე ეხება ახალი თეორიის შექმნას ადამიანის შესახებ, არა მხოლოდ თეორიას, არამედ არსებობის ახალ ფორმას. გენეზისი და განვითარება სასიცოცხლო საჭიროებებისა თავისუფლებისთვის და თავისუფლების სასიცოცხლო საჭიროებებისთვის, თავისუფლებისთვის, რომელიც აღარ დაემყარება და შემოიზღუდება დამცრობილობით, არც გაუცხოებული შრომის საჭიროებით. ახალი ადამიანური საჭიროებების თვისობრივი განვითარება ბიოლოგიურ საჭიროებად მოსჩანს. განვითარებული კაპიტალისტური ქვეყნების მანიპულირებადი მოსახლეობის უდიდესი ნაწილისთვის, თავისუფლება აუცილებლობა არ არის და ალბათ არც იქნება სასიცოცხლო საჭიროება. ამ სასიცოცხლო საჭიროების გასწვრივ, ადამიანის შესახებ ახალი თეორია გულისხმობს ახალი მორალის წარმოშობას, როგორც მემკვიდრეს და უარმყოფელს ქრისტიანულ-იუდეური მორალისა, რომელიც დასავლური ცივილიზაციის ისტორიისათვის ნამდვილად დამახასიათებელი იყო. ეს არის ზუსტი გაგრძელება იმ საჭიროებების ხაზისა, რომელიც განვითარდა და ჩამოყალიბდა რეპრესიულ საზოგადოებაში, რომელიც ისევ და ისევ თავისთავის კვლავწარმოებით არის დაკავებული. ინდივიდები აკვლავწარმოებენ რეპრესიულ საზოგადოებას საჭიროებებში, რომლებიც რევოლუ-

ციური პროცესის დროსაც არსებობენ. იდეა გულისხმობს, რომ ადამიანურ საჭიროებებს აქვთ ისტორიული ხასიათი. ყველა ადამიანური საჭიროება, სექსუალურის ჩათვლით, ცხოველთა სამყაროს საფუძველშია. ისინი ისტორიულად განსაზღვრული და მუტაციურია. ამ საჭიროებების განგრძობითობიდან მოწყდომა, რომელიც თავის თავშივეა რეპრესიულობის მატარებელი და თვისობრივი განსხვავებისკენ მიმართება, არ არის მხოლოდ გამოგონება, არამედ საწარმოო ძალის თანდაყოლილი განვითარებაა. ამ განვითარებამ მიაღწია იმ წერტილს, რომელიც ახალ სასიცოცხლო საჭიროებებს ითხოვს, რათა გაასამართლოს თავისივე შესაძლებლობები.

საწარმოო ძალის რომელი ტენდენციები გარდაქმნის რაოდენობრივ შესაძლებლობას თვისობრივად? უპირველესად, დომინაციის ტექნიფიკაცია, ძირს უთხრის დომინაციის დაფუძნებას. ფიზიკური შრომის პროგრესული შემცირება წარმოების პროცესში და ამ ფიზიკური ძალის ჩანაცვლება მენტალური შრომით, სოციალურად საჭირო შრომას იმ კლასით აკონცენტრირებს, რომელსაც შეადგენენ მეცნიერები, ტექნოკრატები, ინჟინრები და ა.შ. ეს მომენტი შესაძლოა გაუცხოებული შრომისგან გათავისუფლებადაც გვენიშნოს. რა თქმა უნდა, საკითხი ეხება მხოლოდ ტენდენციებს, მაგრამ ტენდენციებს, რომლებიც დაფუძნდნენ და არსებობას განაგრძობენ კაპიტალისტურ საზოგადოებაში. თუ კაპიტალისტებს არ გამოუვათ ამ ახალი საწარმოო ძალების შესაძლებლობების ექსპლოატაცია, შრომის პროდუქტიულობა დაეცემა მოგების საჭირო დონეზე ქვემოთ. და თუ კაპიტალისტები ყურადღებას აქცევენ ამ მდგომარეობას და მიუხედავად ამისა აგრძელებენ ავტომატიზაციას, მაშინ ეს პროცესი მათ შინაგან საზღვრებთან მოდის წინააღმდეგობაში: ჭარბი ღირებულების წყაროები გარდაქმნის მომენტში მყოფი საზოგადოების შესანარჩუნებლად, შემცირდება.

„კაპიტალში“ მარქსმა აჩვენა, რომ სოციალურად საჭირო შრომის სრული ავტომატიზაცია, შეუთავსებელია კაპიტალიზმის

შენარჩუნების პროცესთან. ავტომატიზაცია მხოლოდ გასაღები სიტყვაა იმ ტენდენციისა, რომელშიც ფიზიკური შრომა, გაუცხოებული შრომა უკან იხევს წარმოების მატერიალური პროცესიდან. ეს ტენდენცია, რომელიც თავისუფალია კაპიტალისტების ბორკილებისგან, წინ უნდა გაუძღვეს საწარმოო ძალების კრეატიულ ექსპერიმენტებს. სიღარიბის აღმოფხვრასთან ერთად, ეს ტენდენცია ნიშნავს, რომ ადამიანური და არაადამიანური ბუნების შესაძლებლობებთან თამაში, შესაძლოა სოციალური შრომის შინაარსი გახდეს. პროდუქტიული წარმოდგენა შესაძლოა გახდეს კონკრეტული სტრუქტურის მქონე საწარმოო ძალა, რომელიც თავისუფლად გამოკვეთს შესაძლებლობებს, თავისუფალი ადამიანური ყოფიერებისთვის, მატერიალურ საწარმოო ძალებთან შესაბამისობაში. იმისათვის, რათა ეს ტექნიკური შესაძლებლობები რეპრესიისთვის ხელსაყრელ პირობებად არ გარდაიქმნას, იმისათვის, რომ მათ შეასრულონ გამათავისუფლებლის როლი, ისინი მხარდაჭერილი და მართული უნდა იყვნენ გამათავისუფლებელი საჭიროებებისგან.

როდესაც არანაირი სასიცოცხლო აუცილებლობა არ არსებობს გაუცხოებული შრომის აღმოსაფხვრელად, როცა, პირიქით, არსებობს აუცილებლობა იმისა, რომ განაგრძო და გააჯიანურო შენი შრომა, თუნდაც ის სოციალურად არასაჭირო იყოს, როცა სასიცოცხლოდ აუცილებელი მხიარულება და ბედნიერება გამქრალია, როცა გადასარჩენად გესაჭიროება გამოიმუშავო რაღაც მიზერული, როდესაც სიცოცხლისთვის აუცილებელი საჭიროებები არ არსებობს, ან ისინი გასაქანს არ აძლევენ რეპრესირებულ ნაწილს, მოსალოდნელია, რომ ახალი ტექნიკური შესაძლებლობები გამოიყენონ ისევ დომინაციისათვის.

ჩვენ უკვე ვიცით, თუ რა კონტრიბუციას უწევს კიბერნეტიკა და კომპიუტერები ადამიანის არსებობის ტოტალურ კონტროლს. ახალი საჭიროებები, რომლებიც არის ძველის განსაზღვრული ნეგაცია, პირველად ჩნდებიან როგორც იმ ღირებულებებისა და საჭიროებების უარმყოფელები, რომლებიც ინარჩუნებენ არ-

სებული სისტემის დომინაციას: მაგალითად, არსებობისათვის ბრძოლის საჭიროების უარყოფა[1](ეს უკანასკნელი სავარაუდოდ აუცილებელი რამაა და საუბრები და ილუზიები არსებობისათვის ბრძოლის გაქრობაზე, ეწინააღმდეგება ბუნებრივ და სოციალურ მდგომარეობებს, რომელიც ადამიანის ყოფიერების განმსაზღვრელია), უარყოფა წარმომადგენლობის და შეჯიბრებითობის პრინციპისა, უარყოფა არარაციონალური, დამანგრეველი წარმოებისა, რომელიც მჭიდროდ დაკავშირებულია დესტრუქციასთან და უარყოფა სასიცოცხლოდ აუცილებელი [2]ცბიერი რეპრესიული ინსტიქტებისა. ეს აუცილებლობები განგდებული უნდა იყოს სასიცოცხლოდ აუცილებელი ბიოოლოგიური საჭიროებებიდან, რათა მივაღწიოთ მშვიდობას, რომელიც დღეს უმრავლესობისათვის არც ისე პირველხარისხოვანია, რათა მოვიპოვოთ სიმშვიდე, ბედნიერება. ეს ყველაფერი არამარტო ინდივიდებისათვისაა აუცილებელი მაფორმირებელი პირობა, არამედ განკუთვნილია სოციალური საწარმოო ძალისათვის.

საწარმოო ძალის ფორმისათვის, ეს ახალი სასიცოცხლო აუცილებლობა ტექნიკური რეორგანიზაციის შესაძლებლობას შექმნის, მჯერა, რომ ახალი ადამიანური ურთიერთობების დაფუძნება, შესაძლებელი იქნება მხოლოდ რეორგანიზებულ სამყაროში. როდესაც ვსაუბრობ ტექნიკურ რეორგანიზაციაზე, ხაზს ვუსვამ კაპიტალისტურ ქვეყნებს, რომლებიც საკმაოდ განვითარებულნი არიან და სადაც რესტრუქტურალიზაცია ნიშნავს კაპიტალისტების ინდუსტრიული ტერორისა და კომერციალიზაციის აღმოფხვრას, დიდი ქალაქების გარდაქმნას და იმ ბუნების აღდგენას, რომელიც კაპიტალისტებმა საშინელი გზებით გაანადგურეს ინდუსტრიალიზაციის პროცესში. იმედი მაქვს, ჩემი საუბარი კაპიტალისტების საშინელი ქმდებების შესახებ ინდუსტრიალიზ-

---

[1] მარკუზეს სურს აჩვენოს, რომ არსებობისათვის ბრძოლა არსებული ეკონომიკური წეს-წყობილებისთვის დამახასიათებელი ფაქტორია და ახალი ტიპის საჭიროებაში მიდი ადგილი აღარ უნდა იყოს, ის უნდა გადაილახოს.

[2] აქ საუბარია არსებულ სისტემაში აუცილებელ სასიცოცხლო ინსტიქტებზე.

აციის პროცესში, თქვენში არ იწვევს იმ ასოციაციას, თითქოს მე ტექნიკური რეგრესის მომხრე ვარ. პირიქით, მჯერა, რომ ტექნოლოგიების გამათავისუფლებელი ძალა, იქამდე არ იქნება ხილული, სანამ კაპიტალისტური წარმოების წესი არ გაქრება.

თავისუფლების ხარისხს, რომელიც მე უკვე ვახსენე, ჩემი აზრით, უკანასკნელ განხილვებში სოციალიზმის შესახებ, სათანადო ყურადღება არ ეთმობა. მემარცხენეებისთვისაც კი, ცნება სოციალიზმი მეტწილად განიხილება საწარმოო ძალების განვითარების ჩარჩოებში, შრომის პროდუქტიულობის ზრდაში, იმ სივრცეში, რომელიც არამხოლოდ ამართლებდა ასეთ მიდგომას, არამედ ავითარებდა მეცნიერულ სოციალიზმს, თუმცა დღეს ერთი რამ იმსახურებს მცირე ყურადღებას. ახლა ჩვენ, ყოველგვარი მორიდების გარეშე, რამდენადაც სასაცილო შეიძლება იყოს ეს, უნდა ვცადოთ და განვსაზღვროთ თვისობრივი განსხვავება სოციალისტურ, როგორც თავისუფალ, და არსებულ საზოგადოებას შორის. და ზუსტადაც, თუ ჩვენ ველით კონცეპტს, რომელიც გვაჩვენებს თვისობრივ განსხვავებას სოციალისტურ საზოგადოებასა და არსებულს შორის, ესთეტიკურ-ეროტიკული ზმანება სპონტანურად ამომიტივტივდება გონებაში, ცნება ესთეტიკური, თავისი ორიგინალური განმარტებით, სახელდობრ, როგორც გრძნობების აღქმისა და ადამიანური ცხოვრების კონკრეტული განზომილების ფორმა. ამ კუთხით, ცნებობრივი პროექტები, აახლოებს ტექნოლოგიასა და ხელოვნებას, მუშაობასა და თამაშს. შემთხვევითი არაა, რომ ფურიეს შრომები, ისევ მთავარი ინსპირაციებია ავანგარდისტული მემარცხენე ინტელიგენციისათვის. მარქსმა და ენგელსამც კი, აღიარეს, რომ ფურიე ერთდაერთია, ვინც თვისობრივად განასხვავა თავისუფალი და არათავისუფალი საზოგადოებები. ფურიე არ შეუშინდა იმაზე საუბარს, რაც პრინციპში მარქსმაც ვერ გაბედა, რომ შესაძლოა დაფუძნდეს საზოგადოება, რომელშიც მუშაობა გადაიქცევა თამაშად, საზოგადოება, რომელშიც სოციალურად საჭირო შრომა შერწყმული იქნება ჰარმონიასთან.

დასკვნისთვის მსურს ერთი დაკვირვების გაკეთება. როგორც უკვე ავღნიშნე, თუკი კრიტიკული თეორია, რომელიც ვალში რჩება მარქსთან(ან რომელიც ვალდებულია მარქსის თეორიის წინაშე), არ დაჯერდება მხოლოდ არსებული მდგომარეობის გაუმჯობესებას, ის ვალდებული იქნება შეითავსოს თავისუფლების უზარმაზარი შესაძლებლობები, რომლებიც აქ მხოლოდ ზოგადად მიმოვიხილეთ, ეს იქნება თვისებრივი სხვაობების სკანდალი. მარქსიზმმა უნდა გარისკოს და განსაზღვროს თავისუფლება იმ გაგებით, რომელიც ადამიანებს გააცნობიერებინებს იმ ფაქტს, რომ ამ სახის თავისუფლება ჯერ არ არსებობს. ზუსტად იმიტომ, რომ ე.წ უტოპიური შესაძლებლობანი არ არიან უტოპიურნი, ისინი უფრო განსაზღვრული სოციო-ისტორიული პოტენციალის უარყოფანი არიან, ასევე გვჭირდება ხელშესახები და პრაგმატული ოპონირება, რათა ჩვენც და სხვებმაც გავიაზროთ ნახსენები შესაძლებლობები და ის ფაქტორები, რომლებიც ხელს უშლიან მათ განხორციელებას. მსგავსი წინააღმდეგობა მოითხოვს ყოველგვარი ილუზიისგან და დიფიტიზმისგან[3] გათავისუფლებას, რამეთუ ამგვარი შიში, საკუთარი არსით, თავისუფლებას, არსებული წყობის შესანარჩუნებლად, ართმევს არსებობის საშუალებას.

უტოპიის დასასრული – კითხვები და პასუხები

შეკითხვა: რამდენად პოზიტიურ წერტილად მიგაჩნიათ ინგლისური პოპ-მოძრაობების ესთეტიკურ-ეროტიკული ცხოვრების გზა?

მარკუზე: ალბათ იცით, რომ იმ საკითხებიდან, რომლებსაც შევეხე, პრაქტიკულად ორი რამ არის აღსანიშნავი. მე ვვარაუდობდი, რომ დღესდღეობით სტუდენტურ მოძრაობებს თვითონვე შეუძლიათ რევოლუციის მოხდენა. ასევე ვფიქრობდი იმას,

[3] მარცხისადმი შემგუებლობა.

რომ ე.წ ჰიპები ამერიკაში, რომლებსაც თქვენ „გამლერებს“ ეძახით, ახალი რევოლუციური კლასია. ამ თეზისების მტკიცებისგან შორს ვარ. რასაც მე ვცდილობდი, იყო უბრალოდ იმ ანარქიული და სპონტანური ტენდენციების ჩვენება, რომელიც მიმდინარეობს საზოგადოებაში, რომლებიც, თავის მხრივ, რეპრესიული საზოგადოების დომინანტური აუცილებლობებისგან წყვეტის მაცნეები არიან. ის ჯგუფები, რომლებიც თქვენ ახსენეთ არ ხასიათდებიან სისტემასთან ინტეგრაციით, თუმცა ისინი, როგორც ცალკეული ფენომენები, არ ითვლებიან რევოლუციურ ძალად, მაგრამ თუ ამგვარი ჯგუფები ერთმანეთთან შემხებლობაში იქნებიან და გაერთიანდებიან, ობიექტურად უფრო ძლიერ წინააღმდეგობის კერას შექმნიან.

შეკითხვა: თქვენ თქვით, რომ რევოლუციური გარდაქმნისთვის აუცილებელი მატერიალური და ინტელექტუალური რესურსები უკვე არსებობს. თუმცა თქვენს ლექციაში, საუბრობდით ძალებზე „უტოპიისათვის“ და არა გარდაქმნისთვის აუცილებელ საჭიროებებზე, შესაბამისად დასმული კითხვისთვის ნამდვილად არ გაგიციათ პასუხი.

მარკუზე: ამ კითხვაზე საპასუხოდ, მეორე ლექციის ჩატარებაა საჭირო. აი, რამდენიმე შენიშვნა, იმ შემთხვევაში თუ მე უმეტეს ყურადღებას დავუთმობდი აუცილებლობისა და ხარისხობრივი განსხვავების ცნებას, რომლებსაც ბევრი საერთო აქვთ ტრანსფორმაციის პრობლემასთან: ერთ-ერთი მთავარი ფაქტორი, რომელიც ხელს უშლის ტრანსფორმაციას(ეს საკითხი მრავალი წლის განმავლობაში იყო დღის წესრიგში), არის გარდაქმნისთვის აუცილებელი საჭიროებების არ არსებობა, ან მათი რეპრესია, ისინი (საჭიროებები) საზოგადოებრივი ჯგუფებისთვის, რომლებმაც უნდა განახორციელონ ეს ტრანსფორმაცია, უნდა წარმოადგენდნენ თვისობრივად გამმიჯნავ ფაქტორებს. თუ მარქსმა პროლეტარიატში რევოლუციური კლასი დაინახა, და, რა თქმა უნდა, ასეც იყო, მან ეს უპირველესად იმის გამო მოახერხა, რომ პროლეტარიატი გათავისუფლებული იყო კაპი-

ტალისტური საზოგადოების რეპრესიული საჭიროებებისგან იმ-იტომ, რომ თავისუფლებისათვის საჭირო ელემენტები თვითონ პროლეტარიატის შიგნით ყალიბდებოდა და ისინი ძველი დო-მინანტური აუცილებლობებით არ იყო შეხუთული. დღესდღეობ-ით განვითარებულ კაპიტალისტურ ქვეყნებში ასეთ ვითარებას ვეღარ შევხვდებით. არსებული მუშათა კლასი გვერდს ვერ უვ-ლის შემოთავაზებულ საჭიროებებს. ეს ერთ-ერთი სერიოზული ფაქტია, რომელსაც უნდა შევურიგდეთ. სანამ ასეთ მოცემულო-ბაში გვიწევს ყოფნა, ყოველგვარი განხილვის გარეშე შემიძლია მოგცეთ გარანტია, დღეს არავინაა იმგვარ პოზიციაში, რომ გას-ცეს მზა რეცეპტები და მიგვითითოს: „თქვენ გყავთ თქვენი რე-ვოლუციური ძალები, ეს არის მათი სიძლიერე, ესა და ეს უნდა გაკეთდეს.“

მე შემიძლია მხოლოდ იმაზე მითითება, თუ რომელ ძალებს აქვთ იმის პოტენციალი, რომ სისტემის რადიკალური გარდაქ-მნები განახორციელონ. დღეს არსებული კლასიკური წინააღმდე-გობები, რომლებიც კაპიტალიზმის შიგნით არსებობს, არასოდეს ყოფილა ასეთი მწვავე სახით წარმოდგენილი. განსაკუთრებით დიდი უფსკრული იკვეთება ორ პოლუსს შორის, რომელთაგან ერთს აქვს საწარმოო ძალების განვითარება და წინსვლა, ასევე სოციალური სიმდიდრე, ხოლო მეორე მხარეს- ამ საწარმოო ძალის დამანგრეველი და რეპრესიული შედეგები, ვითარების ასე უსაზღვროდ გამწვავებას აქამდე ადგილი არ ჰქონია. სიტუ-აციას გლობალური კონტექსტიდან თუ შევხედავთ, კაპიტალიზ-მს უპირისპირდება ანტიკაპიტალისტური ძალები, რომლებიც, მსოფლიოს ნებისმიერ წერტილში, ღია კონფრონტაციასაც აღარ ერიდებიან. ასევე მოწინავე ქვეყნებშიც არსებობენ კაპიტალიზ-მისათვის ნეგატიური ძალები, ამერიკასა და ევროპაში, და მე აღარ მოვერიდები, რომ ამ ნეგატიური ძალების შემადგენლე-ბად გამოვაცხადო ინტელექტუალები, განსაკუთრებით სტუდენ-ტები.

ის ფაქტი, რომ სტუდენტებს რადიკალური ცვლილებები არაერთხელ დაუწყიათ, ნათელი უნდა იყოს ყველა იმ ადამიანისთვის, ვისაც მცირე ისტორიული ცოდნა მაინც აქვს. ასეთი შემთხვევები არამხოლოდ ევროპაში, არამედ მსოფლიოს სხვა ნაწილებშიც მომხდარა. სტუდენტთა როლი, როგორც ინტელიგენციის, რომლებიც აკომპლექტებენ არსებულ საზოგადოებას ლიდერებითა და აღმასრულებლებით, წარსულთან შედარებით, დღეს განუზომლად მნიშვნელოვანია. გარდა ამისა, არსებობს მორალურ-სექსუალური მეამბოხეობა, რომელიც უპირისპირდება დომინაციურ მორალს და ეს ფაქტორი უნდა მივიჩნიოთ ერთ-ერთ მნიშვნელოვან შემადგენლად, სისტემასთან დეზინტეგრაციის პროცესში, რომელსაც საკმაოდ დიდი რეაქცია მოჰყვა, განსაკუთრებით შტატებში. საბოლოოდ, ალბათ, ევროპაში ჩვენ უნდა დავამატოთ რაღაც ნაწილები მუშათა კლასს, რომლებიც სისტემასთან ინტეგრაციის მსხვერპლნი ჯერ არ გამხდარან. ისინი ტენდენციური გარდამქმნელი ძალები არიან და მათი რეალური შანსების, სიძლიერის შესაფასებლად ჩვენ ახალი და ხანგრძლივი დისკუსია დაგვჭირდება.

შეკითხვა: ჩემი შეკითხვა მიმართულია ახალი ანთროპოლოგიის როლისკენ, ასევე იმ ბიოლოგიური საჭიროებებისკენ, რომელიც საჭიროებათა სტრუქტურაში თვისობრივად ახალი რამაა და რომლის თქვენეული ინტერპრეტაცია ისტორიულად ცვლადია. რითი განსხვავდება ის რევოლუციური სოციალიზმის თეორიისგან? მარქსი თავის გვიანდელ ნაწერებში ფიქრობდა, რომ თავისუფლება ამოიფრქვევა საჭიროებების ბაზისზე დაყრდნობით, მაგრამ ეს ალბათ ნიშნავს, რომ თავისუფალ ადამიანთა სოციუმი დამყარდება მხოლოდ გარკვეულ ჩარჩოებს შიგნით და არა აბსტრაგირებულ ბუნებრივ ისტორიულობაში, ან აუცილებლობის სფეროს მიღმა. თქვენს ახალ კონცეპტში, რომელიც ახალ ბიოლოგიურ საჭიროებებს ეხება, როგორიცაა სასიცოცხლო საჭიროება თავისუფლებისთვის, ბედნიერებისთვის, ხომ არ გულისხმობთ ადამიანის ფსიქოლოგიური სტრუქტურის

თვისობრივ გარდაქმნას, რომელიც მისი ბუნებრივი ისტორიიდან მომდინარეობს? გჯერათ, რომ დღეს ეს არის თვისობრივი შესაძლებლობა?

მარკუზე: თუ თქვენ გულისხმობთ იმას, რომ კაცობრიობის ბუნებრივ ისტორიაში ცვლილებებისას, საჭიროებები, რომლებიც მე ვახსენე, როგორც ახალი, შეძლებს გამოჩენას, მე ვიტყოდი დიახ. ადამიანური ბუნება და მისი საჭიროებებზე დაჟინებულობა... მარქსმა იცოდა, რომ ამგვარი ადამიანური ბუნება ისტორიულად განსაზღვრული ბუნებაა და ის ისტორიულად ვითარდება. რა თქმა უნდა, ადამიანის ბუნებრივი ისტორია გაგრძელდება. ადამიანისა და ბუნების ურთიერთმიმართება სრულიად შეიცვალა და საჭიროებათა განზომილება გახდება სხვა სახის, როცა გაუცხოებული შრომა გაქრება და მას ჩაანაცვლებს სრულყოფილი ტექნოლოგიები, ასევე დიდი ნაწილი სოციალურად აუცილებელი შრომისა, გახდება მხოლოდ ტექნოლოგიური ექსპერიმენტი. საჭიროებათა განზომილება ფაქტობრივად შეიცვლება და ჩვენ ალბათ ვიხილავთ თავისუფალი ადამიანის ყოფას, რომელიც მარქსისთვის და ენგელსისთვის უკავშირდებოდა შრომის მიღმა არსებულ სფეროს. ამგვარი გარდაქმნა, თავის მხრივ, განავითარებს შრომის სფეროსაც.

შეკითხვა: თუ თავისუფლებისთვისა და ბედნიერებისთვის მისაღწევი სასიცოცხლო საჭიროებები ბიოლოგიურ საჭიროებებად გარდაიქმნება, მაშინ როგორ მატერიალიზდებიან ისინი?

მარკუზე: „მატერიალურად კონვერტირებადში“ გულისხმობთ იმას, თუ როგორი ეფექტი ექნებათ მათ სოციალურ და თუნდაც ფსიქოლოგიურ სტრუქტურაზე? ისინი მუშაობენ დამამშვიდებელი გარემოს კონსტრუქციის მეშვეობით. მე ვცდილობდი მიმეთითებინა ამაზე, როცა კაპიტალისტური ინდუსტრიალიზაციის ტერორის ლიკვიდაციაზე ვსაუბრობდი. ვგულისხმობ გარემოს, რომელიც ახალ საჭიროებებს, დამამშვიდებელი ხასიათის მეშვეობით, მოამარაგებს სივრცით, რომელშიც ისინი მატერიალიზდებიან, ასევე ფსიქოლოგიურად გადასხვაფერდებიან ბუნებრივი

ისტორიის განგრძობითი ცვლილებების მეშვეობით, სახელდობრ იმ მახასიათებლების რედუქციის ფონზე, რომლებიც თავიანთ მანიფესტაციას საშინელი გზით ცდილობენ: სიუხეშით, სისასტიკით, ცრუ ჰეროიზმით, შეჯიბრებითობით. რა თქმა უნდა, მე ვსაუბრობ ფსიქოლოგიურ ფენომენზე.

შეკითხვა: არსებობს რაიმე სახის კავშირი გარკვეული ანარქისტული სტრატეგიის რეაბილიტაციასა და უზარმაზარ ექსტრა-ეკონომიკურ ძალადობასთან ? რომელიც დღესდღეობით ინტერნალიზაციის მეშვეობით იქცა დაუყოვნებელ ეკონომიკურ ძალაუფლებად, ვგულისხმობ იმას, რომ მანიპულაციის აგენტებმა კარგად იციან, თუ როგორ უნდა შეითვისონ დომინაციის ბიუროკრატიული და მმართველობითი მექანიზმები.

მარკუზე: მაგრამ ეს არ არის ძალადობის ინტერნალიზება. თუ კაპიტალიზმში რაიმე ნათელია, ეს არის წმინდა გარეგანი ძალადობა, „კარგი“ ძველი ყაიდის ძალადობა, რომელიც ისეთი ძლიერია ჯერ რომ არ ყოფილა. მიუხედავად ამისა, ვერ ვხედავ ინტერნალიზებას. ჩვენ არ უნდა შევჩერდეთ იმ ფაქტზე, რომ მანიპულაციური ტენდენციები ძალადობრივი არაა. ვერავინ მაიძულებს ტელევიზორის წინ საათობით ჯდომას, ვერავინ მაიძულებს ვიკითხო იდიოტური გაზეთები.

შეკითხვა: ვერ დაგეთანხმებით იმიტომ, რომ ინტერნალიზება ზუსტადაც ნიშნავს მოჩვენებითი, ილუზორული თავისუფლების შესაძლებლობის არსებობას, ინტერნალიზება ეკონომიკაში კლასიკური კაპიტალიზმისთვის ნიშნავს იმას, რომ პოლიტიკური და მორალური სტრუქტურები შეძლებს გათავისუფლებას.

მარკუზე: ჩემთვის ეს მხოლოდ კონცეპტის ფართოდ გაჯიმვაა. ძალადობა, რჩება ძალადობად და თუ სისტემა ტელევიზიის საშუალებით თავისუფლების ილუზორულ ეფექტს ქმნის, მე გამოვრთავ მას, მაშინ როდესაც მსურს. ეს არ არის ძალადობის განზომილება. თუ თქვენ ამას ამტკიცებთ, მაშინ თქვენ ბინდავთ ჩვენი საზოგადოების ერთ-ერთ გადამწყვეტ ფაქტორს, სახელდობრ ვგულისხმობ განსხვავებას ტერორსა და ტოტალიტარულ

დემოკრატიას შორის, რომელიც მუშაობს არა ტერორის არამედ ინტერნალიზაციის გზით, თავისივე კოორდინაციის მექანიზმებით და ის არ არის ძალადობრივი. ძალადობა არის ის, როდესაც კლუბში მყოფი მავანი თავში ურტყამს ვიღაცას, ან ემუქრება მას. ძალადობა არ არის ის ფაქტი, რომ მე ტელე-შოუებში ვმონაწილეობ ან გამოსახულება იცვლება სხვადასხვა გზით.

შეკითხვა: არსებობს რაიმე ტიპის კავშირი ახალ ისტორიულად და ბიოლოგიურად განსხვავებულ საჭიროებების სტრუქტურასა და იმ რეაბილიტირებულ ჯგუფებს შორის, რომლებიც მარქსმა და ენგელსმა, წვრილ ბურჟუაზიულ მორალთან კავშირის გამო, დაგმეს, როგორც დეკლასირებულნი?

მარკუზე: ჩვენ უნდა განვასხვავოთ ეს déclassé ჯგუფები. როგორც ვხედავ, დღეს არც ლუმპენპროლეტარიატი და არც წვრილი ბურჟუა არ არის რადიკალური, ისინი იმად დარჩნენ, რაც ადრე იყვნენ. მათგან განსხვავებით, ინტელიგენციის როლი შეცვლილია.

შეკითხვა: არ ფიქრობთ, რომ ეს déclassé ჯგუფი, სწორედ სტუდენტებისგან შედგება?

მარკუზე: არა.

შეკითხვა: საწარმოო ძალების სიმწიფის გათვალისწინებით, შესაძლებელი, ან ვალიდურია ისევ აუცილებლეობაზე, ობიექტურ კანონსა ან საზოგადოების განვითარების ტენდენციებზე საუბარი? არ გადაფასდა და შეიცვალა სუბიექტურობის როლი, რომელიც ალბათ ანარქიზმის ლეგიტიმაციის გამაახლებელია?

მარკუზე: სუბიექტური ფაქტორების ახლიდან შეფასებასა და განსაზღვრას, მოცემულ სიტუაციაში, მივიჩნევ ერთ-ერთ გადამწყვეტ საჭიროებად. რაც უფრო მეტად ვუსვამთ ხაზს იმას, რომ თავისუფალი საზოგადოებისთვის საჭირო მატერიალური, ტექნიკური და მეცნიერული საწარმოო ძალები უკვე ძალაში მყოფობენ, იმდენადვე ვართ გამოწვეულნი, შესაძლებლობათა ცნობიერების გათავისუფლებაში. ცნობიერების ინდოტქრინაცია, რომელიც ამგვარი შესაძლებლობების წინააღმდეგაა მიმართუ-

ლი, დამახასიათებელი სუბიექტური ფაქტორია დღევანდელი საზოგადოებისათვის. ცნობიერების განვითარებას და მის განვითარებაზე გაწეულ სამუშაოს, მატერიალიზმის(რევოლუციური მატერიალიზმის) ერთ-ერთ მთავარ ამოცანად მივიჩნევ. და თუ მე ამ გზით მივუდექი საჭიროებებსა და სურვილებს, ეს შეიძლება მივიჩნიოთ თქვენ მიერ ნახსენებ სუბიექტურ ფაქტორად.

ერთ-ერთი ამოცანა იმაში მდგომარეობს, რომ გავათავისუფლოთ იმ ტიპის ადამიანი, რომელსაც სურს რევოლუცია, რომლისთვისაც საჭიროა რევოლუცია, რადგან მის გარეშე ის დაიღუპება. ეს არის სუბიექტური ფაქტორი, რომელიც დღეს მეტია ვიდრე სუბიექტური ფაქტორი. სხვა მრხრივ, ბუნებრივად ობიექტური ფაქტორი(და ეს გამონაკლისი შემთვევაა, როცა მსურს მცირე კორექტირება გავაკეთო), ორგანიზებაა. ესტაბილიშმენტის ტოტალური მობილიზება შესაძლებლობების წინააღმდეგ, ისეთი ძლიერი და ეფექტურია, როგორც არასდროს. ერთი მხრივ, ჩვენ შევძელით და პირველ ეტაპზე ვიპოვეთ ცნობიერების გამათავისუფლებელი საჭიროება, თუმცა მეორე მხრივ, ძალაუფლების იმგვარი კონცენტრაცია დაგვიპირისპირდა, რომ მის წინააღმდეგ თავისუფალი ცნობიერებაც კი, სასაცილო და უძლურია. ორ ფრონტზე ბრძოლა დღეს ისეთი მწვავეა, როგორც არასდროს. ერთი მხრივ, ცნობიერების გათავისუფლება აცულიებელია, ხოლო მეორე მხრივ საჭიროა ვიგრძნოთ ნებისმიერი რყევა, რომელიც არსებული საზოგადოების უაღრესად დიდი ძალაუფლების კონცენტრაციის მქონე სტრუქტურაში შესაძლოა გაჩნდეს. ამერიკის შეერთებულ შტატებში, შესაძლებელია, რომ შედარებით უფრო თავისუფალი ცნობიერება გქონდეს იმიტომ, რომ მას უბრალოდ არანაირი ეფექტი არ აქვს.

შეკითხვა: ახალი საჭიროებები, რომლებიც თქვენ გარდაქმნისთვის აუცილებელ მოტივად დაასახელეთ, რა არელით იქნებიან პრივილეგირებულნი მეტროპოლიებში? რა ხარისხით გარდაქმნიან ისინი იმ საზოგადოებას, რომლებიც უკვე ტექნიკურად და ეკონომიკურად განვითარებულ ქვეყნებში ცხოვრობენ? გა-

ითვალისწინეთ ეს საჭიროებები ღარიბი ქვეყნების, კუბისა და ჩინეთის რევოლუციისას?

მარკუზე: ახალი საჭიროებების ტენდენციებს ვხედავ საზოგადოების ორივე პოლუსზე, განვითარებულ სექტორში და ასევე მესამე მსოფლიოში მიმდინარე გამათავისუფლებელი ბრძოლების პროცესებში. და ფაქტობრივად ჩვენ ვხედავთ იმ ფენომენს, რომელიც მარქსის თოერიაში ნათლადაა გამოხატული, სახელდობრ ვგულისხმობ იმას, რომ ვინც კაპიტალიზმის საეჭვო კეთილდღეობისგან „თავისუფალია“, სწორედ ის ავითარებს იმ საჭიროებებს, რომელმაც შესაძლოა თავისუფალი საზოგადოების შექმნას შეუწყოს ხელი. მაგალითისთვის, თავისუფლებისთვის მებრძოლ ვიეტნამელებს არ უნდა სჭირდებოდეთ თავსმოხვეული მშვიდობა, მათ უკვე აქვთ ის. მათ ესაჭიროებათ თავიანთი სიცოცხლის დაცვა აგრესიისგან. ამ ეტაპზე ეს საჭიროებები, რეალურად აუცილებელნი არიან. საზოგადოების მეორე პოლუსზე, განვითარებულ მხარეს, ჩვენ ვხვდებით უმცირესობებს, რომლებსაც ძალუძთ დაბადონ ახალი შესაძებლობები, ან თუ ისინი ამას ვერ მოახერხებენ, მათ სჭირდებათ, რაღაც, რათა ფსიქოლოგიურად არ განადგურდნენ. ამ შემთხვევაში, მე უნდა მივუბრუნდე ჰიპების მოძრაობას და ვფიქრობ საკმაოდ საინტერესო ფენომენებს გადავაწყდებით, სახელდობრ იმ ფაქტს, რომ საზოგადოების ეს ნაწილი, უარს ამბობს „მოწინავე ფენის“ ცხოვრებისეულ ღონისძიებებში მონაწილეობაზე. ეს ნიშნავს საჭიროებების თვისობრივ ცვლილებას. უკეთესი ტელევიზორის, მანქანისა და სხვადასხვა სახის კომფორტის მოთხოვნის საჭიროება, უარყოფილია. საზოგადოების ორივე პოლუსზე დაახლოებით ეს განწყობაა: „ჩვენ არ გვინდა გქვონდეს რაიმე საერთო ამ მძღნერთან.“

შეკითხვა: თუ თვისობრივად განსხვავებული საზოგადოების ობიექტური ბაზისი აწმყოა, მაშინ რატომ ვხვდებით ამდენ ხაზგასმას აწმყოსა და მომავლის აბსოლუტურ წყვეტაზე? არ ფიქრობთ, რომ ეს გადასვლა გაშუალედებული უნდა იყოს, ან თქვე-

ნი აზრით, აბსოლუტური წყვეტის იდეა ხომ არ ეწინააღმდეგება უფსკრულის ამოვსების კონკრეტულ მცდელობებს?

მარკუზე: თავის დასაცავად ვიტყვი, რომ, მე არ ვემხრობოდი წყვეტას. უფრო სწორად, სიტუაციიდან გამომდინარე, მე ახალი თავისუფალი საზოგადოების დეფინიციას, არსებულის განსაზღვრული უარყოფის საფუძველზე ვიაზრებ. მაგრამ არავის შეუძლია ადგეს და ასეთი განსაზღვრული უარყოფა, ისე გაიგოს, როგორც ძველი ღვინოს ახალ ბოთლში გადასხმა და მეტი არაფერი. ამიტომაც გავუსვი ხაზი წყვეტას, კლასიკური მარქსიზმის გაგებით და მე ვერ ვხედავ ვერანაირ შეუსაბამობას. დისკუსიას ვისურვებდი სახელდობრ იმაზე, თუ როგორ უნდა მოხდეს წყვეტა, ან როგორ უნდა წარმოიშვას ახალი გამათავისუფლებელი საჭიროებები ამის შემდეგ. თქვენ შეგიძლიათ თქვათ და მეც ხშირად ვეუბნები ამას ჩემს თავს, თუ ეს ყველაფერი მართალია, მაშინ როგორ შეგვიძლია წარმოვიდგინოთ ამ კონცეპტების წარმოშობა ადამიანთა ყოფიერებაში აქ და ახლა, იმ შემთხვევაში, თუ მთელი საზოგადოება ეწინააღმდეგება ახალი საჭიროებების გაჩენას. ეს არის საკითხი, რომელსაც თვალი უნდა გავუსწოროთ. ამავე დროს ეს საკითხი შედგება კითხვისგან, ხომ არ იქნება ახალი საჭიროებების განვითარება გააზრებული, როგორც არსებულის რადიკალური გარდაქმნა, ან ახალი საჭიროებების დასაფუძნებლად, დიქტატურა ხომ არ იქნება აუცილებელი, რომელიც აპრიორი განსხვავებული სახისაა მარქსისტულ პროლეტარიატის დიქტატურასთან. მე დიქტატურაში ვგულისხმობ კონტრადმინისტრაციას, რომელიც ესტაბილიშმენტის ადმინისტრაციის მხრიდან ჩადენილ საშინელებებს აღმოფხვრის. ეს ის საკითხებია, რომლებიც მე ყველაზე მეტად მაფიქრებს და რომელიც სერიოზულ დისკუსიას საჭიროებს.

შეკითხვა: გვერდზე გადავდოთ სისტემის მიწისქვეშა სუბკულტურებით გამოთიშვის არჩევანი, როგორაა შესაძლებელი „ერეტიკულ“ აქტივიზმში ჩართვა, მაგალითისთვის, ერეტიკულმა მედიცინამ შესაძლოა მშრომელებს მუშაობისგან გამოფიტული

ენერგია ვერ აღუდგინოს, მაგრამ მიახვედროს, რომ მათი ავადობის მიზეზი სწორედ მათივე სამუშაოა და მიეხმაროს მათ იმის გააზრებაში, თუ როგორაა შესაძლებელი თვისობრივად განსხვავებულ სამუშაო პროცესში ჩართვა.

მარკუზე: პრობლემაზე, თუ როგორ და რანაირად უნდა განვითარდეს სისტემის შიგნით გარკვეული ელემენტები, რომლებსაც თქვენ ერეტიკული უწოდეთ, მე შემდეგი რამის თქმა შემიძლია: დღევანდელ ესტაბილიშმენტში ჯერ კიდევ არსებობს უფსკრულები და ხვრელები, რომელშიც ამ ერეტიკულ ელემენტებს შეუძლიათ გარჯა ყოველგვარი უაზრო მსხვერპლის გარეშე, მათ შეუძლიათ რაღაცის გამოწვევა. ეს შესაძლებელია. ფროიდმა ნათლად მიაგნო პრობლემას, როდესაც მან თქვა, რომ ფსიქოანალიზს შეეძლო ყველა თავისი პაციენტი რევოლუციონერად ექცია. მაგრამ, სამწუხაროდ, ეს არ მუშაობს, მისთვის, ვინც სტატუს-კვოს ჩარჩოს შიგნით მოქმედებს. ფსიქოანალიზს უწევს შეურიგდეს მდგომარეობას და განუდგეს ექსტრა-მედიცინის შესაძლებლობებს. მიუხედავად ამისა, დღესაც არიან ისეთი ფსიქოანალიტიკოსები, რომლებიც ცდილობენ დარჩნენ იმ რადიკალური ელემენტების ერთგულნი, რომელიც ფსიქოანალიზს ახასიათებს. ასე, მაგალითად, იურისპრუდენციაში არსებობს გარკვეული რიცხვი იმ ადვოკატებისა, რომელნიც მოქედებენ „ერეტიკულად“, ანუ სახელმწიფო მანქანის წინააღმდეგ და იცავენ იმ ბრალდებულებს, რომელნიც ელიტებმა გარიყეს.

არსებულ საზოგადოებაში ღია ხვრელები ჯერ კიდევ არსებობს და ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ამოცანა, მათი სრულად გამოყენებაა.

შეკითვა: არსებობს კონფლიქტი სენსიტიურობასა და იმ სახეობის საჭიროებებს შორის, რომელიც ვიეტკონგელთა შიგნით წარმოიშვა? ხომ არ არის ისინი შეუთავსებელნი, და თუ უწევს ვინმეს მათ შორის არჩევანის გაკეთება?

მარკუზე: პირველი ტენდენცია მიუთითებს ადამიანის ახალ მენტალურ გამოსახულებაზე, რომელიც განფენილია მესამე

მსოფლიოს ბრძოლის მიმართ სოლიდარობაში, რაც მოწინავე ინდუსტრიულ საზოგადოებაში წარმოშობის პროცესშია, როგორც ახალი საჭიროება, ხოლო მესამე მსოფლიოს ქვეყნებში ის უკვე არსებობს, არა როგორც საჭიროება, არამედ სპონტანური რეაქცია იმის წინააღმდეგ, რაც ხდება.

შეკითხვა: მეჩვენება, რომ საჭირობები, რომლებიც სოციალური რევოლუციური მოძრაობების მიერაა განსაზღვრული, მოძველებულია. ინდსუტრიალიზაციას სჭირდება დისციპლინა. ამ ყველაფრის ესთეტიკურ ეროსთან გაერთიანება ფუფუნება ხომ არ არის?

მარკუზე: თავისუფლების აუცილებლობა არ არის ფუფუნება, რომელსაც მხოლოდ მეტროპოლიები თუ შეწვდებიან. თავისუფლების აუცილებლობა, რომელიც სპონტანურად ჩნდება სოციალურ რევოლუციაში, როგორც ძველი საჭიროება, კაპიტალისტურ სამყაროში ჩახშობილია. ისეთ საზოგადოებაში, რომელშიც ჩვენ ვცხოვრობთ და რომელმაც მშვიდობის გარკვეულ წერტილს მიაღწია, რევოლუციის სურვილი, პირველ რიგში, სიგიჟესთან ასოცირდება. ამჟამად ჩვენ ის გვაქვს რაც გვსურს. მაგრამ მიზანი ის არის, რომ ეს სურვილი გარდაიქმნას და ჩვენ მეტად აღარ გვინდოდეს ის მდგომარეობა რაც ახლა გვაქვს. შესაბამისად ამოცანა მეტროპოლიებსა და ვიეტნამში განსხვავებულია, თუმცა მათი დაკავშირება შესაძლებელი.

შეკითხვა: თეზისი იმის შესახებ, რომ ტექნიფიკაციის დომინაცია ძირს უთხრის სისტემის დომინაციას, ხომ არ ნიშნავს იმას, რომ ბიუროკრატია და სახელმწიფო აპარატი თვითონვე უწყობენ თავის თავს პროვოკაციებს და რომ ისინი პერმანენტულად პროვოცირებულნი უნდა იყვნენ, როგორც სასწავლო პროცესი, ბიუროკრატიაში მიმდინარე წინააღმდეგობებისა და უგრძნობლობის გასაგებად? ან ხომ არ ნიშნავს ეს იმას, რომ ჩვენ არ უნდა მოვახდინოთ მათი პროვოცირება ფაშისტური ტერორის საფრთხის გამო, რომელმაც შესაძლოა ყველა ცვლილების პოტენცია ძირშივე ჩაკლას?

მარკუზე: ტექნიფიკაცია, რა თქმა უნდა, არ ნიშნავს არსებული წყობის დასასრულს, ან მის აუცილებელ თვითგანადგურებას. დომინაციის ტექნიფიკაცია ნიშნავს იმას, რომ თუკი ჩვენ ტექნოლოგიურ პროცესებს რაციონალურად ვუყურებთ, საბოლოო ჯამში დავინახავთ იმას, თუ რაოდენ შეუთავსებელნი არიან ისინი არსებულ კაპიტალისტურ ინსტიტუტებთან. სხვა სიტყვებით, დომინაცია, რომელიც ემყარება ექსპლოატაციისა და გაუცხოებული შრომის საჭიროებას, კარგავს ამ ბაზისს. თუ ფიზიკური შრომის ექსპლოატაცია, წარმოების პროცესში, აღარ იქნება საჭირო, დომინაციის ამგვარი მდგომარეობა ვეღარ შენარჩუნდება.

შეკითხვა: თქვენ ამბობთ, რომ შრომა სრულად გაუქმდება, ან ის აღარ იქნება მტანჯველი?

მარკუზე: მე ვყოყმანობდი თუ რომელი ტერმინი მეხმარა, შრომის გაუქმება, თუ გაუცხოებული შრომის გაუქმება, რადგან ყოველდღიურ გამოყენებაში, შრომა და გაუცხოებული შრომა თითქმის იდენტური გახდა. ეს ამ ამბივალენტურობის გამართლებაა. მჯერა, რომ შრომა ვერ გაუქმდება. საპირისპიროს მტკიცება ნიშნავს იმის უარყოფას, რასაც მარქსი ადამიანსა და ბუნებას შორის მეტაბოლურ გაცვლას ეძახდა. კონტროლი, ბუნების ტრანსფორმაცია და არსებობის მოდიფიკაცია შრომის მეშვეობით გარდაუვალია, მაგრამ ამ უტოპიურ ჰიპოთეზაში შრომა განსხვავებულია იმ შრომისგან, რომელიც ჩვენთვისაა ცნობილი და შრომისა და თამაშის დაახლოების იდეა, შესაძლებლისგან არც ისე შორს დგას.

შეკითხვა: ხომ არ ხორციელდება რევოლუცია მაშინ, როდესაც ჩაგრულს ყოველგვარი ჰუმანური ელემენტისგან დაცლილი სიძულვილით სძულს მჩაგვრელი? არის თუ არა ამგვარი მატერიალიზაცია ის, რაც შეიძლება მხოლოდ რევოლუციის მსვლელობაში ან მის შემდეგ გაუქმდეს?

მარკუზე: ნამდვილად საშიში კითხვაა. ერთი მხრივ, მჯერა იტყვიან, რომ ექსპლუატაციისა და ჩაგვრის სიძულვილი თვითონვეა ადამიანური ელემენტი. მეორე მხრივ, ისიც უეჭველია,

რომ რევოლუციის პროცესში წარმოიშობა ზიზღი, რომლის გარეშეც რევოლუცია და გათავისუფლება შეუძლებელია. იმაზე საშინელი არაფერია, როცა იმ სამყაროში, რომელშიც სიძულვილი ინსტიტუციონალიზებულია, ქადაგებენ: „არ გძულდეს მოწინააღმდეგე.“ ბუნებრივია, რომ რევოლუციის პროცესში ეს სიძულვილი შესაძლოა გარდაიქმნას სისასტიკეში, სიუხეშესა და ტერორში. ამ ორს შორის საზღვრები საშინლად და ექსტრაორდინალურად ცვალებადია. მე მხოლოდ იმის თქმა შემიძლია, რომ ჩვენი სამუშაო ზუსტად ამ პროცესის პრევენციას ემსახურება, უნდა ვაჩვენოთ, რომ სისასტიკე და სიუხეშე რეპრესიული სისტემის აუცილებელი შემადგენელია და გამათავისუფლებელ ბრძოლას არ სჭირდება სიძულვილის გარდაქმნა სისასტიკეში. მავანს შეუძლია დაარტყას ოპონენტს, შეუძლია დაამარცხოს ის, ყოველგვარი კიდურებისა და ყურების დაჭრის გარეშე, ყოველგვარი წამების გარეშე.

შეკითხვა: მეჩვენება, რომ თქვენ გაქვთ იმგვარი ჰარმონიული საზოგადოების იდეალი, რომელშიც არ არსებობს პლურალიზმი და ტოლერანტობა. ვინ განსაზღვრავს საყოველთაო სიკეთეებს ამგვარ საზოგადოებაში? აქ არანაირი ანტაგონიზმი არ გვხვდება? ეს იდეა არის არარეალური და თუ ტოლერანტიზმიც არ იარსებებს ანტაგონიზმის აღმოსაფხვრელად, მაშინ ეს იქნება არადემოკრატიული საზოგადოება, რომელსაც დასჭირდება დიქტატორი.

მარკუზე: ტოლერანტიზმის გარეშე თავისუფალი საზოგადოება წარმოუდგენელია, თავისუფალ საზოგადოებას არც სჭირდება ტოლერანტიზმი, რადგან ის თავისუფალია, ასე, რომ შემწყნარებლობა არ უნდა გახდეს ინსტიტუციონალიზებული, არც მისი ქადაგებაა საჭირო. კონფლიქტების გარეშე წარმოდგენილი საზოგადოება უტოპიური ხასიათისაა, მაგრამ იმგვარი სოციუმის იდეა, რომელშიც არსებობს კონფლიქტები, მაგრამ ისინი ჩაგვრისა და სისასტიკის გარეშე გვარდება, არ არის უტოპიური. დემოკრატიის კონცეპტთან კავშირში, ეს, რა თქმა უნდა, სერი-

ოზული საკითხია. თუ ერთ წინადადებაში მომიწევს იმის თქმა, რისი შემოთავაზებაც შემიძლია პასუხად, ეს არის ის, რომ ამ მომენტისთვის, ჩემზე მეტად დემოკრატი, არავინ შეიძლება იყოს. ჩემი პროტესტი უბრალოდ შეეხება იმას, რომ არსებულ საზოგადოებაში, რომელიც თავის თავს დემოკრატიულად აცხადებს, სინამდვილეში არ არსებობს დემოკრატია. არსებობს მხოლოდ დემოკრატიის ლიმიტირებული, ილუზორული ფორმა, რომელიც იწვევს უთანასწორობას. დიქტატურის პრობლემაზე იმის თქმა შემიძლია, რომ მე განვიზრახე საკითხის დასმა, სახელდობრ, მე არ შემიძლია წარმოდგენა იმისა, თუ როგორ უნდა შებრუნდეს ტოტალური ინდოქტრინაციისა და კოორდინაციის სახელმწიფო საპირისპირო ევოლუციურ გზაზე. გარდაუვლად მეჩვენება გარკვეული ინტერვენციები და ისიც, რომ ჩაგვრა უნდა ჩაიხშოს.

შეკითხვა: მეჩვენება, რომ თქვენი დღევანდელი საუბრის მთავარი თეზისი გულისხმობს იმას, რომ საზოგადოების ტრანსფორმაციას, წინ უნდა უძღოდეს საჭიროებების ტრანსფორმაცია. ეს ჩემთვის იმას ნიშნავს, რომ შეცვლილი საჭიროებები გაჩნდება მაშინ, როდესაც არსებული საჭიროებების ძალაში მყოფობის მექანიზმებს, ძირს გამოვუთხრით. მეჩვენება, რომ თქვენი აქცენტი გადანაცვლდა რევოლუციიდან განმანათლებლობისაკენ.

მარკუზე: თქვენ განსაზღვრეთ ის, რაც, სამწუხაროდ, ყველაზე დიდ სირთულეს წარმოადგენს ამ საკითხში. თქვენი მიმართება ეხება იმას, რომ ახალი რევოლუციური საჭიროებების განვითარებისთვის, ძველის წარმოების მექანიზმებია მოსასპობი. მექანიზმების გასაუქმებლად, პირველ რიგში, ამ პროცესის საჭიროება უნდა იდგეს. ეს არის წრე, რომელშიც ვიმყოფებით და მე არ ვიცი, თუ როგორ უნდა დავაღწიოთ თავი ამ მდგომარეობას.

შეკითხვა: როგორ უნდა განვასხვავოთ ყალბი და გენიალური უტოპიები? მაგალითად შესაძლოა დომინაციის აღმოფხვრა ვერ მოხერხდეს საზოგადოების უმწიფრობის გამო, ან იმიტომ,

რომ ის ასე ვთქვათ ბიოლოგიურად შეუძლებელია? თუ ვინმეს ამ უკანასკნელი მიზეზის სჯერა, როგორ დაუმტკიცებთ, რომ ის ცდება?

მარკუზე: თუ ნათელი იქნება ის ფაქტი, რომ დომინაციის აღმოფხვრა ბიოლოგიურად შეუძლებელია, მაშინ ვიტყვი, რომ დომინაციის აღმოფხვრა არის უტოპია. მარქსის და ასევე იქამდე არსებულ თეორიებში, რაციონალური მმართველობა და დომინაცია განსხვავდებიან ერთმანეთისგან. მაგალითად, თვითმფრინავის პილოტის მმართველობა, რაციონალურია. შეუძლებელია წარმოვიდგინოთ მომენტი, როცა მგზავრები ეუბნებიან პილოტს, თუ რა უნდა გააკეთოს მან სამართავად. მოძრაობის მარეგულირებელი პოლიციელის ტიპი, განსხვავებული სახის რაციონალური მმართველობაა. ამგვარი მმართველობების არსებობა, ალბათ ბიოლოგიური საჭიროებაა, მაგრამ პოლიტიკური დომინაცია, დომინაცია, რომელიც ექსპლოატაციასა და ჩაგვრას ემყარება, იმავე სახის არ არის.

შეკითხვა: დღევანდელი ინდუსტრიისა და ბიუროკრატიის მოწინავე სექტორებში(მეცნიერებაში), უკვე არსებობს გაუცხოებული ფორმა თამაშისა და მუშაობის ინტეგრაციის, მაგალითად სტრატეგიული თამაშების დაგეგმვა, თამაშის თეორია და სამეცნიერო ფანტაზიის გამოყენება. როგორ აფასებ, გარდაიქმნება ამ შესაძლებლობის აქტივობა ძალაუფლებრივი სტრუქტურის უარყოფად, როგორც ამას სერჟ მალეტი ვარაუდობს?

მარკუზე: ჩემი შენიშვნა, მალეტის ტექნიკური ევოლუციის კონცეფციაზე ზუსტად ის არის, რომ მეცნიერთა ეს წრე, ყველაზე მაღალ ანაზღაურებადია და ისინი ბევრ სარგებელს იღებენ სისტემისგან. იმის მისაღწევად რაც თქვენ თქვით, მხოლოდ ცნობიერების ცვლილება არ კმარა, მთელი ვითარებაა შესაცვლელი. ჩემი მეორე შენიშნვნა ეხება იმას, რომ ეს ჯგუფი განიხილება იზოლირებულ რევოლუციურ ძალად, რომლებიც მოახდენენ ტექნოკრატულ რევოლუციას, ეს არის მოწინავე კაპიტალიზმის გარდაქმნა სახელმწიფო ტექნოკრატულ კაპიტალიზმში, ეს სუ-

ლაც არ არის ის, რასაც მე თავისუფალ საზოგადოებაში ვგულისხმობ.

შეკითხვა: ადამიანის ახალ თეორიასთან დაკავშირებით: როგორ გარდაიქმნება სიმშვიდის, თავისუფლებისა და ბედნიერების საჭიროება კონკრეტულ ბიოლოგიურ, სხულებრივ საჭიროებაში?

მარკუზე: ვფიქრობ, რომ მშვიდობის საჭიროება, როგორც ვიტალური აუცილებლობა, არ საჭიროებს მატერიალურ განსხეულებას, რადგან ამ კუთხით, ის უკვე არის მატერიალური საჭიროება. მაგალითად, მშვიდობის საჭიროება გამოხატულია მაშინ, როდესაც სამხედრო სავალდებულო გაწვევისთვის ვერ ხერხდება ხალხის მობილიზება.

შეკითხვა: დავუბრუნდეთ თვისობრივი წყვეტის პრობლემას. ეს უკანასკნელი, მეჩვენება, რომ განიზრახავს კრიზისს და ერთი მათგანი, ჭეშმარიტად არსებობს. რა შეგვიძლია ვთქვათ მაშინ, როცა ეს კრიზისი პროგრესირებს წყვეტის მიმართულებით, ან ეს კრიზისი, წყვეტაში ხომ არ გარდაიქმნება? როგორ უნდა შეძლოს იმ უმცირესობამ, ვისაც გაცნობიერებული აქვს სოციალური ჩარევის შესაძლებლობა, უტოპიის ჩახშობისა და დაბლოკვის პრევენცია?

მარკუზე: მე კრიზისის ექსპანსიას გარკვეულ სიმბოლურ ფაქტებში ვხედავ, ფაქტებში, რომლებიც რაღაცნაირად წარმოადგენენ შემომაბრუნებელ წერტილებს სისტემის განვითარებაში. ასე, მაგალითად, ვიეტნამის ომის იძულებით დასრულება, წარმოადგენს მნიშვნელოვან ექსპანსიას არსებული საზოგადოების კრიზისისა.

შეკითხვა: მინდა ყურადღება გავამახვილო ადამიანის შესახებ ახალ თეორიაზე. ამ თეორიამ თავისი მომხრეები გაიჩინა მესამე მსოფლიოში, სახელდობრ ფანონი, რომელიც ამბობს, „მიზანი, ტოტალური ადამიანის დაფუძნებაა დედამიწაზე“ და ერნესტო გევარა, რომელმაც განაცხადა, „ჩვენ ვქმნით ადამიანს

21-ე საუკუნისათვის.“ მინდა გკითხოთ, რამდენად უკავშირდება, თქვენი თეორია ახალი ადამიანის შესახებ, ამ ორ განცხადებას?

მარკუზე: მე ვერ ვრისკავდი ამის თქმას, მაგრამ რახან თქვენვე ახსენეთ და მგონი თქვენ იცით ამის შესახებ რაღაც, ახლა შემიძლია განვაცხადო, რომ მჯერა ფაქტის, რომელიც აქამდე არ მიხსენებია, რომ მესამე მსოფლიოს ზოგიერთ გამათავისუფლებელ ბრძოლაში, ახალი ადამიანის შესახებ თეორიის გარკვეული ელემენტები გამოჩნდება. მე ფანონისა და გევარას ხსენებაზე მეტად, ვაპირებ ერთ საკითხზე საუბარს, რომელიც ჩრდილოეთ ვიეტნამის შესახებ დაწერილ სტატიაში წავიკითხე. ამ მოხსენებამ დიდი შთაბეჭდილება მოახდინა ჩემზე, მას შემდეგ, რაც განუკურნებელი რომანტიკოსი გავხდი. ეს იყო დეტალური მოხსენება, რომელშიც, სხვა საკითხებთან ერთად, აღწერილია პარკი ჰანოიში, სადაც სკამები მხოლოდ ორი ადამიანისთვისაა განკუთვნილი, რათა სხვა ადამიანმა სკამზე მსხდომთა შეწუხება ვერ შეძლოს.

ჰერბერტ მარკუზე 1965

სოციალისტური ჰუმანიზმი?

თითქმის ოცი წლის წინ, მერლო-პონტიმ, უკომპრომისო სიცხადით, წინ წამოსწია სოციალისტური ჰუმანიზმის საკითხი. არის თუ არა მოცემულ ისტორიულ მონაკვეთში, ჰუმანისტური, არაძალადობრივი სოციალისტური საზოგადოების კონსტრუირება რეალურად შესაძლებელი? მან(მერლო-პონტი) უარყო ჰუმანიზმსა და ტერორს შორის რომელიმეს არჩევის აუცილებლობა(ჰუმანიზმსა და ტერორს შორის ალტერნატივა) : არ არსებობს არანაირი არჩევანი ძალადობასა და ძალმომრეობით მეთოდებზე უარის თქმას შორის, არამედ - არჩევანი ძალადობის ორ ფორმას, კაპიტალისტურსა და სოციალისტურს, შორის.

საბჭოთა კავშირში ძალადობა და სიყალბე, ადამიანების ყოველდღიური ცხოვრების შემადგენელია. დემოკრატიებში,[1] ერთი მხრივ, დეკლარირებული პრინციპები ჰუმანურია, მაგრამ, მეორე მხრივ, სიყალბესა და ძალადობას ცხოვრების პრაქტიკულ ნაწილში ვხვდებით. ამ ყველაფრის მიღმა კი, პროპაგანდა დგას.[2]

ორი სოციალური სისტემა ჩაბმულია გლობალურ ბრძოლაში, რომელშიც სოციალისტური ძალადობის უარყოფის ალტერნატივად, კაპიტალისტური ექსპლუატაცია წარმოგვიდგება. მაგრამ სოციალისტურ ძალადობას აქვს შესაძლებლობა გაარღვიოს ტერორისა და კონტრტერორის მოჯადოებული წრე, რამდენადაც ის წარმართულია იმ კლასის ზეეროვნული სოლიდარობით, რომლის შინაგანი ლოგიკის მიხედვითაც, მას ძალუძს ჰუმანიზმი იდეოლოგიიდან რეალობაში გადათარგმნოს. მერლო-პონ-

---

[1] იგულისხმება დასავლეთ ევროპის ქვეყნები.

[2] მერლო პონტი, ჰუმანიზმი და ტერორი, (პარიზი, 1947), გვ. 197.

ტიმ იცოდა, რომ კონკრეტულად ეს მდგომარეობა დიდ ხანს ვერ გაგრძელდებოდა, ასევე ისიც, რომ პროლეტარიატმა, კომუნისტურ მონახაზში, თანდათანობით შეწყვიტა მთავარ აღმნიშვნელად ყოფნა, მაგრამ მან უარი თქვა ჩაბმულიყო ჰუმანიზმის იდეოლოგიურ გადარჩენაში, ასევე უარი თქვა არსებული განვითარების ჰუმანისტური ღირებულებების სახელით უარყოფაზე:

მარქსიზმისთან დასაპირისპირებლად, პრინციპი „მორალურობა პირველ რიგში“, უგულებელყოფს მას(მარქსიზმს) სწორედ იმ არეალში, რაც წარმოადგენს სამყაროს წარულსა და აწმყოში ყველაზე ჭეშმარიტს, ეს ვითარება კი, პრობლემისთვის გვერდის ავლას ნიშნავს.[3]

გამოსავალი:

ისაუბრო ჰუმანიზმზე „ჰუმანისტური სოციალიზმის“ მხარეს ყოფნის გარეშე, ანგლო-საქსური მანერით, გაუგო კომუნისტებს კომუნისტად ყოფნის გარეშე, ნიშნავს იმას, რომ შენს თავს, არსებულ კონფლიქტებზე მაღლა აყენებ. სინამდვილეში, ეს არის მახეში გახლართვისა და შეცდომის დაშვებისგან თავის დაძვრენა. კი მაგრამ, ჩვენი ბრალია, რომ დასავლური ჰუმანიზმი მცდარად წარიმართა, რადგან ისიც ომის მაწარმოებელი აპარატია? და ნეტა მხოლოდ მარქსიზმს, მისი(ჰუმანიზმის) მახასიათებლების შეცვლით, შეუძლია ჩვენი გადარჩენა?[4]

ადამიანის რეალობა „გახსნილი“ სისტემაა: ვერც ერთი თეორია, მარქსისტული თუ სხვა, ვერ იტვირთავს საკითხის გადაწყვეტას. ისტორიის გაუთვალისწინებელმა მოვლენამ, რომელიც დღეს ჰუმანიზმს უარყოფს, შესაძლოა ერთ დღესაც თვითონ ეს უარყოფა უარყოს. ამასობაში, არსებობენ დამონებული ადამიანები, რომლებმაც თავიანთი გათავისუფლების პროცესი, ბოლომდე უნდა მიიყვანონ. იმისათვის, რათა მათი ცნობიერება განვითარდეს, რათა გაიაზრონ თუ რა ხდება მათ გარშემო, რათა შემზადდეს საკმაოდ სარისკო საფუძველი მომავალი

---

[3] იქვე.

[4] მერლო პონტი, ჰუმანიზმი და ტერორი, (პარიზი, 1947), გვ. 203.

ალტერნატივებისათვის, ჩვენთვის, არამარტო როგორც მარქსისტებისთვის, არამედ როგორც ინტელექტუალებისათვის, მათთვის ვინც ჯერ კიდევ ინდოქტრინაციის მიღმაა, კომუნისტებისთვის, ისევე როგორც არაკომუნისტებისათვის, აუცილებელია რამდენიმე დავალების შესრულება.

დღეს, დესტალინიზაციის შემდგომ, კომუნისტურ სამყაროში მიმდინარე გათავისუფლებისა და დეცენტრალიზაციის პირობებში, პრობლემის გადაჭრის გზა არც ისე ხილულია, ვიდრე ის ომამდე იყო. არც საბჭოთა კავშირი გახდება დასავლეთთან აღთქმული შეთანხმებებით მეტად „ჰუმანისტური“ და ასევე, არც დასავლეთი -ამ შეთანხმებების გაზიარებით. მაგრამ კაპიტალისტური და კომუნისტური საზოგადოებების ომის შემდგომი განვითარება, თანაარსებობის ფორმატში, გვაჩვენებს, რომ სოციალისტური ჰუმანიზმის პერსპექტივა, ამ საზოგადოებების ტექნიკური და მწარმოებლური შესაძლებლობების გათვალისწინებით, გადაისინჯება. ეს მოხსენება კი, ამ საკითხის შესახებ, მხოლოდ რამდენიმე ასპექტს გაუსვამს ხაზს.

მარქსისტულ კონცეფციაში, სოციალიზმი იმდენად არის ჰუმანიზმი, რამდენადაც ის შრომის დანაწილების მაორგანიზებელი, „საჭიროების საუფლოს“ იმგვარად გარდამქმნელია, რომ ადამიანმა საკუთარი სოციალური და ინდივიდუალური მოთხოვნილებები, ექსპლოატაციის გარეშე, მინიმალური მსხვერპლის გაღებით დაიკმაყოფილოს. სოციალური წარმოება, კონტროლირებული გამაშუალებელი მწარმოებლების მიერ, გააზრებულად უნდა მიემართოს ამ მიზანს. საჭიროების საუფლოს (რომელიც ნდომისა და შრომის სამყაროდ შენარჩუნდება) რაციონალური ორგანიზებით კი, ადამიანი შეძლებს თავისი თავის ყოველმხრივ განვითარებას. თუმცა საჭიროების საუფლოს თვისობრივად ახალი სტრუქტურა, რომელზეც ჭეშმარიტი ადამიანური ურთიერთობების აღმოცენებაა დამოკიდებული, სანაცვლოდ ითხოვს იმ კლასის არსებობას, რომლისთვისაც ადამიანური ურთიერთობების რევოლუცია, სასიცოცხლო აუცილებლობას წარმოადგენს.

სოციალიზმი ჰუმანიზმია იმ არეალში, რომელშიც ეს აუცილებლობა *(ადამიანური ურთიერთობების რევოლუცია)* და მიზანი წინასწარ არსებულია, ეს იმას ნიშნავს, რომ სოციალიზმს, როგორც ჰუმანიზმს, თვითონ კაპიტალისტური საზოგადოების შიგნით აქვს საკუთარი ისტორიული აპრიორულობა. მათ, ვინც არსებული საზოგადოების ჰუმანურ საფუძველს აკონსტიტიურებს, არანაირი საერთო აქვთ დღევანდელი სოციუმის ექსპლოტატორულ ინტერესებთან და კმაყოფილებებთან. მათი სასიცოცხლო საჭიროებები, არაჰუმანური არსებობის მთელს, ტრანსცენდირებს *(ანუ არსებულის საზღვრებიდან გაიყვანს)* უნივერსალური ჰუმანური აუცილებლობებისაკენ, რომელიც ჯერ კიდევ ნაკლოვანია. *იმის გამო, რომ მათი ძირეული არსებობა, არსებულის უარყოფაა, ისინი თავისუფალნი არიან საკუთარი თავის გათავისუფლებასა და შესაბამისად, კაცობირობის ხსნაშიც.* ამ დიალექტიკურ მონახაზში, სოციალიზმის ჰუმანისტური შინაარსი, აღმოცენდება არა როგორც ღირებულება, არამედ, როგორც საჭიროება, არა როგორც მორალური მიზანი და გამართლება, არამედ როგორც ეკონომიკური და პოლიტიკური პრაქტიკა, როგორც მატერიალური კულტურის საფუძვლის ნაწილი.

ეს დიდი რამაა მარქსისტული კონცეფციისათვის. მისი ისტორიული ღირებულება აშკარაა. სოციალიზმი, ჭეშმარიტად ჰუმანიზმია ინდუსტრიული საზოგადოების განვითარებაში დაკავებული სპეციფიკური ადგილის გამოისობით, განსაზღვრული, კლასობრივი ცნობიერების მატარებელი პროლეტარიატის მოქმედებით, ინტერესითა და არსებობით, რომელიც ზეეროვნულ სოლიდარობაში ხორციელდება. ეს ისტორიული კონფიგურაცია დაჯაბნილია მოწინავე ინდუსტრიული საზოგადოების არსებული განვითარებით. ინტენსიობა, რომელშიც ჩვეული წინააღმდეგობანი თავიანთ თავს ავლენენ, იგივეობრივია წარმოებისა და ძალაუფლების ზრდის ინტენსიობის, რომლებიც ხსენებული წინააღმდეგობების გადალახვის საჭიროებას მკაცრად ახშობენ. საჭიროების საუფლოს რაციონალური ორგანიზების ინსტრუმენტები,

რომლებიც გამოიყენება არსებობისათვის ბრძოლის ინტენსიფიკაციისა და გახანგრძლივებისათვის, ტოტალური მობილიზებისათვის და არა- დაშოშმინებისათვის, ტექნიკური პროგრესის დამსახურებით, იმდენად დაიხვეწა, რომ მარქსი ამას ვერც კი განჭვრეტდა. შედეგად, დასაქმებულის თავისუფალი დროის გაზრდის საფრთხეს, ხელმძღვანელობამ, იმისათვის, რათა ჩაგვრა შენარჩუნებულიყო, ამ დროის შთანთქმით უპასუხა. ტექნოლოგიური რაციონალობა პასუხობს ცივი ომის მოთხოვნებს არა მხოლოდ საგარეო მტერთან მიმართებით, არამედ საზოგადოების შიგნით არსებულ მტერთან მიმართებითაც, ის ეწინააღმდეგება არსებობის თვისებრივად ახალ მოდელს, რომელსაც ძალუძს, რომ ადამიანი, მის მიერვე შექმნილი აპარატისაგან გაათავისუფლოს.

არსებული ინდუსტრიული საზოგადოების პირობებში, არაფერია იმაზე მეტად საგრძნობი, ვიდრე შიში სტადიისა, რომლის დროსაც ტექნიკური პროგრესი ადამიანურ პროგრესად შემობრუნდება: ცხოვრების თვითდადგენა იმ უნარების განვითარებით, რომლებიც არსებობისთვისა და ადამიანად ყოფნისათვის ბრძოლის[5] ინტენსიობას, როგორც საბოლოო მიზნებს, შეასუსტებენ. ეს შიში ეხება ბათილად ყოფნისა და სიცარიელის შეგრძნობას, რომელიც უნდა კომპენსირდეს, თუმცა ეს ვერ ხერხდება უფრო დიდი და მეტად მოხერხებული მმართველობითი აპარატის შექმნის გარეშე. არამხოლოდ პოლიტიკური, არამედ ტექნიკური საწარმოო აპარატი უკვე გარდაიქმნა დომინაციის სისტემად და სწორედ ის(სისტემა) აკავშირებს მშრომელთა კლასს ერთმანეთთან (მათ მობილიზებას ახდენს). „მათი მდგომარეობის შინაგანი ლოგიკა," რომლის მიხედვითაც ისინი სოციალისტური ჰუმანიზმის სოციალური აგენტები იყვნენ, დღეს შეცვლილია. სოციალიზმისა და ჰუმანიზმის ჭეშმარიტი იგივეობა უკვე გარღვეულია,

[5] არსებობისათვის ბრძოლა არის კაპიტალისტური საზოგადოების ნორმალური ფუნქციონირება, რაც მარკუზესათვის ცალსახად პათოლოგიური მოვლენაა.

ის არც არასოდეს ყოფილა უშუალო იდენტურობა: ეს მაშინ იყო შესაძლებელი, თუ „ჭეშმარიტი მდგომარეობა“ (ისტორიის ჭეშმარიტი განვითარება) იყო ჩაჭერილი და ტრანსცენდირებული ისტორიული სუბიექტების ცნობირებასა და ქმედებებში. ხსენებული გაშუალება ჩახშობილია ტექნიკური პროგრესის განუზომელი ძალაუფლებით, რომელიც შედუღაბებულია ტოტალიტარული დომინაციის ინსტრუმენტთან და მოქმედებს არამარტო ეკონომიკური და სამხედრო კონცენტრაციის გავლით, არამედ თავსმოხვეული ცხოვრების პირობების მეშვეობითაც. მაშინ, როცა ტექნიკური პროგრესი ამ მიმართულებით ბატონობს, მესაკუთრეთა და წარმოების საშუალებათა კონტროლში განხორციელებული ცვლილებები, იქნება არა თვისებრივი, არამედ რაოდენობრივი. სოციალისტური ჰუმანიზმის შინაარსის გათავისუფლების წინაპირობა, ტექნიკური პროგრესის მიმართულების ფუნდამენტური შეცვლაა, ტექნიკური აპარატის ტოტალური გადაკეთება (რეკონსტრუქცია). დღეს, ჰუმანიზმის ისტორიული იდეა, სწორედ ეს არის.

ჰუმანიზმის სხვაგვარი გაგებანი, მე-18 და მე-19 საუკუნეების კუთვნილებაა. ისინი ადამიანის იმგვარი ტიპის წარმოდგენას ეპოტინებიან, რომელიც საზოგადოების განვითარებამ უკვე გადალახა. ამგვარი კლასიკური წარმოდგენა, მარქსის ადრეულ ნაწერებშიც შეიმჩნევა. ეს გამოიხატება ყოველმხრივი ინდივიდის ცნებაში, „პიროვნულობაში“, რომელიც თვითკმარია და თავისუფლების საუფლოში არსებობს. მაგრამ ეს ცნება ეხება იმ სტადიას, რომელშიც ინტელექტუალური კულტურა ჯერ კიდევ გამოყოფილი იყო მატერიალური კულტურისაგან, როცა ის ჯერ კიდევ არ იყო მიერთებული მასობრივ წარმოებასა და მოხმარებაზე, რომელშიც მეცნიერული მენეჯმენტი, სულსა და გონებაზე, ჯერ კიდევ ვერ დომინირებდა, არც დრო და სივრცე გახლდათ ოკუპირებული ბიზნესისა და ორგანიზებული რელაქსაციის მიერ (იგულისხმება შვებულება და მსგავსად ორგანიზებული თავისუფალი დრო), რომელშიც ჯერ კიდევ არსებობდა

საჭიროებისაგან მოცილებული თავისუფლების საუფლო. ამიტომ რთულია იმის წარმოდგენა, თუ რას გააკეთებდა (ან ვერ გააკეთებდა) მარქსის ყოველმხრივი ინდივიდი, ამგვარ პირობებში. არსებობს სიმართლის სამწუხარო დედაარსი, რომელიც გამოიხატება იმგვარი თავისუფალი ინდივიდების ხედვის უმოწყალო გაკიცხვაში, რომლებიც მთელ დღეს, ნადირობასა, თევზაობასა და შემოქმედებითობაში ატარებენ. თუ ეს ხედვა ხვალ რეალობად იქცევა, ეს ნამდვილად მოასწავებს თავისუფლებისა და ჰუმანურობის უარყოფას.

სარწმუნოა, რომ მარქსმა, თავისი ადრეული ცნებანი, ადამიანთა თავისუფლების შესახებ, გადაამუშავა. ის (ამ საკითხის შესახებ) პოზიტიური მსჯელობების გამოყენებისგან თავს იკავებდა და უფრო მეტად, თავისუფლების კონდიციის შესწავლით იყო დაკავებული, ვიდრე თვითონ თავისუფლების, როგორც მიღწეული მიზნის გამოკვლევით. მიუხედავად ამისა, დასრულებული მარქსისტული თეორია ადამიანის იმგვარ გაგებას ინარჩუნებს, რომელიც დღეს, იდეალისტურად(არ იგულისხმება ფილსოფიური მიმდინარეობა) და ოპტიმისტურად წარმოჩინდება. მარქსი სათანადოდ ვერ აფასებდა ადამიანისა და ბუნების შეპყრობას, თავისუფლების ტექნოლოგიებით მართვასა და თვითრეალიზებას. მან ვერ განჭვრიტა ტექნოლოგიური საზოგადეობის დიდი მიღწევები: თავისუფლებისა და საჭიროების, კმაყოფილებისა და შეზღუდვის ასიმილაცია, პოლიტიკის, ბიზნესისა და ინდივიდის მისწრაფება. ამ მიღწევების გათვალისწინებით, სოციალისტური ჰუმანიზმი, მეტად ვეღარ განისაზღვრება ყოველმხრივი ინდივიდისა და თვითგანსაზღვრულობის ცნებებით. თუ ნავარაუდებია, რომ ეს უკანასკნელნი უფრო მეტია, ვიდრე მცირეთა პრივილეგია, თუ ისინი უნივერსალურ შესაბამისობას გამოხატავენ, მაშინ ვშიშობ, რომ ეს იდეები, არსისა და მნიშვნელობისგან დაცარიელებულნი არიან. მათი განხორციელება მოითხოვს იმგვარ პირობებს, რომელშიც ადამიანი თავისი დღიური შრომით კმაყოფილდება, რომელშიც სოციალურად საჭირო შრო-

მა, გადაიქცევა „მიმზიდველ შრომად“, რის შესაძლებლობასაც მარქსი კატეგორიულად უარყოფდა: „შრომა, როგორც ფურიეს სურდა, შეუძლებელია იქცეს თამაშად“.[6] გარდა ამისა, ჰუმანიზმის ამგვარი წარმოდგენა უარყოფით კონოტაციასაც შეიცავს: ტექნოლოგიამდელი „მაღალი კულტურა“, რომელიც „დაბალგანვითარებულ კულტურას“, უცვლელად ტოვებს. მარქსმა გააცნობიერა ამგვარი ჰუმანიზმის იდეოლოგიური ხასიათი, როცა ადრეული ნაშრომების „მეტაფიზიკური“ ცნებები, პოლიტეკონომიურ კონცეპტებად გარდაქმნა. ჰუმანიზმი შესაძლებელია მხოლოდ საბაზრო ეკონომიკისა და მისი ინსტიტუტების ამოძირკვის პირობებში, შრომის რაციონალური, სოციალისტური ორგანიზებით. სწორედ ამის შემდეგ შეიძლება, რომ ადამიანმა საკუთარი ცხოვრება თვითონვე წარმართოს და იყოს ადამიანი. ამის შემდგომაც კი, თავისუფლების ჭეშმარიტი საუფლო, რომელიც თავის თავში დასრულებულია, მხოლოდ საჭიროების საუფლოს მიღმა ვითარდება. შრომის სოციალისტურმა ორგანიზებამ შექმნა თავისუფალი დრო და „თავისუფალი დრო, რომელიც ასევე მოცალეობის ჟამია, ისევე როგორც მეტად პროდუქტიული აქტივობების პერიოდი, ადამიანს გარდაქმნის განსხვავებულ სუბიექტად და როგორც ეს განსხვავებული სუბიექტი, ადამიანი, შეაბიჯებს უშუალო წარმოების პროცესში.“[7]

დღეს, მოწინავე ინდუსტრიული საზოგადოება ქმნის თავისუფალ დროს, მაგრამ მისი მფლობელი არ არის „განსხვავებული სუბიექტი“. კაპიტალისტურსა და კომუნისტურ(იგულისხმება სსრკ) სისტემებში, თავისუფალი დროის სუბიექტი დამორჩილებულია იმავე ნორმებსა და ძალაუფლებას, რომელიც მართავს საჭიროების საუფლოს.

სოციალიზმისა და ჰუმანიზმის იგივეობისთვის არსებული ობიექტური პირობების გავლის შემდეგ, სოციალიზმი, რომელიც

---

[6] მარქსი, პოლიტიკური ეკონომიის კრიტიკის საფუძვლები, გვ.599. (Berlin: Dietz, 1953)

[7] იქვე.

ტრადიციული ჰუმანისტური ღირებულებებით ხელმძღვანელობს, ვერ იქნება ჰუმანისტური. თანაარსებობის პირობებში, ამგვარი ჰუმანიზაცია აუცილებლად იდეოლოგიური და შინაგანად უძლურია. ჩვენ აქ უნდა განვასხვავოთ კაპიტალისტური და სოციალისტური ჰუმანიზმი. კაპიტალისტურ სამყაროში, ადამიანის უფლებებისათვის, სიტყვისა და შეკრების თავისუფლებისათვის, კანონის წინაშე თანასწორობისათვის ბრძოლა, რომელმაც შესამჩნევი გახადა ლიბერალური ხანის დაწყება, საბოლოოდ ისევ სასოწარკვეთილი შფოთია, მაშინ როცა ნათელი ხდება, თუ რა არეალში რჩება ეს თავისუფლებები შეზღუდულად და უარყოფილად. და ეს ბრძოლა ხელშეშლილია იმ ხარისხით, რა ხარისხითაც ის პატივს მიაგებს, საკუთარი ქმედებებითა და ტანჯვით, ლიბერალურ ღირებულებებს, რომელსაც მოწინააღმდეგე დაუსჯელი ძალადობით ეგებება. კომუნისტურ სამყაროში(იგულისხმება სსრკ) ინდივიდუალური უფლებების და თავისუფლებების განმტკიცება, მუშათა კლასის ინიციატივა, ხელს შეუწყობს პოლიტიკური და ეკონომიკური რეპრესიის უკუგდებასა და უარყოფას, რომელზეც (რეპრესიაზე) არსებული რეჟიმია დამოკიდებული და რომელსაც ის განიხილავს, როგორც დაცვისა და ზრდის მთავარ წინაპირობად შეჯიბრებითობის პრინციპზე აგებულ თანაარსებობაში(ცივი ომი). ამ ლოგიკის მიხედვით, ეფექტური წინააღმდეგობა კომუნისტური საზოგადოების შიგნით, ისედაც არასაიმედო საერთაშორისო ბალანსს, კაპიტალიზმის სასარგებლოდ გადახრის, რომელიც სოციალისტური ჰუმანიზმისთვის არც ისე ნათელი პერსპექტივაა. მუშათა კლასი მეტად აღარ არის ის, ვინც რევოლუციას ერთხელ უკვე მიმართა, მათი ინიციატივა არ ჰგავს საერთაშორისო სოციალისტური სოლიდარობის აღდგენის მცდელობას.

ეს არის მოცემული ისტორიული კონდიციები, რომელსაც სოციალისტური ჰუმანიზმი, შეცდომებისა და შანსების გაცნობიერებით, გაბედულად უნდა შეხვდეს, თუ მას არ სურს, რომ არსებული იდეოლოგიების ადეპტი გახდეს. მოწინავე ინდსუტრიულ

საზოგადოებას ძალუძს იზრუნოს ჰუმანისტურ ღირებულებებზე, ისე, რომ პარალელურად, არაჰუმანური მიზნების კვალში ჩადგეს: ის კულტურასა და პიროვნულობას ავითარებს მძიმე ჯაფის, უსამართლობის, ატომური შეირაღების, ტოტალური ინდოქტრინაციისა და უმართავი წარმოების პირობებში. ის ინტენსივობა, რომლითაც ძალაუფლება მოსახლეობას მათივე გათავისუფლების წინააღმდეგ მოაბილიზებს, ხელს შეუწყობს საზოგადოების მზარდ შესაძლებლობებს, ამ გათავისუფლების მისაღწევად. თუმცა რამდენადაც ეს შესაძლებლობები, სტატუს-კვოს დასაცავად, დომინაციის ინტერესების მიხედვითაა შთანთქმული, ისინი რჩებიან იმგვარ ტექნიკურ საშუალებებად, რომლებიც ჰუმანისტური რეალიზაციისთვის მიუწვდომელია. როგორც ტექნიკური საშუალებები, ისინი განსაზღვრავენ სოციალისტური ჰუმანიზმის პერსპექტივას. ფატალური კავშირის გაწყვეტა ტექნიკურ პროგრესსა, დომინაციის ზრდასა და ექსპლოატაციას შორის წინაპირობაა. ჰუმანიზმი უნდა შენარჩუნდეს იდეოლოგიად მანამ, სანამ საზოგადოება დამოკიდებულია განგრძობით სიღარიბეზე, მასმედიაზე, ხმაურსა და დაბინძურებაზე, ფიზიკურ და მენტალურ შეიარაღებაზე. ეს კონდიციები და ინსტიტუტები წარმოადგენენ სოციალურ კონტროლს, ანარჩუნებენ და განავრცობენ არსებულ წესრიგს. მაშასადამე მათი აღმოფხვრა ჰუმანიზმის სასარგებლოდ, რევოლუციური გარდატეხა იქნება, რომელიც თავდაყირა დააყენებს ადამინური ეგზისტენციის საჭიროებებსა და აუცილებლობებს. ის, რაც ტოტალიტარიზმის წინარე ხანაში, თავისუფლების წინაპირობად მოჩანდა, შესაძლოა წარმოადგენდეს მის სუბსტანციას, მის ისტორიულ შინაარსს. თავისუფლება, ისევე როგორც ჰუმანიზმი, საზოგადოებაში მყოფი ადამიანებისა და მათივე შესაძლებლობების ხასიათის მიხედვით უნდა განისაზღვროს. მოწინავე ინდუსტრიულ საზოგადოებაში, წარმოებისა და განაწილების აპარატი, გარდაიქმნა ტოტალიტარულ პოლიტიკურ აპარატად, რომელიც მართავს ცხოვრების ყველა განზომილებას, როგორც თავისუფალ, ასევე სამუშაო

დროს, ნეგატიურსა და პოზიტიურ აზროვნებას. ამ საზოგადოების მსხვერპლთათვის, მოსარგებლეთათვისა და მემკვიდრეებისათვის, თავისუფლების საუფლომ დაკარგა თავისი კლასიკური მნიშვნელობა- მისი თვისებრივი განსხვავება საჭიროების საუფლოსაგან. ეს არის ჯაფის, ტექნიკის სამყარო, რომელიც ადამიანებმა საკუთარი ძალისხმევით უნდა გარდაქმნან: საჭიროების საუფლო, თავისუფლების საუფლოდ უნდა იქცეს. წარმოების, განაწილებისა და მოხმარების აპარატი უნდა რეკონსტრუირდეს. ტექნოლოგიური რაციონალობა უნდა მიემართოს ადამიანთა ნებას, რომელიც ერთ მშვენიერ დღეს, მშვიდობიან სამყაროში ცხოვრებას გადაწყვეტს და თავიდან მოიშორებს ამ ძალისხმევის შემაფერხებელ ბატონებს. ეს არ ნიშნავს შრომის აპრიორი ჰუმანიზაციას, თუმცა -წარმოებისა და მექანიზაციის იმგვარ დაგეგმარებას, რომელიც ახალი საჭიროებების აღმოცენებასთან ერთად, არსებობის შენარჩუნებისათვის ბრძოლასაც დააშოშმინებს. ასევე შესაძლებელია ახალი ტექნოლოგიების რამდენიმე ასპექტის გამოყოფაც: დიდი და პატარა ქალაქების სრული აღდგენა, რეპრესიული ინდუსტრიალიზაციის მიერ გაჩანაგებული ადგილების რეკონსტრუქცია, საჯარო სერვისების გამართვა, რომელიც ასაკიანებსა და სნეულებზე იზრუნებს.[8]

ჰუმანიზმის მარცხი ჭარბი განვითარების ბრალია და არაჩამორჩენილობის. საწარმოო აპარატი, რომელიც რეპრესირებულია, გარდაიქმნა საყოველთაო კონტროლის აპარატად, ჰუმანიზმის რეკონსტრუქციის შანსი კი, დემოკრატიულ, თუ ავტორიტარულ გარემოში, ძალიან მცირეა. ეს ვითარება ნათლად გამოკვეთს მარქსისტული კონცეფციის ისტორიულ ჭეშმარიტებას. სოციალიზმის ჰუმანისტური პროექტის განხორციელების შესაძლებლობა დამოკიდებულია არა წარმოების საშუალებების სოციალიზაციაზე, რაც ცხადია, რომ აუცილებელი წინაპირობაა,

[8] აზზაცში შემოთავაზებული იდეები დეტალიზირებულია ჩემს „ერთგანზომილებიან ადამიანში“ (Studies in the Ideology of Advanced Industrial Society (Boston: Beacon Press, 1964), esp. Chs. 9 and 10.)

არამედ იმგვარი სოციალური კლასის არსებობაზე, რომლის ცნობიერება და პრაქტიკა განმსჭვალულია არსებული წესრიგის აღმოფხვრის სურვილით. ტექნიკის ტოტალიზირების ხანამ ვერ გააბათილა ეს სიმართლე: მნიშვნელობა არ აქვს თუ როგორი ტექნიკური ბაზისი ექნება სოციალიზმს, როგორ შემოატრიალ-ებს ტექნიკურ პროგრესსა(თავის სასარგებლოდ) და ტექნიკურ რაციონალობას, ეს ყველაფერი პოლიტიკურ განზომილებას მი-ეკუთვნება, რომელიც საზოგადოების, როგორც მთელის, რადი-კალურად შეცვლის პროცესშია ჩართული. არსებულ წესრიგში ტექნიკური პროგრესი გადაჯაჭვულია პოლიტიკურ პროგრესთან(ტექნიკური პროგრესი განაპირობებს კონტროლის საშუალებების განვითარებას). ეს არის პროგრესი, რომელიც ალტერნატივების აკრძალვას ემსახურება. ფაქტი, რომ ყველაზე მეტად განვითა-რებულ იდნუსტრიულ არეალებში, ხსენებული აკრძალვა არატ-ერორისტულ, არამედ დემოკრატიულ სახეს იღებს, არაფერს არ ცვლის. თუკი აკრძალვა თავსებადია პიროვნულ ავტონომიასთან და ოპერირებს პიროვნული ავტონომიის გავლით, მაშინ ნორმა *(Nomos)*, რომელსაც ინდივიდი საკუთარ თავს უწესებს, მონო-ბის წინაპირობაა. ეს ნორმა *(Nomos), რომელიც ჩვენი დრო-ის კანონმდებელია,* არსებობის შენარჩუნებისათვის ბრძოლის დაშოშმინებას, როგორც ნაციონალურ, ისე ინტერნაციუნალურ, როგორც საზოგადოებრივ, ისე ინდივიდუალურ დონეზე, კანონ-გარეშედ აცხადებს. არსებული წესრიგის ლოგიკა ასეთია: შე-ჯიბრი უნდა გაგრძელდეს მოგებისათვის, ძალაუფლებისათვის, შრომისთვისა და გართობისათვის, უკეთესი მომსახურებისათ-ვის, ეს ყველაფერი კი, საბოლოოდ, ზრდის წარმოების მთელს, რომელიც ამგვარი ტიპის შეჯიბრებითობას ახანგრძლივებს და საკუთარ მსხვერპლთ, სისტემით მოსარგებლეებად გარდაქმნას ჰპირდება, რომელნიც შემდგომში(ამ სისტემის) კონტრიბუტორე-ბად უნდა მოგვევლინონ. იმ ხარისხით, რომლითაც სხვა საზო-გადოებები ჩათრეულნი არიან ამ მანკიერ წრეში, თვისებრივი განსხვავება სოციალისტურსა და კაპიტალისტურ სამყაროებს

შორის წაიშალა, ცხოვრების გაუმჯობესებულ სტანდარტს კი, ზურგს ექსპლოატაცია უმაგრებს.

სოციალისტურ თეორიას, ისტორიული შესაძლებლობების სახელით, არ აქვს უფლება გაკიცხოს მზარდი სოციალური წარმოება, რომელიც მოსახლეობის ცხოვრების სტანდარტის გაუმჯობესებას ემსახურება. მაგრამ აქ კითხვა არ ეხება მომავალ შესაძლებლობებს, საქმე აწმყოშია. ამ რეალობაში, კაცობრიობის უარყოფა ყველა მიღწევაზე ვრცელდება, რაც გამოიხატება: განადგურებისათვის ყოველდღიურ მზადყოფნაში, მიწისქვეშა არსებობისათვის საჭირო აღჭურვილობაში, ნარჩენების უფრო ხელმარჯვე დაგეგმარებაში, მედიის უშინაარსობიდან თავდაუღწევლობაში, პირადი სივრცის გაუქმებასა და ალბათ ყველაზე ეფექტურ უარყოფაში, რომელიც ამავე დროს არსებულის განწირული გაცნობიერებაა, საჯარო აღიარებასა და კრიტიციზმში, ამ იმპოტენციაში, თუ, რა თქმა უნდა, ის ძალადობრივად არ არის ჩახშობილი. ამგვარად, გათავისუფლების საჭიროება არსებობს: ის არსებობს, როგორც უნივერსალური საჭიროება, რომელიც ერთი კონკრეტული კლასის მიღმაა, ის არსებობს მხოლოდ „თავის თავში“ და არა საჭიროების მქონე პირთათვის. და ისევ, სოციალიზმი წარმოჩინდება, როგორც აბსტრაქტული იდეა; ამ იდეის ერთგულება ყოველგვარი ილუზიის შექმნას გამორიცხავს. მისი ეს აბტრაქტულობა, სულაც არ აღნიშნავს სიყალბეს. პროლეტარიატი, რომელიც ერთ დროს გამათავისუფლებელი უნდა ყოფილიყო, ინდუსტრიული საზოგადოების განვითარების გარდასულ ეტაპს მიეკუთვნება. სოციალისტურ თეორიას, აღარ ძალუძს ისტორიული გარდაქმნის აგენტების წინასწარ განჭვრეტა, რომლებიც დღეს, ისე როგორც არასდროს, მოარული აჩრდილები არიან. თუმცა სოციალისტურ თეორიას შეუძლია დაგვანხვოს, რომ ეს აჩრდილები, სასიცოცხლო საჭიროების გამოსახულებებს წარმოადგენენ. მას შეუძლია ამ საჭიროების ცნობიერების განვითარება და ამგვარად, ის საფუძვლად უდევს სტატუს-კვოს დასაცავად არსებული ერთობების დაშლას.

ჰერბერტ მარკუზე

აგრესიულობა მოწინავე ინდუსტრიულ საზოგადოებებში

ტექსტში ვაპირებ განვიხილო დაძაბულობები და სტრესები, რომლებიც თავს იჩენენ ე.წ „დიდი მატერიალური შესაძლებლობების მქონე საზოგადოებაში“, ეს დახასიათება კი(ავად თუ კარგად), ამერიკული სოციუმის ამჟამინდელ მდგომარეობადაც შეიძლება წარმოგვიდგეს. ასეთი „მოწინავე“ საზოგადოების მახასიათებლები შემდეგია: (1) უხვი ინდუსტრიული და ტექნიკური შესაძლებლობები, რომელთა დიდი რაოდენობაც ხმარდება ფუფუნების საგნების, სამხედრო ან ნახევრად სამხედრო აღჭურვილობის, მოკლედ ისეთი სერვისებისა და საქონლის შექმნას, რომლებსაც ეკონომისტები და სოციოლოგები „არაპროდუქტიულს“ უწოდებენ. (2) ცხოვრების მზარდი სტანდარტი, რომელიც ვრცელდება ადრინდელ პერიოდში არაპრივილეგირებულ მდგომაროებაში მყოფი პოპულაციის ნაწილზეც. (3) ეკონომიკური და პოლიტიკური ძალაუფლების კონცენტრაციის მაღალი ხარისხი, რომელიც მაღალორგანიზებულია და კომბინირებულია ეკონომიკაში მთავრობის ინტერვენციის მაღალ სიხშირესთან. (4) პიროვნებისა თუ ჯგუფების მეცნიერული და ფსევდომეცნიერული შესწავლა, კონტროლი და მათზე მანიპულაცია, სამუშაო და გართობის პერიოდში(ეს შესწავლა მოიცავს ფსიქოლოგიურს, სულიერს, არაცნობიერს და ქვეცნობიერს) პოლიტიკური და კომერციული მიზნებისთვის. ყველა ეს ტენდენცია არის ურთიერთდაკავშირებული, ისინი ქმნიან სინდრომებს, რომლებიც „მოწინავე საზოგადოების“ ნორმალური ფუნქციონირების წარმომჩენია. ამ მახასიათებლების ურთიერთკავშირის

დემონსტრირება არ არის ჩემი დღევანდელი ამოცანა. მე ხაზი გავუსვი მათ არსებობას, როგორც სოციოლოგიურ ბაზისს იმ თეზისთვის, რომელზე საუბარიც მინდა, სახელდობრ იმას, რომ ის სტრესები და დაძაბულობები, რომლითაც იტანჯებიან „მოწინავე საზოგადოებაში“ მყოფი ინდივიდები, ეყრდნობა ამ სოციუმის ნორმალურ ფუნქციონირებას და არა დარღვევებსა და კატაკლიზმებს.

„ნორმალური ფუნქციონირება“: ვფიქრობ ეს დეფინიცია არ არის წინააღმდეგობრივი ექიმებისათვის. ორგანიზმი ფუნქციონირებს ნორამლურად, როცა ის ფუნცქიონირებს დარღვევის გარეშე, ეს გამომდინარეობს ადამიანის შესახებ ფსიქოლოგიური და ბიოლოგიური ცოდნიდან. ადამიანის შესაძლებლობები სხვა ბიოლოგიურ სახეობებთან შედარებით განსხვავებულია, სახეობები, თავის მხრივ, ისტორიის განმავლობაში საკმაო ცვლილებებს განიცდიან, მაგრამ ეს ცვლილებები ხორციელდება ბიოლოგიურ და ფსიქოლოგიურ ბაზისში, რომელიც ძირითადად კონსტანტის სახით წარმოგვიდგება. უნდა ითქვას, რომ ექიმები დიაგნოზის ან მკურნალობის კურსის დადგენისას ითვალისწინებენ პაციენტის გარემოს, აღზრდას და მოღვაწეობის სფეროს. ეს ფაქტორები შესაძლოა ლიმიტებში აქცევდეს იმ არეალს, რომელშიც ნორმალური ფუნქციონირება უნდა მიიღწეს და განისაზღვროს, ან შესაძლოა ისინი ამ მიღწევას შეუძლებელსაც ხდიან, მაგრამ როგორც კრიტერიუმი და მიზანი, ნორმალურობა რჩება ნათელ და საგულისხმო კონცეპტად. ნორმალურობა „ჯანმრთელობის“ იდენტურია და ამ მდგომარეობიდან სხვადასხვა სახის გადახვევა, განსხვავებული სახის „დაავადებებად“ გვევლინება.

ფსიქიატრაიში სიტუაცია სრულიად განსხვავებულია. ერთი შეხედვით, ნორმალურობა აქაც იმავე კონტურებით ისაზღვრება, როგორც მედიცინის სხვა დარგებში. გონების ნორმალური ფუნქციონირება(ფსიქიკური, ფსიქო-სომატური) ინდივიდისთვის შესაძლებლობაა წარმოადგინოს, გამოხატოს თავისივე პოზიცია ბავშვობის პერიოდში, მოზარდობისას, როგორც მშობელმა, რო-

გორც დაქორწინებულმა ან დაუქორწინებელმა პერსონამ, მისი პროფესიისა, სტატუსისა და სამსახურის პარალელურად. მაგრამ ეს განსაზღვრება მოიცავს ახალი განზომილების ფაქტორებს, სახელდობრ, საზოგადოების. საზოგადოება არის ნორმალურობის ფაქტორი, უფრო არსებითი მნიშვნელობით, ვიდრე მხოლოდ ინდივიდზე გარედან თავს მოხვეული გავლენა, შესაბამისად „ნორმალურობა“ უფრო სოციალური და ინსტიტუციონალური მდგომარეობაა, ვიდრე ინდივიდუალური. ალბათ ადვილია იმის განსაზღვრა ან თქმა, თუ რა არის მომნელებელი სისტემის, ფილტვებისა და გულის ნორმალური ფუნქციონირება, მაგრამ არის შესაძლებელი იგივეს თქმა გონებაზე, როდესაც ის მიემართება სიყვარულს ან ურთიერთობის სხვა ფორმებს, სამსახურსა და გართობას, დირექტორთა საბჭოს შეხვედრას, გოლფის თამაშს, კრიზისებს, ციხეში ან არმიაში ყოფნას? თუ მომნელებელი სისტემისა და ფილტვის ნორმალურ ფუნქციონირებას ორგანიზმში მიმდინარე ჯანსაღ კოოპერაციას ვარქმევთ, იმავეს ვერ ვიტყვით გონებაზე. სინამდვილეში თუ ვინმე ყოველთვის ისე გრძნობს და იქცევა, როგორც სხვა, მაშინ ეს პათოლოგიური ვითარებაა. და რა არის „ნორმალური“ შეყვარება/სიყვარული, „ნორმალური“ ოჯახი, „ნორმალური“ საქმიანობა?

ფსიქიატრები შესაძლოა მოქმედებდნენ, როგორც ზოგადად სხვა განხრის ექიმები და მიმართავდნენ გავრცელებულ თერაპიას, რათა პაციენტს შეუქმნან ფუნქციონირების შესაძლებლობა მათ ოჯახში, სამსახურში, ან სხვა გარემოში, ამავე დროს ცდილობენ გავლენა მოახდინონ მათ გარემოზე ან შეცვალონ ის ისე, როგორც მათ ძალებს შეესაბამება. თუმცა ლიმიტები მათ მალევე აგრძნობინებს, რომ, მაგალითად, პაციენტის დაძაბულობა და სტრესი გამოწვეულია არამხოლოდ ბოლო პერიოდის ცუდი პირობებისგან სამსახურში, სამეზობლოში, მის სოციალურ სტატუსში, არამედ მისი სამსახურის, სამეზობლოსა და სტატუსის ზოგადი, ნორმალური ფუნქციონირების ბუნებით. ამ კონდიციებთან ინდივიდების ადაპტირება ნიშნავს დაძაბუ-

ლობასა და სტრესთან მათ შემგუებლობას, მათ ნორმად მიღებას, ან უფრო უარეს რამესაც, თუნდაც ნების დართვას ავად ყოფნაზე, ან ისე ცხოვრებაზე, რომ ეს ავადობა განვსაზღვროთ როგორც კარგად ყოფნა, იმ შემჩნევის გარეშე, რომ ინდივიდი არის ავად ზუსტად მაშინ, როდესაც ის თავის თავს განიხილავს ჯანმრთელად და ნორმალურად. ეს ის შემთხვევაა, როდესაც სამსახური, თავისი საკუთრივი ბუნებით, არის მტანჯველი, არარაციონალური(თუნდაც ეს სამსახური იყოს მაღალანაზღაურებადი და „სოციალურად“ საჭირო) და თუ პიროვნება ეკუთვნის რაიმე სახის უმცირესობას, რომელიც არაპრივილეგირებულად მიიჩნევა დანარჩენ საზოგადოებასთან შედარებით, ან ტრადიციულად ღარიბია და იმგვარი საქმით დაკავებული, რომელსაც „ჭუჭყიან“ ფიზიკურ შრომას უწოდებენ. მაგრამ ეს შემთხვევა შესაძლოა არსებობდეს ბარიერის მეორე მხარესაც, ბიზნეს და პოლიტიკის გიგანტებს შორის, სადაც ეფექტური და მომგებიანი მანიპულაციები, საჭიროებენ გონებრივ დაუნდობლობას, მორალურ ინდიფერენტულობას, მუდმივ აგრესიულობას. ასეთ შემთხვევებში, „ნორამლური“ ფუნქციონირება ყოველგვარი ადამიანურის დამახინჯებისა და დასახიჩრების ტოლფასია, არ აქვს მნიშვნელობა თუ როგორ მოკრძალებულად განსაზღვრავს ვინმე ადამიანურობის საზომებს. ერიხ ფრომმა დაწერა წიგნი „გონიერი საზოგადოება“, რომელიც მიემართება არა ამჟამინდელ, არამედ მომავალ საზოგადოებას, რომელიც ახლა არა გონიერი, არამედ შეშლილია. ინდივიდი, რომელიც ნორმალურად, ადეკვატურად და ჯანსაღად ფუნქციონირებს, როგორც დაავადებული საზოგადოების წევრი, თვითონვე ავად ხომ არ არის? და დაავადებულ საზოგადოებას, ანტაგონისტური კონცეპტი ხომ არ ესაჭიროება მენტალური სიჯანსაღის სახით, რაღაც მეტა-კონცეპტი, შედგენილი მენტალური თვისებრიობებით, რომლებიც არიან ტაბუირებულნი, დამახინჯებულნი ზუსტად ამავე საზოგადოებაში გავრცელებული „გონიერების“ საზომებით?

„დაავადებული საზოგადოების“ სავარაუდო განსაზღვრებად, ჩვენ შეგვიძლია აღვწეროთ ვითარება, როდესაც ძირითადი საზოგადოებრივი ინსტიტუციები და ურთიერთობები, მისი სტრუქტურა, არის შესაძლო მატერიალური და ინტელექტუალური რესურსების ოპტიმალური განვითარებისა და ინდივიდების საჭიროებებით დაკმაყოფილების შემზღუდავი და ჩამხშობი. რაც უფრო დიდია განსხვავება ადამიანის პოტენციურ და აქტუალურ კონდიციებს შორის, მით უფრო იზრდება სოციალური საჭიროება, რომელსაც მე „ჭარბ-რეპრესიას“ ვუწოდებ, ეს რეპრესია დაკანონებულია არა იმისათვის, რომ შეინარჩუნოს ან წინ წასწიოს ცივილიზაცია, არამედ იმისათვის რათა ხელუხლებლად დატოვოს სტატუს-კვო. ამგვარი ჭარბი-რეპრესიები, ნერგავს ახალ დაძაბულობასა და სტრესს ინდივიდებს შორის. სამსახურისა და სტატუსის დაკარგვის შიშით შეპყრობილი ინდივიდებისათვის, განსაკუთრებული მაიძულებელი პოლიტიკა არ არის საჭირო. მაგრამ თანამედროვე მოწინავე საზოგადოებაში, საზოგადოების არსებულ მოდელსა და თავისუფლების რეალურ შესაძლებლობებს შორის იმდენად დიდი განსხვავებაა, რომ აფეთქების პრევენციისათვის, საზოგადოებას უწევს დაარწმუნოს ინდივიდები, მისი ცნობიერის და არაცნობიერის სისტემატური მანიპულაციისა და კონტროლის გზით.

როდესაც ვსაუბრობ ჭარბი რეპრესიის, ან სისტემატური კონტროლისა და მანიპულაციის „საჭიროებაზე“ საზოგადოების არსებული მოდელის შესანარჩუნებლად, ხაზს არ ვუსვამ ინდივიდუალური გამოცდილების მქონე სოციალურ საჭიროებებსა და შეგნებულად გაცხადებულ პოლიტიკურ კურსებს. ვამჯობინებ ვისაუბრო ტენდენციებზე, რომლებიც შესაძლოა მხოლოდ არსებული საზოგადოების ანალიზის შემდეგ გამომჟღავნდეს და რომლებიც შესაძლოა არსებობდეს მაშინაც, როდესაც თვითონ ამ გარკვეული პოლიტიკური კურსების შემმუშავებლებიც არ არიან მდგომარეობის საქმის კურსში. ისინი გამოხატავენ არსებული, დაფუძნებული წარმოების აპარატის მოთხოვნილებებს,

განაწილებას და მოხმარებას, ეკონომიკურ, ტექნიკურ, პოლიტიკურ, მენტალურ მოთხოვნილებებს, რომლებიც უნდა განხორციელდეს, რათა არსებულმა აპარატმა, რომელზეც მოსახლობაა დამოკიდებული, იფუნქციონიროს. ასევე თქმა არ უნდა, რომ სოციალური ურთიერთობების ფორმები, სწორედ ამ აპარატის ორგანიზებულობიდან მომდინარეობს. არსებული ტენდენციები დღევანდელი ეკონომიკური მიმართებების, ტექნოლოგიური ცვლილებების, საშინაო და საგარეო პოლიტიკის მანიფესტაციაა და სწორედ ისინი ანაწილებენ სიკეთეებს, ინდივიდუალურ საჭიროებებს სხვადასხვა სოციალურ კლასში, ჯგუფსა და პარტიაში. საზოგადოებრივი ერთობის კონდიციების ნორმალიზების ქვეშ, ხსენებული ტენდენციები, შთანთქავენ და თელავენ ინდივიდუალურ ინტერესებსა და მიზნებს ყოველგვარი სოციალური აფეთქების გარეშე. მიუხედავად ამისა, ცალკეული ინტერესი უნივერსალურისგან ასე მარტივად არაა განსაზღვრული. კონკრეტულს საკუთარი თავისუფლების დიაპაზონი აქვს სოციალური პოზიციის მიხედვით და საერთო ინტერესის ერთ-ერთი შემქმნელიცაა, მაგრამ რევოლუციის გარეშე, კონკრეტულის მიზნები და საჭიროებები, განსაზღვრულია პრედომინანტური ობიექტური ტენდენციებით. მარქსს სჯეროდა, რომ ისინი თავიანთ თავს ინდივიდების „ზურგს უკან“ იმტკიცებენ. თანამედროვე მოწინავე საზოგადოებებში, ეს შესაძლებელია მხოლოდ მაღალი კვალიფიკაციით. სოციალური ინჟინერია, საწარმოო და ადამიანური მიმართებების მეცნიერული მენეჯმენტი, ინსტიქტური მოთხოვნილებებით მანიპულაცია, დაყვანილია პოლიტიკის შექმნის დონეზე და ცნობიერებას სრულ სიბრმავეში იტყუებს.

რისთვის, ან ვისგან ხორციელდება ფსიქიკის სისტემატური მანიპულაცია და კონტროლი მოწინავე ინდუსტრიულ საზოგადოებაში? ყველა კერძო მანიპულაციაზე უფრო მაღლა მდგომი ობიექტური მიზანი, არსებობის ამ მოდელთან ინდივიდების შერიგებას წარმოადგენს. იმის გამო, რომ ჭარბი რეპრესია ამგვარი შერიგების წინაპირობაა, საჭიროა ახალი მენტალური

ენერგიის ინვესტირება იმ საქონელში, რომელსაც ინდივიდები ყიდიან(ან ყიდულობენ), იმ სერვისში, რომელსაც ისინი იყენებენ(ან ქმნიან), მხიარულებაში, რომლითაც ისინი სიამოვნებას იღებენ, სტატუსებსა და სიმბოლოებში, საჭიროა, რადგან არსებული საზოგადოება დამოკიდებულია უწყვეტ წარმოებასა და მოხმარებაზე. სხვა სიტყვებით, სოციალური საჭიროებები უნდა გახდეს ინდივიდუალური, ინსტიქტური საჭიროებები. და საზოგადოების იმ პროდუქტიულობის დონის გათვალისწინებით, რომლითაც ის მოითხოვს მასობრივ წარმოებასა და მასობრივ მოხმარებას, ეს საჭიროები აუცილებლად უნდა სტანდარტიზირდეს, კოორდინირდეს და გენერირდეს. საბოლოოდ, ეს კონტროლის ფორმები არ არის კონსპირაციული, ისინი არ ცენტრალიზდებიან რომელიმე სააგენტოს ან აგენტთა ჯგუფის მიერ, ისინი გავრცელებულია მთელ საზოგადოებაზე და მას ახორციელებენ სამეზობლოები, სხვადასხვა ერთობები, ინტერეს ჯგუფები, მასობრივი მედია საშუალებები, კორპორაციები და შესაძლოა მთავრობები. ამ კონტროლის მექანიზმების განხორციელებაში ჩამოთვლილ სუბიექტებთან ერთად მონაწილეობს მეცნიერება, სოციალური და ბიჰევიორისტული მეცნიერებანი და განსაკუთრებით სოციოლოგია და ფსიქოლოგია, ეს უკანასკნელნი, როგორც „ადამიანთა ურთიერთმიმართების მეცნიერებანი“, ძალაუფლების ხელში, საკმაოდ ეფექტური იარაღი ხდება.

ეს მოკლე შენიშვნები მიემართება საზოგადოების ფსიქიკური, მენტალური მდგომარეობის სიღრმეებს. ჰარმონია საზოგადოებასა და ინდივიდს შორის სასურველია იმ შემთხვევაში, თუ საზოგადოება ინდივიდს სთავაზობს ადამიანური განვითარების საშუალებას, ასევე აძლევს მას შესაძლებელ თავისუფლებას, სიმშვიდეს და ბედნიერებას, მაგრამ თუ ამგვარი ტენდენციები არ ვრცელდება, საზოგადოება ინდივიდასთვის დესტრუქციულ პირობებს ქმნის. და სადაც ეს ტენდენცია არ ვრცელდება, „ჯანმრთელი“, „ნორმალური“ ინდივიდი არის ყველა იმ მახასიათებლებით აღჭურვილი, რომელიც ხელს შეუწყობს მის

საზოგადოებაში ინტეგრირებას და სწორედ ეს მახასიათებლებია რეპრესიის, დამახინჯებული ადამიანის ნიშნები, რომელიც თანამშრომლობს თავისივე მჩაგვრელთან, ინდივიდუალური და სოციალური პოტენციური თავისუფლების შემაკავაბელთან და აგრესიის მაპროვოცირებელთან. ეს პრობლემა ვერ გადაიჭრება ინდივიდუალური ფსიქოლოგიისა და თერაპიის ფარგლებში, მისი აღმოფხვრა ითვალისწინებს პოლიტიკურ განზომილებას, საზოგადოებასთან ბრძოლას. ასევე სარწმუნოა, რომ ამ ბრძოლის საწარმოებლად თერაპიამ შესაძლოა გარკვეული ნიადაგი შეამზადოს, მაგრამ ასეთ შემთხვევაში ფსიქიატრია დივერსიული პრაქტიკა უნდა გახდეს.

საკითხი ასე დგას, თანამედროვე ამერიკულ საზოგადოებაში არსებული დაძაბულებები, ინდივიდუალური განვითარების ჩასახშობად, განიზრახავენ თუ არა არსებითად ნეგატიური კონდიციების გაბატონებას, სწორედ იმ გაგებით, რაც ზევით უკვე ვახსენე. ან შესაძლოა კითხვის ისე ფორმულირებაც, რომ ჩემი ახლანდელი მიზანი უკეთ გამოიხატოს: აფერხებს დაძაბულობები ადამიანის „ჯანსაღ“ ინდივიდუალურ განვითარებას? (ჯანსაღი განსაზღვრულია ადამიანის ინტელექტუალური და ემოციური ოპტიმალური განვითარების შესაბამისად). ამ კითხვას აქვს მტკიცებითი პასუხი, ეს საზოგადოება აფერხებს ინდივიდუალურ განვითარებას იმ შემთხვევაში, თუ გავრცელებული დაძაბულობები დაკავშირებულია თვითონ ამ სოციუმის სტრუქტურასთან და მაშინ, თუ ის აქტიურს ხდის საზოგადოების წევრთა ინსტიქტურ საჭიროებებს, რომლებიც ინდივიდებს განაწყობს თავისივე თავის წინააღმდეგ და თვითონ ეს ინდივიდი გვევლინება საკუთარი თავის მჩაგვრელად, ისინი ჩაგვრას თვითონვე აკვლავწარმოებენ.

ერთი შეხედვით, დაძაბულობები, რომლებიც ჩვენს საზოგადოებაში არსებობს, მსგავსია ყველა იმ საზოგადოების მდგომარეობის, რომლებიც ცხოვრობენ დიდი ტექნოლოგიური გარდაქმნების პარალელურად. ტექნოლოგიები ნერგავენ მუშაობისა

და გართობის ახალ მოდელებს, ისინი მოქმედებენ საზოგადოებრივ ურთიერთობებსა და ფასეულობების ჩამოყალიბებაზე. მას მერე, რაც ფიზიკური შრომა მზარდად არასაჭირო და დროის ფუჭი კარგვა გახდა, რაც სამსახურები, ანაზღაურებადი თანამშრომლებით, „ავტომატიზაციის“ ახალ ეტაპზეა, არსებობისთვის ბრძოლის ტრადიციული მიდგომა მით უფრო უსაზრისო და, საფუძვლის გარეშე მყოფი, არასაჭირო აუცილებლობად გარდაიქმნება. მაგრამ სამომავლო ალტერნატივა, სახელდობრ, შრომის შესაძლო მოსპობა, აგრეთვე უსაზრისოა, უფრო სწორად, საშიში. და ჭეშმარიტად, თუ ვინმე ამ ალტერნატივას(შრომის შესაძლო მოსპობას) **დაფუძნებული** სისტემის განვითარებად და პროგრესად მიიჩნევს, მაშინ ცხოვრების შინაარსის თავისუფალ დროში გადანაცვლება, სავარაუდოდ, მიიღებს კოშმარის ფორმას: სტაბილურად შეზღუდულ სივრცეში არსებულ მასიური თვითრეალიზაციის, გართობის, სპორტის, სახეს.

ავტომატიზაციის პროცესიდან მომავალი შიშების საფრთხემ, უკვე იდეოლოგიის სახე მიიღო. ერთი მხრივ, ის იწვევს ტექნიკურად მოძველებული და არასაჭირო სამუშაო ადგილებისა და სივრცეების კვლავწარმოებას(უმუშევრობა, როგორც ნორმალური მდგომარეობა, უარესია თუნდაც კომფორტულ, მაგრამ დამაჩლუნგებელ რუტინულ სამუშაოზე), ხოლო, მეორე მხრივ, ის ამართლებს და ხელს უწყობს მენეჯერებისა და ორგანიზატორების განათლებასა და წვრთნას დასვენების პერიოდში და უნდა ითქვას, რომ ეს პროცესი, მანიპულაციისა და კონტროლის ზრდასა და გახანგრძლივებას ემსახურება.

არსებული სისტემისათვის შრომის გაქრობა და მოსპობა კი არა, არამედ გაუცხოებული შრომის გაქრობაა, როგორც საზოგადოების კვლავწარმოების ბაზისის, საფრთხის შემცველი. შესაძლოა მუშაობა არავისთვის აღარ იყოს სავალდებულო, მაგრამ მათ მოუწევთ მუშაობა განსხვავებული ცხოვრებისათვისა და ურთიერთობებისთვის და შესაძლოა მათ გაუჩნდეთ ახალი მიზნები და ღირებულებები, შესაძლოა მათ დაიწყონ ცხოვრება

განსხვავებული მორალით, სწორედ ეს არის არსებული სისტემის განსაზღვრული უარყოფა, გათავისუფლების ალტერნატივა. მაგალითად, საზოგადოებისთვის საჭირო შრომა შეიძლება ორგანიზებულ იქნას ისეთი ღონისძიებებისთვის(ან ისეთი მიმართულებით), როგორიცაა ქალაქებისა და სოფლების აღდგენა, სამუშაო ლოკაციების სხვა ადგილებზე გადატანა (ისე, რომ ხალხმა ახლიდან ისწავლოს სიარული), ისეთი ინდუსტრიების მშენებლობა, რომელნიც არ აწარმოებენ იმგვარ პროდუქტს, რაც სწრაფად დაძველებადია, სასარგებლო ნარჩენების არმქონე და ცუდი ხარისხის, თუმცა ისინი გარემოს ორგანიზმისთვის სასიცოცხლოდ საჭირო ესთეტიკურ მოთხოვნილებებს დაუქვემდებარებენ. იმისათვის, რათა დარწმუნდე, რომ ამ შესაძლებლობის რეალობაში განხორციელება შესაძლებელია, დომინანტური ინტერესების მატარებლები ძალაუფლებას უნდა ჩამოსცილდნენ, რომელნიც საზოგადოებაში, მთელი თავისი არსით, იმ იდეის განვითარებას ებრძვიან, რომელიც ხელს შეუწყობს კერძო კომპანიების შემცირებას, საბაზრო ეკონომიკის დასასრულს და სამხედრო მომზადების, ექსპანსიისა და ინტერვენციების პოლიტიკიდან გადახვევას; სხვაგვარად რომ ვთქვათ: განვითარება, რომელიც მთლიანად შეცვლის გაბატონებულ ტენდენციას. ასეთი განვითარების ძალიან პატარა ალბათობა არსებობს. ამავდროულად, ტექნიკური პროგრესის ახალი და საშინელი ეფექტის მქონე ხერხების გამოისობით, საზოგადოება ფსიქიკურადაც და მენტალურადაც ამ ხდომილების წინააღმდეგაა მობილიზებული: მათ არსებობისთვის ბრძოლა უნდა გააგრძელონ მტკივნეული და მოძველებული ფორმებით.[1]

---

[1] მარკუზე თვლის, რომ ტექნიკური პროგრესი იძლევა ადამიანებზე მანიპულირების საშუალებას, რისი გამოძახილი სწორედ ხსენებული ვითარებაა, როდესაც ადამიანებს თავიანთი გათავისუფლების გზად, სწორედ სისტემის მიერ შემოთავაზებული წესრიგი ესახებათ.

ეს არის რეალური წინააღმდეგობრიობა, რომელსაც ინდივიდთა სოციალური სტრუქტურა, მენტალურ სტრუქტურამდე დაჰყავს. ის ააქტიურებს და ამძიმებს დესტრუქციულ ტენდენციებს, რომლებიც, მკაცრად სუბლიმირებულ რეჟიმში, ინდივიდთა ქცევებში, სოციალურად გამოსადეგად გარდაიქმნებიან, როგორც პრივატულ, ისე პოლიტიკურ დონეზე. დესტრუქციული ენერგია, გარდაიქმნება სოციალურად გამოსადეგ აგრესიულ ენერგიად, ხოლო აგრესიული ქცევები, ეკომონიკურ, პოლიტიკურ და ტექნიკურ ძალაუფლებას ზრდისკენ უბიძგებენ. თანამედროვე მეცნიერებაში, ეკონომიკურ არეალში, ერში, როგორც მთელში, კონსტრუქციული და დესტრუქციული მიღწევები, გარჯა სიცოცხლისთვისა და სიკვდილისთვის,[2] გამრავლება და მოკვლა მჭიდროდ დაუკავშირდა ერთმანეთს. ატომური ენერგიის ექსპლოატაციის შემცირება, ნიშნავს მისი სამშვიდობო, ისევე როგორც მილიტარისტული პოტენციალების შეზღუდვასაც. სიცოცხლის დაცვა და გაუმჯობესება, მოგვევლინა მეცნიერთა მიერ შექმნილ პროდუქტად, რომელიც ზუსტად ამავე სიცოცხლის განადგურებას ემყარება. გამრავლების შეზღუდვა ნიშნავს, სამუშაო ძალის შემცირებას, ასევე პოტენციური კლიენტისა და მომხმარებლის რაოდენობის შემცირებასაც. დესტრუქციული ენერგიის სოციალურად გამოსადეგ აგრესიულობაში გარდაქმნა, ფროიდის მიხედვით, ნორმალური და აუცილებელი პროცესია. ეს იმ დინამიკის ნაწილია, რომლის მიხედვითაც ლიბიდო, ეროტიკული ენერგია, განიცდის სუბლიმაციას და გარდაიქმნება სოციალურ სარგოდ. ორი საწინააღმდეგო იმპულსი ერთად იყრის თავს, ერთიანდებიან ორმაგ ტრანსფორმაციაში, ისინი ხდებიან ცივილიზაციის მენტალური და ორგანული წარმმართველები. მაგრამ არ აქვს მნიშვნელობა რამდენად ახლო და ეფექტურია მათი კავშირი, მათი შესაბამისი თვისებრიობა რჩება უცვლელი და საპირისპირო, აგრესია ააქტიურებს დესტრუქციას, რომელიც მიზნად

[2] იგულისხმება ფროიდის თეორიის ორი ძირითადი ინსტინქტი, ეროსი და თანატოსი.

ისახავს სიკვდილს, როცა ლიბიდო პირიქით, ცდილობს დაიცვას და შეინარჩუნოს სიცოცხლე, თუმცა ეს მაშინ ხდება, როცა დესტრუქციული ელემენტები ლიბიდოს დაქვემდებარებაშია(მის სამსახურშია). თუ აგრესია გახდება იმაზე ძლიერი, ვიდრე მისი კონტრადიქტორული წყვილი, ტენდენცია შეიცვლება. მეტიც, ფროიდიანული კონცეფციის მიხედვით, დესტრუქციული ენერგია ვერ გაძლიერდება ეროტიკული ენერგიის შემცირების გარეშე: ბალანსი, ამ ორ პირველად იმპულსს შორის, რაოდენობრივად ერთია. ინსტიქტური დინამიკა არის მექანიკური და ორ ანტაგონისტს შორის, შესაძლებელ კვანტურ ენერგიას ანაწილებს.

მე მოკლედ მოვიხმე ფროიდის კონცეფცია, იმდენად, რამდენადაც ის საჭირო იქნება ამერიკული საზოგადოების სიღრმეებსა და ხასიათში გავრცელებული დაძაბულობების განსახილველად. ვვარაუდობ, რომ დაძაბულებები მომდინარეობს იმ ძირითადი წინააღმდეგობიდან, რომელიც გულისხმობს საზოგადოების იმ შესაძლებლობას, რომელსაც ერთის მხრივ, შეუძლია თავისუფლების თვისობრივად ახალი ფორმების ჩამოყალიბება, რაც საფუძველს მოუშლის დამკვიდრებულ მდგომარეობას და, მეორე მხრივ, იმ მდგომარეობას, რაც ამ შესაძლებლობების რეპრესიულად გამოყენების საშუალებას მისცემს სისტემას. წინააღმდეგობა ფეთქდება და არის ამავდროულად ''მტკიცე'' და ''კონსერვირებული'' ყოვლისმომცველ აგრესიაში, რომელიც ფართოდაა გავრცელებული საზოგადოებაში. მისი ყველაზე თვალსაჩინო მანიფესტაცია არის სამხედრო მობილიზაცია, რომელიც ინდივიდის მენტალურ ქცევაზე მოქმედებს, მაგრამ, ძირითადი წინააღმდეგობრიობის კონტექსტის ფარგლებში, აგრესიულობა იკვებება ბევრი წყაროსაგან. დანარჩენი კი ასე გამოიყურება:

(1) წარმოებისა და მოხმარების დეჰუმანიზაციის პროცესი. ტექნიკური პროგრესი პერსონალური ინიციატივის, მიდრეკილების, გემოვნების აღმოფხვრისა და საქონლისა და სერვისის უზრუნველყოფის საჭიროების ზრდის იდენტურია. ეს ტენდენცია არ იარსებებს მაშინ, თუკი არსებული მეთოდები და რესურსე-

ბი გამოიყენება ადამიანების ისეთი შრომისა და დასვენებისგან გასათავისუფლებლად, რომელნიც ემსახურებიან არსებულ წესრიგს და გვევლინებიან რესურსების მფლანგველ, შემაფერხებელ და ტექნიკური თუ ინტელექტუალური თვალსაზრისით, დეჰუმანიზაციისკენ მიმართულ პროცესებად. ხსენებული ტენდენცია ხშირად მტრობის დამანაყრებელია.

(2) ხალხმრავლობის, ხმაურისა და აშკარაობის კონდიციები, მასობრივი საზოგადოებისთვისაა დამახასიათებელი. როგორც რენე დუბომ თქვა, „სიმშვიდის, პირადი სივრცის, დამოუკიდებლობის, შემოქმედებისა და მცირე ღია სივრცის“ საჭიროება, არ წარმოადგენს ფუფუნებას, მაგრამ ის რეალური ბიოლოგიური ბაზისების შემადგენელია. მათი ნაკლებობა ზიანს აყენებს ინსტიქტურ სტრუქტურას. ფროიდმა ეროსის ამ „ასოციალურ“ თვისებას ხაზი გაუსვა, მასობრივმა საზოგადოებამ კი, სოციალიზაციის გადამეტებულ ხარისხს მიაღწია, რომელზეც ინდივიდები რეაგირებენ ყველა სახის იმედგაცრუებით, აგრესიით, და შიშებით, რომლებიც მალე ნამდვილ ნევროზად გარდაიქმნება.

საზოგადოების აგრესიულობის ყველაზე თვალსაჩინო გამოვლინებად, მილიტარიზაცია მიმაჩნია. ეს მობილიზაცია სცილდება ცოცხალი ძალის ფაქტობრივ მონახაზს და სამხედრო ინდუსტრიის მშენებლობას: ის არის ნამდვილად ტოტალიტარული ასპექტი, რომელიც მედიაში ყოველდღიურად ჩნდება და კვებავს „სახალხო აზრს“. სამეტყველო ენისა და იმიჯების გაუხეშება, მკვლელობების ილუსტრირება, იმ არაადამიანური მოპყრობის ჩვენება, რომელიც ნეოკოლონიალიზმის მსხვერპლთ მიაყენეს, ხდება საყოველთაოდ გავრცელებული, ხანდახან იუმორისტული ელფერის მქონე რამ, რომელიც ინტეგრირებს საფეხბურთო შეჯიბრებებთან, უბედურ შემთხვევებთან, სხვადასხვა რეკლამასთან და ამინდის პროგნოზთან. ეს უკვე აღარ არის, ნაციონალურ ინტერესებში არსებული, მკვლელობის კლასიკური ჰეროიზება, არამედ ის დაიყვანება უფრო ბუნებრივ მოვლენებსა და გაუთვალისწინებელ შემთხვევებზე, რომლებიც ყოველდღიურად ხდება.

შედეგი არის ომის მიმართ ფსიქოლოგიური შემგუებლობა, რომელიც იმ ხალხის მიერ არის მართული, ვინც დაცულია ომის აქტუალობისაგან. ამ ადამიანებისათვის მკვლელობის მასშტაბები და სტატისტიკები ისეთივე ადვილად მისაღები და ფამილარულია, როგორც თუნდაც უმუშევრობის, ან ბიზნესის განვითარების დონე. ხალხი შეეგუა ახალი ცხოვრების გარემოებას, რომელიც გულისხმობს ძალადობას, რისკებს, ვიეტნამის ომის მსხვერპლს და ეს ისეთივე მარტივად დასწავლადი გახდა მათთვის, როგორსაც წარმოადგენს სხვა ყოველდღიური რისკები, მაგალითად, სიგარეტის კვამლის ზიანი, გამონაბოლქვის ან გადატვირთული მოძრაობის უკეთურება. ფოტოებზე, რომლებიც ყოველდღიურ საგაზეთო სტატიებში გვხვდება და რომლებიც, როგორც წესი, ნათელ ფერებშია წარმოდგენილი, ნაჩვენებია პატიმრების რიგები, რომლებიც დასაკითხად მიჰყავთ, პატარა ბავშვები, რომლებიც დახეტიალობენ სამხედრო მანქანების მტვერში, დასახიჩრებული ქალები. ეს თითქოს არაფერი ახალია („ასეთი რამეები ხდება ხოლმე ომში“), მაგრამ აქ არის გარემოება, რომელიც დაგვანახვებს განსხვავებას: ამ ფოტოების ყოველდღიურ პროგრამებში გამოჩენა, კომერციული, სპორტული, ადგილობრივი პოლიტიკის სიახლეებთან ერთად. პარალელურად კი, ძალაუფლების წყაროს მხრიდან ძალადობა, სულ უფრო და უფრო ნორმალიზდება და ეს გამოიხატება სხვადასხვა სამხედრო დანადგარებისა და ტექნიკის გავრცელებაში.

დღეს ჩამოყალიბებული ენა, მკაცრად დისკრიმინაციულია: სიძულვილის, წყენის, წილისწამების შემცველი სპეციფიკური ლექსიკა, მიმართულია აგრესიული პოლიტიკის წინააღმდეგ მოქმედი ოპოზიციისაკენ. ეს მოდელი მუდმივად განმეორებადია. ამგვარად, როდესაც სტუდენტები ომის წინააღდეგ დემონსტრაციებს მართავენ, ეს არის „აგრესიულობა“, რომელიც „სექსუალური თავისუფლების დამცველთაგან“, „პირდაუბანელი ლაწირაკებისაგან“ და „ხულიგნებისგან“ არის პროვოცირებული, რომლებიც ყოველდღე ქუჩაში „წანწალებენ“, ხოლო კონტრაქ-

ციის მონაწილენი კი, ღირსეულ მოქალაქეთაგან შედგებიან. ვიეტნამში, ამერიკულ „სტრატეგიულ ოპერაციებს“, უპირისპირდება „ტიპური კომუნისტური დანაშაულებრივი ძალმომრეობა“. წითლებმა დაგეგმეს „ფარული შეტევები“ (თითქოს ამერიკელები, წინასწარ აცხადებენ შეტევის დროს), ვიეტკონგელებმა შეუტიეს ამერიკულ ბანაკს „შუაღამის პერიოდში“ და მოკლეს ამერიკელი ბიჭი (თითქოს, ამერიკელები ვიეტნამელებს მხოლოდ მზის შუქზე უტევენ, არ აწუხებენ მტერს ძილის დროს და არ კლავენ ვიეტნამელ ბიჭებს). კომუნისტების მასობრივ ხოცვას ინდონეზიაში, „შთამბეჭდავი“ უწოდეს, შეუდარებლად დიდი სიკვდილიანობა, რომლითაც მეორე მხარე იტანჯება, პატივისა და ღირსების საქმეა. ჩინელებისათვის, ამერიკელი სამხედროების აღმოსავლეთ აზიაში არსებობა, საფრთხეა მათი „იდეოლოგიისათვის“, როდესაც ცენტრლურ და სამხრეთ ამერიკაში, ჩინური არმიის სავარაუდო არსებობა, არამარტო იდელოგიური, არამედ პირდაპირი და რეალური საფრთხე იქნება შტატებისათვის.

ოპოზიციის იდენტიფიკაციისათვის, დამძიმებული სამეტყველო ენა, ორუელის რეცეპტის მიხედვით აგრძელებს არსებობას: მტრის მიერ ნათქვამი სიტყვა მშვიდობა, ნიშნავს ომს, თავდაცვა-შეტევას, ხოლო „მართალი“ მხარის მიერ წარმოებული ესკალაცია, განეიტრალებას გულისხმობს, დაბომბვებისათვის ინტენსიური მზადება კი, მშვიდობის განმაპირობებელია. ამგვარ დისკრიმინაციულ ტენდენციაში, ენა კონსტრუირდება იმგვარად, რომ მტერი აპრიორი ეშმაკია მთელი თავისი არსით, მისი ყველა ქმედებითა და ინტენციით.

აგრესიულობის ასეთი დოზა, ვერ აიხსნება კომუნისტური საფრთხის დიდი მასშტაბებით: სავარაუდო მტრის იმიჯი, არის გაზვიადებული და სცილდება ყოველგვარი რეალობის ფარგლებს. საქმე უფრო იმაშია, რომ სისტემის სტაბილურობასა და ზრდას, უპირისპირდება თავისივე ირაციონალიზმი, ის ვიწრო ბაზისი, რომლითაც ის ვითარდება და დეჰუმანიზაციის პროცესი, რომელიც გამანადგურებელი და პარაზიტული მოთხოვნილებე-

ბითაა განმსაჯვალული. დაუნდობელი ომი, თავის მხრივ, ამ ირაციონალიზმის გამოხატულებაა და ამგვარად, ის სისტემის არსია. რაც შეიძლებოდა, რომ მხოლოდ უმნიშვნელო შემთხვევად, ან საგარეო პოლიტიკაში გარკვეულ უთანხმოებად მიგვეღო, გადაიზარდა წარმოების შეჯიბრებითობასა და პრესტიჟის დაცვაში. მილიარდობით დოლარი, რომელიც ომის წარმოებისათვის იხარჯება, წარმოადგენს პოლიტიკურ და ეკონომიკურ სტიმულს. ეს არის ერთ-ერთი გზა, რომლითაც შთაინთქმება ჭარბი პროდუქცია და ნარჩუნდება სტატუს-კვო. ვიეტნამში დამარცხება, შესაძლოა კარგი სიგნალი იყოს სხვა გამათავისუფლებელი ომებისათვის, რათა აჯანყდნენ სახლთან ახლოს, ან სახლში.

რა თქმა უნდა, აგრესიულობის სოციალური მიზნით გამოყენება მიეკუთვნება ცივილიზაციის ისტორიულ სტრუქტურას და ის წარმოადგენდა პროგრესის მძლავ წარმმართველს. თუმცა აქაც არსებობს ეტაპი, რომელშიც რაოდენობრიობა გარდაიქმნება თვისებრიობად და ორ ძირითად ინსტიქტს შორის ნორმალურ ბალანსს, ძირს უთხრის დესტრუქციის სასარგებლოდ. ავტომატიზაციის პროცესში, ადამიანურ შრომით ძალაზე მოთხოვნის ვარდნა, უპირისპირდება კაპიტალისტური წარმოების გზებს(ისევე, როგორც ყველა სხვა გზას, რომელიც ექსპლუატაციაზე გადის). სისტემა საპასუხოდ ზრდის საქონლის წარმოებას და ქმნის მომსახურების სფეროებს, რომლებიც, თავის მხრივ, არ ზრდიან მოხმარებას, მაგრამ ისინი გამოიყენება სამუშაო ძალის ასათვისებლად, რათა გაგრძელდეს არსებული ეკონომიკური და პოლიტიკური ინსტიტუციების კვლავწარმოება. იმდენად, რამდენადაც ეს სამსახურები არასაჭირო და ზემდეტია, ისინი აუცილებელია იმისათვის, რათა საზოგადოების გარკვეულმა ნაწილმა ელემენტარული საჭიროებები გამოიმუშავოს, ამის პარალელურად კი, იმედგაცრუება ფესვს იდგამს საზოგადოებაში, რაც აგრესიული იმპულსების გააქტიურების განმაპირობებელია. როდესაც რომელიმე საზოგადოება ხდება აგრესიული, მისი წევრების მენტალური სტრუქტურა, ეგუება ამ ვითარებას: ინდივიდი, ხდება

უფრო მეტად აგრესიული და ამასთან ერთად უფრო მორჩილიც, საზოგადოება მას წარმოაჩენს ისე, რომ თითქოს ამავე სოციუმის გავლენა და ძალაუფლება, აკმაყოფილებს ამ პიროვნების ღრმა (ამავე დროს რეპრესირებულ) ინსტიქტურ საჭიროებებს. და ეს ინსტიქტური საჭიროებები, საზოგადოების წარმომადგენლებში ჰპოვებენ თავის ლიბიდურ ასახვას. ამერიკის შეერთებული შტატების სენატის შეიარაღების კომიტეტის თავმჯდომარე, ჯორჯიის შტატის სენატორი რასელი, ამ ფაქტით შეშფოთდა. გთავაზობთ მის სიტყვებს:

დესტრუქციისათვის მზადება ადამიანებს აიძულებს იყვნენ უფრო მფლანგველნი, ვიდრე ისინი იქნებოდნენ იმ შემთხვევაში, თუ დასახავდნენ კონსტრუქციულ მიზნებს. არ ვიცი, რატომ ხდება ასე. მაგრამ ჩემი გამოცდილებით, რომელიც სენატში ყოფნის თითქმის 30 წლის განმავლობაში დამიგროვდა, არსებობს რაღაც, რაც ეხება იარაღის შეძენას, რომლითაც კლავ, ანგრევ, ანადგურებ ქალაქებს და რომელიც ადამიანს აიძულებს არ ითვალოს დანახარჯი ისე, როგორც ამას აკეთებს სახლის შეძენის, ან ჯანმრთელობის დაზღვევის დროს.

მე მიკამათია საკითხზე, თუ როგორაა შესაძლებელი, რომ დღევანდელ სპეციფიკურ საზოგადოებაში გავრცელებული აგრესია, შედარებული ან შეფასებული იყოს ისტორიულობიდან, ნაცვლად იმისა, რომ ის ახლიდან შეფასდეს და ფორმულირდეს. ახლა მე მსურს, რომ ფოკუსირება მოვახდინო განსხვავებულ ასპექტებზე, იმ სპეციფიკურ ფორმებზე, რომელშიც დღეს აგრესია გამოთავისუფლებული და დაკმაყოფილებულია.

იმ კონცეპტებს, რომელიც ტრადიციულ ფორმას, ახლისაგან მიჯნავს, მე ვუწოდებ *ტექნოლოგიურ აგრესიასა* და *კმაყოფილებას.* ეს ფენომენები სწრაფად უნდა აღიწეროს: აგრესიის აქტი, ხორციელდება მაღალი ხარისხის ავტომატიზირებული მექანიზმით, რომელსაც ბევრად მეტი ძალა აქვს, ვიდრე ადამიანს, რომელსაც ეს მექანიზმი მოძრაობაში მოჰყავს და მის მიზანსა და დანიშნულებას განსაზღვრავს. ყველაზე ექსტრემალურ და არა-

ორდინალურ შემთხვევაში ეს მექანიზმი არის სარაკეტო დანადგარი, ხოლო ჩვეულებრივ შემთხვევაში, ის ავტომობილის სახით გვევლინება. ეს ნიშნავს იმას, რომ მექანიზმს ააქტიურებს მექანიკური, ელექტრონული, ან ატომური და არა ადამიანის ინსტიქტური ენერგია. აგრესია არის ენერგიის მიმართება და გადატანა სუბიექტიდან ობიექტზე, ან ის, ობიექტითაა „გაშუალედებული" და სამიზნე განადგურებულია არა პერსონის, არამედ უფრო რაღაც საგნის მიერ. ეს ცვლილება, რომელიც უკავშირდება ადამიანისა და მატერიალური ენერგიის, ფიზიკური და მენტალური აგრესიის ურთიერთმიმართებას (ადამიანი გახდა სუბიექტი და აგრესიის აგენტი, არა მისი ფიზიკური შესაძლებლობების, არამედ მისი მენტალური მიმართებების გამო) ასევე მოქმედებს მენტალურ დინამიკაზე. მე წარვადგენ ჰიპოთეზას, რომელიც პროცესების შინაგან ლოგიკას მიემართება: დესტრუქციის გამოისობით, ადამიანის ინსტიქტური კმაყოფილება სულ უფრო მეტად არის იმედგაცრუებული, შეზღუდული და „სუპერ-სუბლიმირებული." ამგვარი იმედგაცრუებანი იღწვიან განმეორებისა და ესკალაციისათვის: ზრდიან და აფართოებენ ძალმომრეობის საზღვრებს. პარალელურად, პერსონალური პასუხისმგებლობა, შეგნება და დანაშაულის გრძნობა სუსტდება, ან უფრო ზუსტად, ის ინაცვლებს აქტუალური კონტექსტიდან, რომელშიც არსებობდა აგრესია, და ფუძნდება მეტნაკლებად უწყინარ შრეში (უზნეობაში, სექსუალურ არაადეკვატურობაში და ა.შ.). ამ რეაქციაშიც, დანაშაულის გრძნობის გავლენა შედარებით სუსტდება და სიძულვილი, უკმაყოფილება ასევე გადანაცვლებულია რეალური პასუხისმგებლობის სუბიექტიდან (მთავრობა) ანონიმურ მავანზე: ფიზიკურად და მორალურად აქტიური პერსონა კი არ სჩადის ამას, არამედ რაღაც მანქანა. *მანქანა:* ეს ტერმინი მიემართება ადამინებისაგან შემდგარ აპარატს, რომელიც შესაძლოა ჩანაცვლდეს მექანიკური აპარატით: ბიუროკრატია, ადმინისტრაცია, პარტია ან ორგანიზაცია, პასუხისმგებელი აგენტები არიან. მე, როგორც ინდივიდუალური პერსონა, ვიყავი მხოლოდ ინსტრუ-

მენტი და ინსტრუმენტი არ შეიძლება, მორალური გაგებით, პასუხისმგებელი იყოს ან მას შეაწუხოს დანაშაულის გრძნობამ. ამ მხრივ, კიდევ ერთი ბარიერი აგრესიის წინააღმდეგ, რომელიც ცივილიზაციამ გამოავლინა ხანგრძლივ და ძალადობრივ პროცესში, მოხსნილია. და თანამედროვე კაპიტალიზმის ექსპანსია ჩაება საბედისწერო ფიზიკურ დიალექტიკაში, რომელიც ეკონომიკური და პოლიტიკური დინამიკის მამოძრავებელია: რაც უფრო მძლავრი ხდება აგრესია, მით უფრო ნაკლებად შეესაბამება და აკმაყოფილებს პირველად იმპულსებს, ის უფრო მეტად მიილტვის განმეორებადობისა და ესკალაციისაკენ.

თქმა არ უნდა, რომ აგრესიის ინსტრუმენტები და მათი გამოყენების ფორმები ისეთივე ხანდაზმულია, როგორც თვითონ ცივილიზაცია, მაგრამ არსებობს გადამწყვეტი განსხვავება ტექნოლოგიურ აგრესიასა და უფრო პრიმიტიულ ფორმებს შორის. ეს უკანასკნელი არ იყო მხოლოდ თვისებრივად სხვანაირი აგრესია: ის საჭიროებდა სხეულის მაღალი ხარისხის აქტივიზებასა და ჩართულობას, ვიდრე ამას მოითხოვს აგრესიის ავტომატიზირებული და ნახევრად ავტომატიზირებული მეთოდები. დანა, „ბლაგვი საგანი“, თუნდაც რევოლვერი, ინდივიდის „ნაწილები“ არიან, ისინი ადამიანს უქმნიან განცდას, რომ უფრო ახლოს არიან მიზანთან. ყველაზე მნიშვნელოვანი ის არის, რომ, მათი გამოყენება, გარდა თავდაცვის შემთხვევისა, კრიმინალად ითვლება და ამგვარი ფაქტი დასჯადია. ტექნოლოგიური აგრესია კი, პირიქით, არ ითვლება დანაშაულად. ჭარბი სიჩქარით ავტომობილისა და კატერის მართვას არ უწოდებენ მკვლელობას, თუნდაც ის იყოს მკვლელობა, ასევე არც სარაკეტო დანადგარების ინჟინერიაა მიჩნეული რაიმე სახის დანაშაულად.

ტექნოლოგიური აგრესია აღვივებს იმ მენტალურ დინამიკას, რომელიც ამძიმებს დესტრუქციული, ანტიეროტიკული ტენდენციების პურიტანულ კომპლექსს. აგრესიის ახალი მოდელი, რომელიც ასევე დამანგრეველია, გამორიცხავს ისეთ ფიზიკურ და მენტალურ ძალისხმევას, როგორსაც ველით ამგვარი პრო-

ცესებისას. მკვლელი რჩება “სუფთა”, როგორც ფიზიკურად, ისე მენტალურად. მისი სასიკვდილო მუშაობის “სიწმინდე”, იღებს დამატებით ნებართვას, როცა საქმე ეხება ეროვნულ “მტერსა” და ეროვნულ ინტერესს.

ჟურნალში “Les Temps Modernes” გამოქვეყნებული ანონიმური ლიდ სტატია (1966 იანვარი), უკავშირდება ვიეტნამში მიმდინარე ომსა და შტატებში არსებულ პურიტანულ ტრადიციებს. მტრის ხატი კი, საკმაოდ უხეშ და მძიმე ფორმებშია დახატული: უწმინდური ჯუნგლები მისი ბუნებრივი მახასიათებელია, პირველყოფილი და არაცივილიზებული ქმედება მისი ბუნებრივი სტილია. აქედან გამომდინარე, მათი თავშესაფრების დაწვა, ბუნებრივი საფარის განდაგურება და მათი საკვების მარაგის მოწამვლა არა მხოლოდ სტრატეგიაა, არამედ მორალური საკითხიცაა: გადამდები ჭუჭყის მოშორება, პოლიტიკური ჰიგიენისა და სამართლიანობის აღდგენა. სინდისის მასობრივი წმენდა ყველა რაციონალური შემადგენლიდან, იწვევს საღი აზრის უკანასკნელი ამბოხის ატროფიას, რომელიც სიგიჟის წინააღმდეგაა მიმართული. შესაბამისად “მორალისტები”, ყველანაირი წნეხის გარეშე აფარებენ ხელს დანაშაულს. ამგვარად, შესაძლოა ვინმე გამოვიდეს და სახალხოდ თქვას, რომ ეს პროცესი “უდიდესი პერფორმანსია ჩვენი ერის ისტორიაში”, ჭეშმარიტად დიდი ისტორიული მიღწევაა უძლიერესი, უმდიდრესი და ყველაზე განვითარებული ქვეყნის მიერ ყველაზე დაჩაგრული, ღარიბი და სუსტი ქვეყნების დანგრევა.

დანაშაულის გრძნობისა და პასუხისმგებლობის შემცირებამ, უძლეველი ტექნიკური და პოლიტიკური აპარატის მიერ მათმა შთანთქვამ, იმ ღირებულებების გაუფასურებასაც შეუწყო ხელი, რომელიც ჯერ კიდევ აკავებდა აგრეასიას. სანამ საზოგადოების მილიტარიზაცია ამ ტენდენციის ყველაზე აშკარა და დესტრუქციულ მანიფესტაციად რჩება, მისი გავლენა კულტურულ განზომილებაზე არ შემცირდება. ამ ტრენდის ყველაზე დიდ შემადგენლად, სიმართლის ღირებულებასთან დეზინტეგრაცია შეიძლება

მივიჩნიოთ. მედია სიმართლის ტირაჟირების ვალდებულებისაგან დისტანცირდება, თანაც საკმაოდ სპეციფიკური გზით. მთავარი მიგნება არ არის ის, რომ მედია იტყუება, ისინი სიმართლესა და ნახევრად სიმართლეს ერთმანეთში ურევენ, კომენტარები და შეფასებები, ფაქტობრივი ხდომილებები, აბსოლუტურად სარედაქციო პოლიტიკის გავლითაა მიწოდებული. რედაქციისათვის არასასიამოვნო სიმართლე (და რამდენი მნიშვნელოვანი, გადამწყვეტი ფაქტია მათთვის არასასიამოვნო) იმალება ხაზებს შორის, ან ჰარმონიულად ერევა უაზრობას, გასართობ და ე.წ საზოგადოებისათვის საინტერესო ამბებს. მომხმარებელიც ადვილად იხრება ამ „სიმართლისაკენ“, იმ შმეთხვევაშიც კი, თუ მან სიმართლე იცის. ამჟამად სიმართლის აუცილებლობა გაურკვეველია და არიდებადია, აკრძალულია ან აღკვეთილია. სიმართლის გაუფასურება მხოლოდ იმ კონტექსტში იძენს დიდ მნიშვნელობას, როცა აგრესიის დემოკრატიული ფორმა აქტიურდება. სიმართლე არის მკაცრი ღირებულება, როდესაც ის ემსახურება ადამიანის სიცოცხლის დაცვას, როგორც ადამიანის ბუნებასთან, თავის სისუსტეებთან და დესტრუქციოლობასთან ბრძოლის წინამძღოლი. ამ ფუნქციით, სიმართლე სუბლიმირებული სასიცოცხლო ინსტიქტებისათვის, ეროსისათვის, ჭეშმარიტი მნიშვნელობაა, ის ცდილობს ადამიანი გახადოს პასუხისმგებლიანი და ავტონომიური, სიცოცხლის გათავისუფლებას შეფარული და რეპრესიული ძალებისაგან ცდილობს. და რადგან სიმართლეს გამათავისუფლებელი და დამცველი ფუნქცია აქვს, მისი გაუფასურება, დესტრუქციასთან ბრძოლის პროცესში, კიდევ ერთი ბარიერის მოშლაა.

აგრესიის მიერ ადამიანის მთავარი სასიცოცხლო ინსტიქტების ხელყოფა, მის ესთეტიკურ ღირებულებებსაც აუფასურებს. “ეროსსა და ცივილიზაციაში” მე ვცადე მეჩვენებინა ამ განზომილებაში არსებული ეროტიკული კომპონენტები. უფუნქციო, ნიშნავს იმას, რომ ის არ არის მიმართული რეპრესიულ საზოგადოებაში ფუნქციონირებისაკენ, ესთეტიკური ღირებულებები კი,

საზოგადოებაში, ეროსის მძლავრ მცველებად გვევლინებოდნენ. ბუნება არის ამ განზომილების ნაწილი. ეროსი იღწვის, მრავალ-ფეროვანი ფორმებით, თავისი მგრძნობელობის დაკმაყოფილე-ბისათვის, მისი ბუნებრივი გარემოს დაფუძნებისათვის. მაგრამ მხოლოდ დაცულ სამყაროში, სამყაროში, რომელიც დაცულია ყოველდღიური საქმისაგან, ხმაურისაგან, ხალხმრავლობისაგან, უაზრობისაგან, მხოლოდ ამგვარადაა შესაძლებელი იმ ბიოლ-ოგიური საჭიროების დაკმაყოფილება, რომელსაც ბედნიერებას ვუწოდებთ. აგრესიულმა ბიზნეს პრაქტიკებმა მოიცვა „დაცული სამყაროს“ სივრცეები და ამით ის არამარტო შეურაცხყოფს მშვენიერებას, არამედ ბიოლოგიური საჭიროებების რეპრესი-რებასაც ახდენს.

როგორც კი ჩვენ ვეთანხმებით იმ ჰიპოთეზის განხილვას, რომლის თანახმადაც, განვითარებული ინდუსტრიული საზოგა-დოების გადაჭარბებული აგრესია გამოიხატება, მეტადრე, არ-ასაეჭვო და “ნორმალურ” ქცევებში: ჩვენ შეგვიძლია ის დავინა-ხოთ ასევე იმ გარემოშიც კი, რომელიც მოწყვეტილია აგრესიის ჩვეული გამოვლინებებისგან: მაგალითად, რეკლამირების და ინფორმაციის გავრცელების სტილში, რომელსაც მასმედია იყენ-ებს. მახასიათებელი არის უწყვეტობა: ერთი და იგივე რეკლამა, ერთი და იმავე ტექსტით ან სურათით, უწყვეტად მაუწყებლობს; დამკვეთისა და ინფორმაციის გამავრცელებლების მიერ “ჩამოს-ხმული” ერთი და იგივე ფრაზები თუ კლიშეები, ერთი და იგ-ივე გადაცემები და პლატფორმები, რომლებშიც პოლიტიკოსები უწყვეტად ქადაგებენ. ფროიდი სიკვდილის ინსტიქტის კონცეპტს მიუბრუნდა „განმეორებადობის იძულების“ ანალიზისას: ის მის ასოცირებას სრული ინერციის, დაძაბულობის არ არსებობის, საშოსთან დაბრუნების მდგომარეობასთან ახდენდა. ჰიტლერმა კარგად იცოდა განმეორებადობის ექსტრემალური ფუნქციის შე-სახებ: უდიდესი ტყუილი, თუ ის ხშირად იქნება განმეორებული, გადაიქცევა სიმართლედ. სხვა შემთხვევაშიც, მუდმივი რეჟიმით განმეორებადობა, ატყვევებს მსმენელს და მისი შედეგი დეს-

ტრუქციულია: ეს პროცესი ანადგურებს მენტალურ ავტონომიას, აზროვნების თავისუფლებას, პასუხისმგებლობის გრძნობას. არსებული საზოგადოება, განმეორებადობის ოსტატი, თავისი წევრებისთვის უზარმაზარ საშოდ გარდაიქმნება. რა თქმა უნდა, ამ გზის ინერცია და დაძაბულობის შემცირება, არც ისე დამაკმაყოფილებელი სუბლიმაციაა: ის ინსტიქტურ ნირვანას არ მიუძღვის კმაყოფილებისაკენ, თუმცა ის კარგად ამცირებს ცნობიერების სტრესს, ტკივილსა და დაძაბულობას, რომელიც ავტონომიური მენტალური აქტივობის თანმხლებია.

ეს არის უაღრესად სპეკულატური ჰიპოთეზა, აგრესიის საბედისწერო მახასიათებლებზე. აგრესია(უმეტეს შემთხვევაში) სოციალურად გამოსადეგი დესტრუქციაა და ჯერ კიდევ საბედისწერო, მისი თვითმოძრავი თვისებისა და ინტენციის გამო. ასევე ის საკმაოდ რთულად ექვემდებარება სუბლიმაციას. თუ ფროიდის თეორია მართებულია და დესტრუქციული იმპულსები მიილტვიან ადამიანის ცხოვრების დამახინჯებისაკენ, მაშინ ჩვენ ჭეშმარიტად მოგვიწევს საუბარი სუიციდალურ ტენდენციებზე, თანაც სოციალური მასშტაბით და შესაძლოა ნაციონალურმა და ინტერნაციონალურმა ტოტალურმა დესტრუქციულმა „თამაშებმა“, მყარად მოიკიდონ ფეხი ჩვენს ინსტიქტურ საწყისებსა და სტრუქტურებში.

ჰერბერტ მარკუზე

რევოლუციის ცნების გადასინჯვა[1]

რევოლუციის ცნება მარქსთან, მიემართება მთელს ისტორიულ პერიოდს: კაპიტალიზმის დასკვნით ეტაპს, პროლეტარიატის დიქტატურის გარდამავალ სტადიას და სოციალიზმის საწყის საფეხურს. მკაცრი გაგებით ის არის ისტორიული ცნება, რომელიც საზოგადოებაში მიმდინარე აქტუალურ ტენდენციებზე პროეცირებს და ასევე, რევოლუციის ცნება, წარმოადგენს დიალექტიკურ კონცეპტსაც, მიმართულს კონკრეტული ისტორიული ჟამის კონტრ-ტენდენციებზე, იმდენად რამდენადაც ისინი(კონტრ-ტენდენციები) ამ პერიოდისთვის მკაფიოდ დამახასიათებელნი არიან. ეს ტენდენციები და კონტრ-ტენდენციები არიან გამოვლინებები, რომლებიც მარქსისტული თეორიისა და პრაქსისისთვის არსებით ელემენტებს წარმოადგენენ. თვით მარქსისტული თეორია არის სიმძლავრე ისტორიულ ბრძოლაში, იმ ხარისხით, რითაც მისთვის საკუთრივი ცნებები პრაქტიკაში განსხეულდებიან და გახდებიან წინააღმდეგობის, ცვლილებისა და რეკონსტრუქციის ძალები, ისინი(ცნებანი) ექვემდებარებიან ბრძოლათა ცვალებადობას, რომლებსაც ჩასწვდებიან და აირეკლავენ, მაგრამ არ დომინირებენ. ამგვარად „გადასინჯვა“ არის რევოლუციის ცნების ელემენტი, ნაწილი მისი შინაგანი განვითარებისა.

---

[1] სტატია „რევოლუციის ცნების გადასინჯვა“ 1969 წელს, „ახალი მემარცხენეობის მიმომხილველში“, გამოქვეყნდა. სტატია, პროლეტარიატის მოწინავე ინდუსტრიულ საზოგადოებასთან შერწყმის ფონზე, განიხილავს რევოლუციის მარქსისტული თეორიის სისტემურ ანალიზს.

ამ წერილს[2] შეუძლია მხოლოდ რამდენიმე იმ პრობლემას გაუმკლავდეს, რომელსაც გადასინჯვა მოიცავს. დავიწყებ მარქსისტული კონცეპტების მოკლე რეზიუმირებით. რევოლოცია არის:

(1) სოციალისტური რევოლუცია, კაპიტალისტური სისტემის დამხობა, საწარმოო საშუალებების კოლექტიური ფლობა და „უშუალო მწარმოებლების“ მიერ მათი კონტროლი.

(2) ინიცირებული მოწინავე ინდუსტრიულ საზოგადოებაში(კაპიტალიზმის ამ საფეხურზე არსებული შინაგანი წინააღმდეგობების სიდიდის გამო და სოციალისტური პრინციპის, „ყველას საჭიროების მიხედვით“, შესაძლებლობის გამოისობით); პირველი ფაზის(სოცილისტური რევოლუციის) დროში სიმოკლე არსებითი რამაა, სხვაგვარად გარდაუვალია რეპრესიების განგრძობითი ხასიათი.

(3) ხდომილება ეკონომიკური კრიზისის ჟამს, რაც ასუსტებს არსებულ სახელმწიფო აპარატს.

(4) განხორციელებული მუშათა კლასის ფართო(ორგანიზებული) მასების ქმედებით და პროლეტარიატის დიქტატურის გარდამავალი ფაზის დამყარებით.

რევოლუციის ცნება მოიცავს შემდეგ დემოკრატიულ წინაპირობას:

ა. რევოლუცია არის უმრავლესობის საქმე;

ბ. და დემოკრატია გვთავაზობს უფრო ხელსაყრელ პირობებს ორგანიზებისა და განათლებისათვის.

ეს წინაპირობანი ხაზს უსვამენ „სუბიექტური ფაქტორის“ მნიშვნელობას: ექსპლოატაციის ფაქტის გაცნობიერებას და მასთან გამკლავების გზებს. აუტანელი პირობების გამოცდილება და

[2] სტატია დაწერილია საფრანგეთის 1968 წლის მოვლენებამდე. მარკუზემ მას შემდეგ დაამატა მხოლოდ რამდენიმე აბზაცი, რათა მათი (ამ მოვლენების) ისტორიული მნიშვნელობისთვის გაესვა ხაზი.

ცვლილების სასიცოცხლო საჭიროება რევოლუციის წინაპირობანი არიან.

მაგრამ რევოლუციის მარქსისტული ცნება აგრეთვე შეიცავს ცვლილების განგრძობითობას: ახალი მწარმოებლების მიერ საწარმოო ძალების განვითარებას, ტექნოლოგიისა და ტექნიკური აპარატის ათვისებას.

გადასინჯვა არ გულისხმობს მხოლოდ იმ წინაპირობების ნუმერაციასა და იდენტიფიკაციას, რომლებიც აქტუალურ განვითარებაში შეფერხებულია, არამედ რევოლუციის ცნებას, როგორც მთელისას, რადგან მასში შემავალი ელემენტები ურთიერთდაკავშირებულია. ეს მოიცავს კაპიტალიზმისა და სოციალიზმის მარქსისტული ცნების სტრუქტურული მიმართების გადასინჯვას შემდეგი ასპექტების გათვალისწინებით:

(1) ტრანზიციის პრობლემა: სოციალიზმი თანაარსებობაში კაპიტალიზმთან და სოციალიზმი როგორც კაპიტალიზმის ჩამნაცვლებელი.

(2) სოციალიზმის ხელახალი განსაზღვრა გლობალური განვითარების ახალ ისტორიულ საფეხურთან მიმართებით: სახელდობრ, რა არის სოციალიზმის თვისებრივი განსხვავებულობა, როგორც კაპიტალიზმის განსაზღვრული უარმყოფელის?

გადასინჯვის არეალი თვითონ მარქსისტული თეორიის მიერვეა განსაზღვრული, თანდაყოლილი საჭიროების მიერ, რათა სოციალური სინამდვილის ანალიზისას, დიალექტიკური კონცეპტების განზრახულობა გამოიშალოს. იმ თვისებრიობით, რითაც კორპორატიული კაპიტალიზმი განსხვავდება წინა საფეხურების კაპიტალიზმისგან, რომელმაც წარმართა კიდეც მარქსისტული ცნებანი, და იმდენად, რამდენადაც კაპიტალიზმი „უგულებელყოფს“ სოციალიზმს და პირიქით, რევოლუციის კონცეპტი გარდაიქმნება, როგორც „ახალი“ ცნება.

გლობალური კონტექსტი

ალბათ გადასინჯვის ყველაზე ზოგადი ასპექტი არის ცვლილება თეორიტიკულ ჩარჩოში, ცვლილების მასში არეკვლა, სო-

ციალური ბაზისის გაფართოება რევოლუციური პოტენციალისათვის, ან რევოლუციის შესაძლო შეკავებისა და მარცხისათვის.

ხსენებული თეორიტიკული ჩარჩო, და რევოლუციური აქტივობა, გახდა გლობალური რამ: არ არსებობს ცნება, ქმედება, სტრატეგია, რომელიც არ პროეცირებს და განსჯის, როგორც საერთაშორისო მოცემულობის ელემენტი, შესაძლებლობა, ანდაც არჩევანი. როგორც ვიეტნამია კორპორატიული კაპიტალიზმის სისტემის შემავალი ნაწილი, სწორედ ასევე, ეროვნულ გამათავისუფლებელი მოძრაობები, სოციალისტური რევოლუციის პოტენციალის შემადგენელი ნაწილები არიან. ასევე, მესამე სამყაროში არსებული გამათავისუფლებელი მოძრაობები დამოკიდებულნი არიან კაპიტალისტური მეტროპოლიების შინაგან დაუძლურებაზე.

უპრიანია ვახსენოთ, რომ მარქსისტული თეორია ყოველთვის „ინტერნაციონალური“ გახლდათ, აგრეთვე ორგანიზაციულ დონეზეც. მართალია, რომ ეს „ინტერნაციონალიზმი“ ორიენტირებული იყო ინდუსტრიულ მუშათა კლასზე, როგორც ინდუსტრიულ კაპიტალიზმში არსებულ კონტრძალებზე; დღეს კი, ისინი აღარ წარმოადგენენ რევოლუციურ ძალას. მარქსისტული თეორია აგრეთვე მხედველობის მიღმა არ ტოვებდა კოლონიურ და განვითარების დაბალ საფეხურზე მყოფ არეალებს, მაგრამ ისინი უმეტესად „თანაშემწეთა“ როლში გვევლინებოდნენ, მთავარი რევოლუციური აგენტების მოკავშირეებად (réservoir’, ლენინის ტერმინი). მესამე სამყარომ სრული თეორიული და სტრატეგიული ცნობა მეორე მსოფლიო ომის შემდეგ მიიღო, მაგრამ შემდგომ ქანქარა სხვა მოპირისპირე მხარისაკენ გადაიხარა. დღეს საკმაოდ ძლიერი ტენდენცია არსებობს, რომელიც ეროვნულ გამათავისუფლებელ ბრძოლას განიხილავს როგორც პრინციპულ, თუმცა არა როგორც მზა რევოლუციურ ძალად, ასევე მეორე, შესამჩნევად საპირისპირო პროცესი, რაც გულისხმობს ამ მოძრაობებზე იმგვარი თეორიული და საორგანიზაციო ტენდენციის თავს მოხვევას, რომელიც შემუშავებული და მორ-

გებულია მეტროპოლიაში არსებული არეალების სტრატეგიაზე (მაგალითად: ცენტრალიზებული პარტიული კონტროლი; ადგილობრივ ბურჟუაზიასთან ალიანსი და ა.შ.).

სინამდვილეში, გლობალური ვითარება მსოფლიოს მესამე სამყაროდ და სხვებად მექანისტურად დაყოფის წინააღმდეგ ილაშქრებს. უფრო უკეთ თუ ვიტყვით, ისტორიული სუბიექტები დაყოფილნი არიან სამ ნაწილად, პირველ, მეორე და მესამე სამყაროდ. კაპიტალიზმსა და სოციალიზმს შორის შეჯიბრი მესამე სამყაროსაც ხლეჩს და ახალი ისტორიული შესაძლებლობა კაპიტალიზმისა და არსებული სოციალისტური საზოგადოებების საპირისპირო ფორმით ვლინდება, სახელდობრ, სოციალიზმის კონსტრუირების განსხვავებული გზით, მისი(სოციალიზმის) „ქვემოდან“ აშენების მცდელობით, მაგრამ ხსენებული „ქვემოდან“ თვისებრივად ახალი რამაა, არ იზიარებს ძველი სოციუმების ღირებულებებს, სოციალიზმი, რომელიც თანამშრომლობასა და სოლიდარობას ემყარება, რომელშიც ქალი და კაცი კოლექტიურად განსაზღვრავენ მათ მისწრაფებებსა და საჭიროებებს, პრიორიტეტებს, მოდერნიზაციის მეთოდსა და ფორმას.

მეტროპოლიებში არსებული ოპოზიცია

და ეს პოტენციური ალტერნატივა (შესაძლებლობა თავიდან ავირიდოთ განუსაზღვრლად გაჭიმული „პირველი ფაზა“,[3] შესაძლებლობა რეპრესიისა და არსებული სისტემის მხრიდან დომინაციის განგრძობითობის შეწყვეტის),[4] გააღვივებს და ინტენსიურს გახდის მოწინავე ინდუსტრიულ ქვეყნებსა (დასავლეთითაც და აღმოსავლეთითაც) და განსაკუთრებით კაპიტალისტური იმპერიის ცენტრში არსებულ რადიკალურ ოპოზიციას. ეს ოპოზიცია შესაძლოა ცვლილების კატალიზატორი გახდეს. მარქსისეული რევოლუციის ცნება ორიენტირებულია მოწინავე კა-

[3] სოციალისტური რევოლუცია

[4] მარკუზე უკვე იქამდეც ახსენებს, რომ „პირველი ფაზის“ „დღემოკლეობა“ რევოლუციის წარმატებისათვის არსებითი რამაა.

პიტალისტურ ქვეყნებში მიმდინარე მოვლენათა განვითარებაზე და საპირისპირო ვითარების თვალსაჩინო სამხილის არსებობის მიუხედავად, რევოლუციის ბედი(გლობალური რევოლუციის) შესაძლოა მეტროპოლიაში გადაწყდეს. გამათავისუფლებელ მოძრაობებს მხოლოდ იმ შემთხვევაში შეუძლიათ გლობალური რევოლუციური ძალის ბიძგის განცდა და მიღება, თუ ჯაჭვის უძლიერესი რგოლი უსუსტესი გახდება.

კორპორატიული კაპიტალიზმის ცენტრში არსებული ოპოზიციის მახასიათებლები საზოგადოების ორ საპირისპირო პოლუსშია კონცენტრირებული: გეტოს მოსახლეობასა(რომელიც არაჰომოგენურია) და საშუალო კლასის ინტელიგენციაში, განსაკუთრებით სტუდენტებში.

ამ განსხვავებული და ხშირად ურთიერთ დაპირისპირებული ჯგუფების ჯანყსა და უარყოფას საერთო მახასიათებლები აქვს:

(1) დაჟინებულობა ექსპლოატაციისა და დომინაციის შეწყვეტაზე, არ აქვს მნიშვნელობა რა სახელით; დაჟინებულობა არა მხოლოდ ახალ ინსტიტუციებზე, არამედ თვითგანსაზღვრაზე.

(2) ყველა იდეოლოგიის მიმართ უნდობლობა, მათ შორის სოციალიზმის, რომელიც გარდაქმნილია იდეოლოგიად.[5]

(3) ფსევდო დემოკრატიული პროცესის უარყოფა, რომელიც ინარჩუნებს კორპორატიული კაპიტალიზმისთვის დამახასიათებელ დომინაციას.

ოპოზიციის ეს „არაორთოდოქსული“ ხასიათი თვითონვეა კორპორატიული კაპიტალიზმის სტრუქტურის გამომხატველი (იგულისხმება მოსახლეობის უმრავლესობის სისტემაში ინტეგრაციის პროცესი). საგულისხმოა, რომ არც ერთი ამ ჯგუფთაგანი არ არის ჩართული წარმოების პროცესში, ისინი არ აწარმოებენ სა-

[5] აქ შეგვიძლია ვივარაუდოთ, რომ მარკუზე იდეოლოგიას იმ დატვირთვით ხმარობს, როგორც ამას მარქსი აკეთებდა, ან შესაძლოა ის მიუთითებდეს სოციალიზმის იმ გაგებაზე, რომელიც მომდინარეობდა საბჭოთა კავშირის მაგალითიდან.

ბაზისო პროდუქტს, რაც მარქსისთვის გადამწყვეტი ფაქტორია, როდესაც ის რევოლუციის ისტორიულ აგენტებს განიხილავს.

ისინი არ შეადგენენ მოსახლეობის უმრავლესობას.

ისინი აწყდებიან მტრულ დამოკიდებულებასა და რესენტიმენტს, რომელიც ორგანიზებული სამუშაო ძალისგან მომდინარეობს (რომელიც ჯერ კიდევ კაპიტალისტური წარმოების ბაზისი და ზედმეტი ღირებულების მთავარი წყაროა, თუმცა, მიუხედავად ამისა, მაინც პოტენციური აგენტი შესაძლო რევოლუციისა), ასევე ოპოზიცია არ არის ეფექტურად ორგანიზებული, არც ეროვნულ და არც საერთაშორისო დონეზე.

მუშათა კლასი და რევოლუცია

ეს ოპოზიცია ვერ განიხილება როგორც რადიკალური ცვლილების აგენტი; ის ასეთად მხოლოდ მუშათა კლასის მხარდაჭერით იქცევა, რომელიც მეტად აღარ იქნება სისტემასთან ინტეგრაციის, ბიუროკრატიული პროფესიული კავშირის და იმგვარი პარტიული აპარატის ტყვე, რომელიც ხსენებულ ინტეგრაციას უჭერს მხარს. თუ ახალ ოპოზიციასა და მუშათა კლასს შორის ალიანსი არ განსხეულდა, ეს უკანასკნელი იქცევა, ნაწილობრივ მაინც, ნეო-ფაშისტური რეჟიმის მასობრივ დასაყრდენად.

დასკვნა: ***რევოლუციის მარქსისტული ცნება,*** განხორციელებული ექსპლოატირებული მასების უმრავლესობის მიერ, რომელიც კულმინაციას აღწევს ძალაუფლების ჩამორთმევისას და პროლეტარიატის დიქტატურის დამყარებისას, რომელიც ინიცირებს სოციალიზაციას, ***გადალახულია ისტორიული განვითარებით:*** ის (რევოლუციის მარქსისტული გაგება) მიეკუთვნება კაპიტალისტური წარმოებისა და ორგანიზების იმ საფეხურს, რომელიც უკვე გადალახულია;[6] მარქსისეული ცნება ვერ იტევს კაპიტალისტური წარმოების უფრო მაღალ საფეხურს, მათ შორის დესტრუქციულობის წარმოების, განადგურებისა და ინდოქტრინაციის ინსტრუმენტების ძალაუფლების ხელში შემზარავ კონცენტრირებას.

---

[6] დიალექტიკურად არის გადალახული.

აქედან გამომდინარე, მარქსისეული რევოლუციის ცნების არაავალიდურობა არის ავთენტური და ზუსტი მოხსნა (Aufhebung); ამ ცნების ჭეშმარიტება შენახულია და ისტორიული განვითარების მიღწევის შედეგად, კვლავ ჰოყოფითი გახდება. რევოლუციური პროლეტარიატი ცვლილების აგენტი კვლავ გახდება იქ, სადაც ჯერ კიდევ არის წარმოების სოციალური პროცესის ადამიანური ბაზისი, სახელდობრ, მესამე სამყაროს უმთავრეს აგრარულ არეალებში, რომლებიც ეროვნულ გამათავისუფლებელ ბრძოლას მხარდაჭერას უწევენ.

ეს არეალები და ძალები კაპიტალისტური სისტემისათვის გარეგანნი არ არიან. ისინი არიან ექსპლოატაციის გლობალური სივრცის არსებითი ნაწილნი, ისინი არიან არეალები და ძალები, რომლებსაც სისტემა სხვა ორბიტაზე (კომუნისტურის ან სოციალიასტურის) გადანაცვლების ნებას არ მისცემს იმიტომ, რომ სისტემა შესაძლოა გადარჩეს მხოლოდ მაშინ, თუ მისი ექსპანსია სხვა რომელიმე აღმატებული ძალის მიერ არაა დაბლოკილი. ეროვნულ გამათავისუფლებელი მოძრაობები არიან გლობალური კაპიტალიზმის სისტემის შინაგანი წინააღმდეგობების გამომხატველნი.

მაგრამ ზუსტად მეტროპოლიებისა და მის მიღმა არსებული არეალების რევოლუციებს შორის მიმართების გამო, განწირული კავშირი გამათავისუფლებელი ბრძოლებისა და მეტროპოლიებში არსებული რადიკალური ოპოზიციის პერსპექტივებს შორის, კვლავაც განგრძობადია. უარყოფითობის[20] მატარებელი ორი ძალა ერთმანეთს უნდა შეერწყას, მაგრამ შედეგი მხოლოდ ორგანიზების წყალობით არ მოვა, უარყოფას საკუთარი ობიექტური ბაზისი კორპორატიული კაპიტალიზმის ეკონომიკურ და პოლიტიკურ პროცესებში უნდა ჰქონდეს:

(1) შეჯიბრის საჭიროება და ავტომატიზაციის პროგრესირებადი საფრთხე, თანხმლები უმუშევრობით, მოითხოვს არაპ-

---

[7] იგულისხმება ძალები, რომლებიც არსებული სისტემის უარყოფას თავის თავში შეიცავენ.

როდუქტიული, პარაზიტული სამუშაო ადგილების მიერ შრომის არეალის აქამდე არნახული მასშტაბით შთანთქმას.

(2) ნეო-კოლონიალური ომის, კორუმპირებულ დიქტატურებზე კონტროლის ფასი, სულ უფრო და უფრო იმატებს.

(3) საწარმოო პროცესში ადამიანური სამუშაო ძალის მკვეთრი კლება სარგებლის ზღვარს ამცირებს.

(4) საზოგადოება ითხოვს იმგვარი კმაყოფილების საჭიროების შექმნას, რაც წინააღმდეგობაში მოდის კაპიტალიზმის წესრიგის მორალთან და დისციპლინასთან. საჭიროების საუფლო დაპყრობილია უსარგებლო, ფუფუნების საგნებით, რომელიც განგრძობითი სიღატაკისა და გაჭირვების გვერდით თანაარსებობს. არსებობისათვის ბრძოლაში ფუფუნება ხდება საჭიროება.

თუ ეს ტენდენცია გაგრძელდება, წინააღმდეგობა, უზარმაზარი სოციალური სიმდიდრისა და მის დესტრუქციულ, უსარგებლო გამოყენებას, თავისუფლების პოტენციალისა და რეპრესიის აქტუალობას, გაუცხოებული შრომის აღმოფხვრასა და კაპიტალისტების მიერ მისი შენარჩუნებისთვის სწრაფვას შორის, აქამდე არნახულ მკაფიოობას შეიძენს. ეს შესაძლოა საზოგადოების დისფუნქციის მიზეზიც გახდეს, იმ მორალის დაზიანების, რომელიც უზრუნველყოფს ყოველდღიურ საქმიანობას, იძლევა ქცევის გარკვეულ მოდელებს სამუშაო და დასვენების პერიოდებში. ამან შესაძლოა გამოაღვიძოს ცნობიერება, რომელიც ტექნიკურ პროგრესს დომინაციისათვის გამოიყენებს.

საფრანგეთის მაისისა და ივნისის მოვლენებმა ცხადყო ზემოხსენებული დაძაბულობა, რომელიც კაპიტალისტებსა და პროფ. კავშირს შორის ინტეგრაციის რღვევაში, მუშათა კლასსა და მებრძოლ ინტელიგენციას შორის ალიანსში გამოიხატა.

რევოლუციის ცნებამ მხედველობაში უნდა მიიღოს სისტემის ეს დეზიტნეგრაცია, მისი ერთობის რღვევა, გაუცხოებული შრომის ყავლგასულობის გამოხატვა, ზეწოლის გაღვივება ადამიანის მონობიდან დახსნისთვის: რევოლუცია შესაძლოა მოგვევლინოს როგორც კრიზისი „სიუხვისა“ და „სიჭარბის“ სისტემაში.

ცვლილების აგენტები

ამგვარ კრიზისში, ცვლილების ისტორიული აგენტები წარმოიქმნებიან, თუმცა ისინი არ იქნებიან რომელიმე ტრადიციული კლასის იდენტურნი. მაგრამ მარქსისეული კონცეფციის ერთ გადამწყვეტ მომენტს თუ გავიხსნებეთ ამ აგენტთა „კვალიფიკაციის“ გაზომვა შეგვიძლია. იგულისხმება ის, რომ რევოლუციის ისტორიული სუბიექტი უნდა იყოს „განსაზღვრული უარყოფითობა“, ასევე იმ გაგებითაც, რომ ეს სუბიექტი არის კაპიტალიზმის ქვეშ მყოფი ადამიანის ექსპლოატატორული საჭიროებებისაგან და ინტერესებისაგან თავისუფალი, რომ ის არის არსობრივად განსხვავებული ადამიანური ღირებულებებისა და საჭიროებების მქონე სუბიექტი.

ეს არის განგრძობით დომინაციასთან განხეთქილების, წყვეტის ცნება, თვისებრივი განსხვავება სოციალიზმისა, როგორც ცხოვრების ახალი ფორმისა და გზისა, საწარმოო ძალის არამხოლოდ რაციონალური განვითარება, არამედ პროგრესის გადამისამართება არსებობისათვის ბრძოლის წესრიგის დასრულებისაკენ,[8] ტანჯვისა და სიღატაკის არამხოლოდ აღმოფხვრა, არამედ სოციალური და ბუნებრივი გარემოს მშვიდობიან, მშვენიერ სამყაროდ გარდაქმნა: ღირებულებათა ტოტალური გადაფასება, მიზნებისა და საჭიროებების ტრანსფორმაცია. ეს მოიცავს კიდევ სხვა ცვლილებას რევოლუციის ცნებაში, საწარმოო ტექნიკური აპარატის განგრძობითობისგან მოწყვეტას, თუმცა მარქსისთვის, ეს პროცესი (საწარმოო ტექნიკური აპარატის განვითარება) სწორედ სოციალისტურ საზოგადოებაში უნდა გაფართოებულიყო.[9] ამგვარი „ტექნოლოგიური“ განგრძობითობა შექმნის საბედისწერო კავშირს კაპიტალიზმსა და სოციალიზმს შორის, რადგან ტექნიკური აპარატი, თავის საკუთრივ სტრუქ-

---

[8] ამ აზზაცში მარკუზე ექსპლიციტურად შლის რევოლუციის ცნებაში შემავალ სხვადასხვა ასპექტს.

[9] მარკუზე თვლის, რომ თუ ტექნიკის არსი არ გადაფასდა, ის შესაძლოა კონტროლისა და მანიპულაციის მექანიზმად მოგვევლინოს. მარკუზე ტექნიკას არ აღიქვამს როგორც ნეიტრალურ მოვლენას.

ტურასა და არეალში, გადაიქცა დომინაციისა და კონტროლის მექანიზმად. ამ კავშირის აღმოფხვრა გულისხმობს არა ტექნიკურ რეგრესს, არამედ ტექნიკური აპარატის იმგვარად კონსტრუირებას, რომელიც თანხმობაში იქნება თავისუფალი ადამიანის ავტონომიურ, საკუთარი ცნობიერებისა და მგრძნობელობის მიხედვით არსებულ საჭიროებებთან. ეს ავტონომია, თავის მხრივ, მოითხოვს რედუცირებულ ბაზაზე მყოფ დეცენტრალიზებულ რაციონალური კონტროლის აპარატს, რომელიც მაშინ შემცირდება, როდესაც საჭირო აღარ იქნება ექპლოატაცია, აგრესიული ექსპანსია და შეჯიბრი.

და შეესაბამება ეს ერთი შეხედვით „უტოპიური“ ცნება არსებულ სოციალურ და პოლიტიკურ ძალებს, რომლებიც შესაძლოა თვისებრივი ცვლილებების აგენტებად განვიხილოთ?

მარქსისეული რევოლუციის ცნება არც უტოპიურია და არც რომანტიკული, ის ესადაგება რევოლუციური პოტენციალის რეალურ ბაზისს, რომელიც დღესაც არის მოწინავე ინდუსტრიულ საზოგადოებებში, ობიექტურ და სუბიექტურ ფაქტორებს, რომლებსაც ძალუძთ თვისებრივი ცვლილების იდეა მხოლოდ უბრალო სურვილების სფეროს მიღმა გაიყვანონ.

კაპიტალისტურ ქვეყნებში ალტერნატიული ძალები წარმოჩინდებიან მარგინალურ ჯგუფებად: მუშათა კლასის პოლიტიკურად აქტიური ფლანგი, საშუალო კლასის ინტელიგენცია, განსაკუთრების სტუდენტები.

ისინი არამხოლოდ სისტემას უარყოფენ, ანდა მის, არსებულ საზღვრებში, რაიმე სახის ტრანსფორმაციას, არამედ თავიანთ ერთგულებას თვისებრივად ახალი ღირებულებებისა და მისწრაფებების მიმართ გმოხატავენ.

ახალ ისტორიულ კონფიგურაციაში, რომელიც განსაზღვრავს კიდეც რევოლუციის ცნებას ამ ჯგუფების სისუსტე გამოხატულია:

(1) ინტეგრირებული მოსახლეობის უმრავლესობის წინააღმდეგ, „უშუალო მაწარმოებლების“ ჩათვლით;

(2) კეთილდღეობის მქონე, კარგად ფუნქციონირებადი საზოგადოების წინააღმდეგ, რომელიც არც რევოლუციურ და არც წინარე რევოლუციურ ვითარებაშია.

ამ ვითარების თანახმად, ამ ოპოზიციის როლი მხოლოდ მოსამზადებელი ხასიათის მატარებელია: მათი ამოცანაა რადიკალური განმანათლებლობა, თეორიასა და პრაქტიკაში, კადრების განვითარება და ფორმირება კაპიტალიზმის გლობალურ სტრუქტურასთან საბრძოლველად.

არეალი, სადაც შინაგანი წინააღმდეგობანი თავს იჩენენ სწორედ გლობალური სტრუქტურაა, ისინი კი(წინააღმდეგობანი), გამოიხატებიან შემდეგი სახით: ნეო-კოლონიალიზმის დომინაციის მიმართ არსებული ბრძოლა; საკმაოდ ძლიერი ძალისხმევის გაწევა კუბაში თვისებრივად ახალი საზოგადოების ასაშენებლად, ასევე ჩინეთის კულტურული რევოლუცია და ბოლოს, ასე თუ ისე „მშვიდობიანი“ თანაარსებობა საბჭოთა კავშირთან. აქვე ორი ანტაგონისტური ტენდენციის დინამიკა:

(1) ერების საერთო ინტერესები საერთაშორისო ძვრების და ძალთა ბალანსის არასტაბილურობის ფონზე.

(2) განსხვავებული სოციალური სისტემების ინტერესთა კონფლიქტი, რომლის დროსაც ორივე მხარე საკუთარ პოლიტიკურ და სტრატეგიულ ორბიტას იცავს.

დასკვნა

რევოლუციის მარქსისეული ცნება უნდა ჩაწვდეს ბოლო საფეხურის კაპიტალიზმში არსებულ სოციალურ სტრუქტურასა და არეალში მიმდინარე ცვლილებებს, ასევე -წინააღმდეგობის ახალ მახასიათებლებს გლობალური ვითარების გათვალისწინებით. ასეთ შემთხვევაში მარქსისეული ცნების მოდიფიკაცია აღარ წარმოჩინდება როგორც გარეგნულ, უცხო დამატებად და მისადაგებად, არამედ -როგორც თვითონ მარქსის თეორიის გადამუშავება.

მიუხედავად ამისა, ასე ჩანს, რომ ერთი ასპექტი ამ ინტერპრეტაციასთან მაინც შეუსაბამოა. მარქსთან ჩვენ გვხვდება ერთი დაძაბულობა, რასაც შეიძლება რაციონალური, პოზიტივისტური ცრურწმენაც კი ვუწოდოთ, სახელდობრ, მისი რწმენა ადამიანის განვითარების უფრო მაღალ საფეხურზე გარდაუვალი გადასვლის და საბოლოოდ ამ გადასვლის წარმატებით დასრულების. ცხადია მარქსი ყველაზე უკეთ ათვიცნობიერებდა მარცხის ან ღალატის შესაძლებლობას, ალტერნატივა „სოციალიზმი ან ბარბაროსობა“ რევოლუციის მისეული ცნების არსებითი ნაწილი არ იყო. თუმცა ის უნდა გახდეს მისი ნაწილი: ადამიანის დაქვემდებარებულობა მისივე სამუშაო იარაღებისადმი, წარმოებისა და დესტრუქციის უძლეველი და სრულყოფილი აპარატი, უკონტროლო ძალაუფლებას აღწევს: ტექნოლოგიურ ბურუსსა და ეროვნული ინტერესების მიღმა მატერიალიზებული ეს ძალაუფლება, თვითმოძრავია და ინდოქტრინიზებულ ადამიანებს შიგნით ითრევს. მან შესაძლოა საბოლოოდ, ფატალურად გაისროლოს, სანამ კონტრ-ძალები საკმარისად ძლიერები არიან იმისათვის, რომ ამის პრევენცია შეძლონ: შინაგანი წინააღმდეგობების აფეთქება რევოლუციის ცნების რევიზიას მხოლოდ აბსტრაქტულ და სპეკულატურ განზრახვად აქცევს. ვითარების ამგვარად წარმართვის შესაძლებლობის გააზრებამ უნდა გააძლიეროს და გააერთიანოს ოპოზიცია მის ყველა გამოვლინებაში, თუმცა ეს მხოლოდ იმედია.

ჰერბერტ მარკუზე 1967

ძალადობისა და რადიკალური ოპოზიციის პრობლემა

დღესდღეობით რადიკალური ოპოზიციის განხილვა მხოლოდ გლობალურ ჭრილშია შესაძლებელი. თუ მას იზოლირებულ ფენომენად განვიხილავთ, აღმოვაჩენთ, რომ მისი ძირები ფალსიფიცირებულია. მე რადიკალურ ოპოზიციას განვიხილავ გლობალურ კონტექსტში, ამერიკის შეერთებულ შტატებში არსებულ გამოცდილებასთან ერთად. ალბათ იცით, რომ დღეს არსებული სტუდენტური წინააღმდეგობის კერებს, გადამწყვეტ გარდამქმნელ ფაქტორებად აღვიქვამ. რა თქმა უნდა, ეს სტუდენტური ოპოზიცია არ არის მზა რევოლუციური ძალა, თუმცა მე მათ პოტენციურ რევოლუციურ ძალებად მივიჩნევ. ბოლო წლების ყველაზე მნიშვნელოვანი, სტრატეგიული საჭიროება, სხვადასხვა ქვეყნის სტუდენტური აქტივიზმის ანალიზი და მათი ერთმანეთთან დაკავშირებაა. ძალიან მცირე კავშირია ამერიკასა და გერმანიაში არსებულ სტუდენტურ მოძრაობებს შორის. შტატებში მოქმედი სტუდენტური მოძრაობები, ეფექტურ ცენტრალურ მაორგანიზებელ ძალებს არ ფლობენ. ჩვენ უნდა ვიმუშავოთ იმისათვის, რათა დავაფუძნოთ ამგვარი მიმართებები და თუ ამ საუბრის განმავლობაში, ამ საკითხის განხილვით დავკავდები, დავეყრდნობი აშშ-ს მაგალითს. ამერიკაში არსებული სტუდენტური მოძრაობები არიან იმ ბევრად უფრო დიდი ოპოზიციის ნაწილნი, რომლებიც უმეტესწილად იწოდებიან როგორც „ახალი მემარცხენეები“.

პირველ რიგში, მოკლედ მიმოვიხილავ თუ რა განსხვავებაა ახალ და ძველ მემარცხენეებს შორის. ახალი მემარცხენეები,

გამონაკლისების გარდა, უფრო მეტად არიან ნეო-მარქსისტები, ისინი ნაკლებად დგანან ორთოდოქსულ პოზიციებზე, ისინი ე.წ მაოიზმის საკმაოდ დიდ გავლენას განიცდიან და დაინტერესებულნი არიან „მესამე მსოფლიოში“ არსებული რევოლუციური მოძრაობებით. მეტიც, ახალი მემარცხენეობა მოიცავს ნეო-ანარქიზმის ტენდენციებსაც, რომელიც უნდობლობით არის განმსჭვალული ძველი მემარცხენე პარტიებისა და იდეოლოგიის მიმართ. ახალი მემარცხენეები, გამონაკლისების გარდა, ძველი ყაიდის მუშათა კლასს აღარ განიხილავენ ერთადერთ რევოლუციურ სუბიექტად. კლასობრივი ჩარჩოების მიხედვით, ახალი მემარცხენეების განსაზღვრა, შეუძლებელია, ისინი შედგებიან ინტელექტუალებისგან, სამოქალაქო უფლებათა დამცველთაგან, ახალგაზრდული ჯგუფებისაგან, ძირითადად სწორედ ეს ახალგაზრდული ჯგუფები არიან ყველაზე მეტად რადიკალური ელემენტები, ასევე უნდა ითქვას, რომ ისინი, ერთი შეხედვით, არ არიან პოლიტიკური აქტივისტები, ეს ახალგაზრდები უფრო ჰიპები არიან, რომელთაც მე მოგვიანებით დავუბრუნდები. საინტერესოა, რომ ამ მოძრაობის გამხმოვანებლები, ჩვეულებრივი ყაიდის პოლიტიკოსები არ არიან. მათ „სპიკერებად“ პოეტები, მწერლები და „ინტელექტუალები“ გვევლინებიან. თუ ვინმეს შეუძლია ამ ყველაფრის ერთ სიბრტყეზე წარმოდგენა მიხვდება, რომ ასეთი გარემოებები და მიმართებები, ორთოდოქსი მარქსისტებისთვის ნამდვილი კოშმარია. ფაქტიურად გყვავს ოპოზიცია, რომელსაც არანაირი საერთო არ აქვს კლასიკურ რევოლუციურ ძალასთან და სტრატეგიასთან: შეიძლება ძველი მარქსისტებისთვის ამგვარი ოპოზოცია კოშმარია, მაგრამ ახალი მემარცხენეები პასუხობენ დღევანდელ რეალობას. მე ღრმად მწამს, რომ ოპოზიციის ეს სრულიად არაორთოდოქსული „თანავარსკვლავედი“ ავტორიტარულ-დემოკრატიულ საზოგადოებაში არსებულ გამოწვევებთან სრულ შესაბამისობაშია. ის პასუხია „ერთგანზომილებიან საზოგადოებაზე“, რომლის მთავარი მახასიათებელი დომინანტური კლასის მატერიალურ და რეალურ

ბაზისებთან ინტეგრაციაა, სახელდობრ იმ საფუძვლებთან ინ-ტეგრაცია, რომელიც აკონტროლებს კმაყოფილებებსა და სა-ჭიროებებს, რომელიც მონოპოლიური კაპიტალიზმის მაკვლავ-მწარმოებელია და რომელიც რეპრესიულ, კონტროლირებად ცნობიერებას აკონსტრუირებს. დღევანდელი ოპოზიცია ძირი-თადად შედგენილი და კონცენტრირებულია „აუტსაიდერებით“, რომლებიც დადგენილ საზღვრებში არსებობენ. პირველ რიგ-ში, ისინი უნდა ვეძიოთ გეტოებში, „არაპრივილეგირებულთა“ შორის, რომელთა სასიცოცხლო საჭიროებები განვითარებულ, მოწინავე კაპიტალისტურ წესწყობილებაშიც კი არ არის დაკ-მაყოფილებული. მეორე სახის ოპოზიცია კონცენტრირებულია საზოგადოების საწინააღმდეგო პოლუსზე, პრივილეგირებულთა შორის, მათ შორის, ვინც თავი დააღწია სოციალურ კონტროლს. მე ვგულისხმობ იმ სოციალურ ფენას, რომლებსაც, თავიანთი პოზიციებისა და განათლების გათვალისწინებით, კვლავ აქვთ უნარი იმ ფაქტების მიღებისა და ანალიზის, რომლებიც შესაც-ნობდ საკმაოდ რთულია. ამ ფენას კვლავ აქვს განგრძობითი წინააღმდეგობებისა და ე.წ საზოგადოების შეძლებული ნაწილის მხრიდან, თავისი მსხვერპლის გაყვლეფის ფაქტის დანახვისა და გაანალიზების უნარი. მოკლედ არსებობს ოპოზიციის ორი ნაწილი, საზოგადოების სხვადასხვა პოლუსზე და მე მსურს ის-ინი მოკლედ აღვწერო.

არაპრივილეგირებულნი: შეერთებულ შტატებში პრივილეგი-ების არმქონენი ორ ნაწილად იყოფიან, ეროვნულ და რასობ-რივ უმცირესობებად, რომლებიც უმეტესწილად, პოლიტიკურად არაორგანიზებულნი არიან და ხშირად ერთმანეთის მიმართ ან-ტაგონისტური განწყობებით გამოირჩევიან (მხედველობაში მისა-ღებია კონფლიქტი შავკანიანებსა და პუერტო რიკოელებეს შო-რის). ეს ჯგუფები არ არიან ჩართულები წარმოების პროცესში, ამიტომ კლასიკური მარქსისტული თეორიის მიხედვით, ისინი პოტენციური რევოლუციური ძალების მნიშვნელოვანი ნაწილის შემადგენლები არ არიან. მიუხედავად ამისა, გლობალური კონ-

ტექსტის გათვალისწინებით, არაპრივილეგირებულთა შორის ისინი, ვინც აცნობიერებენ სისტემის მთელ სიმძიმეს, ნამდვილად არიან მასობრივი ბაზისი ეროვნულ-გამათავისუფლებელი ბრძოლისათვის, რომელიც მიმართულია ნეო-კოლონიალიზმისა და კოლონიალიზმის წინააღმდეგ აშშ-ში. აქვე, კაპიტალისტური საზოგადოების მეტროპოლიებში არ არსებობს არანაირი ეფექტური კავშირი ეროვნულ და რასობრივ უმცირესობებს შორის. ამ ჯგუფებს არც იმ მასებთან აქვთ კავშირი, რომლებიც უკვე დაკავებულნი არიან ნეო-კოლონიალიზმთან ბრძოლით. საზოგადოების ეს არაპრივილეგირებული ნაწილი შესაძლოა განვიხილოთ, როგორც ახალი პროლეტარიატი და მათი ამგვარი მდგომარეობა, საკმაოდ დიდი საფრთხის მატარებელია კაპიტალისტური სისტემისათვის. სხვა განხილვის საკითხია, თუ რა განასხვავებს ევროპელ მუშათა კლასს მათგან, რომლებიც ასევე შეიძლება არაპრივილეგირებულად მივიჩნიოთ. მე არ შემიძლია ამ სქემაში მათზე საუბარი, თუმცა უპრიანი იქნება ვთქვა, რომ მათ შორის საკმაოდ დიდი სხვაობაა. ამერიკელი მუშათა კლასი, მათი უმრავლესეობა, ინტეგრირებულია სისტემასთან და მათ არ სურთ რადიკალური ცვლილებები, თუმცა იმავეს ვერ ვიტყვით ევროპელ მუშათა კლასზე.

პრივილეგირებულნი: მინდა ის ჯგუფი, რომელიც მოწინავე კაპიტალიზმის სტრუქტურას უწევს ოპონირებას, ორ სუბმიმართულებად დავყო. პირველ რიგში, დავიწყოთ ე.წ ახალი მუშათა კლასით, რომელიც ძირითადად შედგება ინჟინრებისგან, მეცნიერებისგან, სხვადასხვა დარგის სპეციალისტებისგან და ა.შ. ისინი დასაქმებულნი არიან წარმოებაში, ზოგ შემთხვევებში განსაკუთრებულ პოზიციებსაც კი იკავებენ. მათი საკვანძო პოზიციების გათვალისწინებით, ეს ჯგუფი წარმოადგენს რევოლუციური ძალის ბირთვს, მაგრამ ამავე დროს, ისინი ესტაბილიშმენტისთვის „საყვარელი ბავშვები“ არიან, მათი ცნობიერება კვლავ ნაკლო-

ვანია, ამდენად „ახალი მუშათა კლასის“ გამოხატვის ფორმები მოუმწიფებელი.

მეორე მხრივ, მე ძირითადად მსურს ვისაუბრო სტუდენტურ ოპოზიციაზე, ამ სიტყვის ფართო გაგებით, ე.წ „გაგდებულების“ ჩათვლით. რამდენადაც შემიძლია წარმოგიდგენთ იმ გვიანდელ განსხვავებას, რაც არსებობს ამერიკულ და გერმანულ სტუდენტურ მოძრაობებს შორის. ამერიკაში სტუდენტთა ის ნაწილი, რომელიც აქტიურადაა ჩართული ოპოზიციურ საქმიანობაში, წყვეტს სწავლას და მათი მთელი დრო აქტივიზმს ეთმობა. ეს, რა თქმა უნდა, საფრთხის შემცველია, მაგრამ აქვს დადებითი მხარეებიც. მე სტუდენტურ ოპოზიციას განვიხილავ სამი კატეგორიის მიხედვით. პირველი, ალბათ ვიკითხავთ რას, ან ვის მიემართება ეს ოპოზიცია? მეორე, როგორია მისი ფორმები? მესამე, რა მომავალი და პერსპექტივა აქვს სტუდენტურ აქტივიზმს?

პირველი კითხვა საკმაოდ სერიოზულია, რადგანაც ოპოზიცია მოქმედებს იმ არეალში, რომელშიც დემოკრატიული ინსტიტუციები გამართულად მუშაობენ. მეტიც, შტატებში ის უმრავლესობის წინააღმდეგ ილაშქრებს, მათ შორის, მუშათა კლასის წინააღმდეგაც კი. ეს ოპოზიცია მიემართება სისტემის ყველაზე თვალსაჩინო სიამოვნებებს, რომლებიც, არაადამიანური გზით, რეპრესიულად და დესტრუქციულად ეწევიან ყველაფრის დეგრადირებას. სისტემა სასაქონლო სტატუსით ასაღებს ადამიანებს საარსებო საშუალებებსა და ცხოვრების შინაარსს, ხოლო ოპოზიცია იბრძვის სისტემის ფარისევლური მორალისა და ღირებულებების, მეტროპოლიების მიღმა არსებული ტერორის წინააღმდეგ. თავდაპირველად ოპოზიცია სისტემას აკრიტიკებდა სამოქალაქო უფლებებისა და ვიეტნამში მიმდინარე ომის გამო. სამოქალაქო უფლებების დაცვის ნაწილში ჩრდილოეთში არსებული სტუდენტების ნაწილი, სამხრეთში გადავიდა, რათა შავკანიანებს, ხმის მიცემის უფლების დაცვაში დახმარებოდნენ. ეს ხდებოდა მაშინ, როცა ამ ადამიანებმა დაინახეს, თუ რეალურად რას წარმოადგენს ეს დემოკრატიული სისტემა, ისინი

ხედავდნენ, თუ როგორ დადიოდნენ დაუსჯელად შავკანიანების მკვლელები. სწორედ ამ გარემოებებმა და ტრავმატულმა გარემომ განაპირობა ოპოზიციის აქტივობა ამერიკის შეერთებულ შტატებში. მეორე მხრივ, რა თქმა უნდა, ვიეტნამის ომი იყო წინააღმდეგობის მოძრაობის გაზრდის საბაბი. სტუდენტებისთვის ომი ამჟღავნებდა საზოგადოების არსს, ექსპანსიისა და აგრესიის თანდაყოლილ სურვილს, იმ სიუხეშეს, რომლებსაც ისინი ეწეოდნენ გამათავისუფლებელი მოძრაობების მიმართ.

სამწუხაროდ, მე არ მაქვს ბევრი დრო, რათა განვიხილო იყო თუ არა ვიეტნამის ომი იმპერიალიზმის გამოვლინება. მიუხედავად ამისა, მე მინდა მცირე დაკვირვება გავაკეთო ამ საკითხზე, რადგან პრობლემა აშკარაა. თუ იმპერიალიზმს განვიხილავთ ძველი გაგებით, რომელიც გულისხმობს ბაზრების გაფართოებისთვის ბრძოლას, მაშინ ეს არ ყოფილა იმპერილიზმის გამოვლინება. 1967 წლის 7 ივლისს „Newsweek"-ში გამოქვეყნდა სტატია, რომელშიც შეგეძლოთ წაგეკითხათ, რომ ვიეტნამში კონცენტრირებულია 20 მილიარდი დოლარის ღირებულების ბიზნესი და ეს რიცხვი ყოველდღიურად მატულობს. მიუხედავად ამისა, ვერ ვხედავ საჭიროებას განვსაზღვრო იმპერიალიზმის ახალი გაგება, რომელიც წამყვანი ამერიკელი მიმომხილველებისთვის, უკვე გაცხადებული რამაა. ვიეტნამის ომის მიზანი იყო, მნიშვნელოვანი ეკონომიკური და სტრატეგიული არეალების, კომუნისტების კონტროლის ქვეშ დაქვემდებარებისგან თავიდან აცილება. ვიეტნამის საკითხი მნიშვნელოვანია ზოგადად ეროვნულ-გამათავისუფლებელი ბრძოლისათვის, რადგან მათი წარმატება შესაძლოა ყოფილიყო სიგნალი სხვა მოწყვლადი არეალებისთვის, რომლებიც უფრო ახლოს იყვნენ მეტროპოლიებთან და სადაც გიგანტური ინვესტიციების განხორციელების უფრო მეტი შესაძლებლობა არსებობდა. თუ ვიეტნამის საკითხი უბრალო საგარეო პოლიტიკის ნაწილი არაა და ის უფრო მეტად სისტემის არსს ააშკარავებს, მაშინ ეს შეიძლება იყოს შემომაბრუნებელი წერტილი ამ სისტემის განვითარების

პროცესში, ეს შეიძლება იყოს დასასრულის დასაწყისი. გარემოებებიდან გამომდინარე შეიძლება ითქვას, რომ ადამიანის ნებამ და მისმა სხეულმა, თავისივე საბრალო იარაღით, შესაძლოა დესტრუქციის ყველაზე ეფექტური სისტემა გამუდმებით შეინარჩუნოს. ეს სიახლეა მსოფლიოს ისტორიისთვის.

ახლა დროა მეორე კითხვასაც მივუბრუნდე განსახილველად, სახელდობრ ოპოზიციის ფორმებს. ჩვენ ვსაუბრობთ სტუდენტურ ოპოზიციაზე, და მე მსურს თავიდანვე განვაცხადო, რომ ჩვენ ვერ გავუმკლავდებით უნივერსიტეტის პოლიტიზირებას, უნივერსიტეტი უკვე პოლიტიზირებულია. საჭიროა იმაზე ფიქრი, თუ როგორ ვრცელდება საბუნებისმეტყველო მეცნიერებანი, მაგალითად ისეთი აბსტრაქტული დისციპლინა, როგორიცაა მათემატიკა, წარმოებასა და სამხედრო სტარტეგიაში. საჭიროა მხოლოდ იმაზე ფიქრი, თუ როგორ არიან დამოკიდებულნი სამთავრობო დაფინანსებაზე ისეთი დარგები, როგორებიცაა ფსიქოლოგია და სოციოლოგია, თუ როგორ გახდნენ ეს დისციპლინები ადამიანების კონტროლის და ბაზრის რეგულირების ასპექტებში ჩაბმულნი. ამ ვითარების გათვალისწინებით, ჩვენ უკვე შეგვიძლია თამამად ვთქვათ, რომ უნივერსიტეტი უკვე პოლიტიკური ინსტიტუციაა, ხოლო სტუდენტური ოპოზიციის საქმიანობა, უნივერსიტეტის დეპოლიტიზირების მცდელობაა. ამასთან პოზიტივისტების ნეიტრალიტეტი, ფსევდო-ნეიტრალიტეტია, აუცილებელია კურიკულუმის მომარაგება ინტელექტუალური დისკუსიებით, მისი კრიტიკისათვის. სწორედ ეს გარემოებებია იმის მიზეზი, რომ სტუდენტების მთავარი მოთხოვნა სასწავლო გეგმის რეფორმირებას ეხება, კრიტიკული აზროვნება და ცოდნა მთლიანად აგებულია ინტელექტუალურ დისკუსიებზე და არა აგიტაციასა და პროპაგანდაზე. სადაც ამ კრიტიკული დისკუსიების შესაძლებლობა არ არის, დაფუძნებულია ე.წ „თავისუფალი უნივერსიტეტები“ და „კრიტიკული უნივერსიტეტები“, ისინი არსებობენ უნივერსიტეტს გარეთ, მაგალითად, ბერკლიში, სტემფორდში და აღმოსავლეთის სხვა დიდ უნივერსიტეტებში. ამ ე.წ „თავისუფალ

უნივერსიტეტებში“ სასწავლო კურსები და სემინარები მიემართებიან ისეთ საკითხებს, რომლებიც არ ემთხვევიან რეგულარულ სასწავლო გეგმას, მაგალითად მარქსიზმი, ფსიქოანალიზი, საგარეო პოლიტიკა ცივი ომის პერიოდში და ა.შ.

მეორე ფორმა სტუდენტური ოპოზიციისა, წარმოგვიდგება ე.წ „teach-ins“,[1] „sit-ins“,[2] „be-ins“,[3] „love-ins“[4] სახით. ასევე მსურს ყურადღება გავამახვილო იმ მრავალფეროვნებასა და ემოციურ ფენომენზე, რომელიც არსებობს ამ სახის ოპოზიციის შიგნით: კრიტიკული სწავლა და სწავლება, ერთი მხრივ შეიძლება მიმართული იყოს მხოლოდ თეორიისკენ, მაგრამ მეორე მხრივ ის მიემართებოდეს ეგზისტენციალური კომუნის მდგომარეობას, მსურს შევეხო ნახსენები ემოციური ფენომენის მნიშვნელობასაც, რადგან, ჩემი აზრით, ის გამოხატავს პოლიტიკური და სექსუალურ-მორალური ამბოხის ნარევს, რაც საკმაოდ მნიშვნელოვანი ფაქტორია აშშ-ში. ეს მდგომარეობა თავის ხილულ გამოვლინებას ჰპოვებს დემონსტრაციებზე, შეუიარეღებელ დემონსტრაციებზე, შესაბამისად ასეთ შეკრებებზე არ უნდა ველოდოთ ექსესებს. კონფრონტაციების ძებნა შენი ეგოს დაკმაყოფილებისათვის, არასაჭიროა, მეტიც უპასუხისმგებლობაცაა. დაპირისპირებები არსებობს. მათი გაზრდა არ ხდება, ხოლო ხელოვნური გზების გამონახვის პროცესი, გააყალბებს ოპოზიციის საქმიანობას. დღეს

---

[1] Teach-ins-ის კონცეფცია შეიქმნა 1965 წელს. 1965 წლის 17 მარტს, მიჩიგანის უნივესრიტეტში დაახლოებით 50 ფაკულტეტის სტუდენტი ესწრებოდა სემინარს, რომელიც მიმართული იყო ვიეტნამის ომის წინააღმდეგ. Teach-ins არის არაფორმალური ლექცია-დისკუსიები საჯარო ინტერესის ობიექტის შესახებ.

[2] პროტესტის ფორმა, რომლის დროსაც დემონსტრაციის მონაწილეები იკავებენ ადგილს და არ ტოვებენ მას მანამ, სანამ მათი მოთხოვნები არ შესრულდება.

[3] შეკრება, რომელიც გაიმართა 1967 წლის 14 იანვარს, სან-ფრანცისკოში. შეკრების მონაწილენი ითხოვდნენ კულტურულ და პოლიტიკურ დეცენტრალიზაციას, კომუნალურ ცხოვრების ტიპს.

[4] შეკრება ან წვეულება, სადაც ადამიანები ღიად გამოხატავენ თავიანთ გრძნობებს და ფიზიკურ მიმართებებს, ასოცირდება ჰიპების მოძრაობასთან.

ისინი თავდაცვით პოზიციაში არიან და არა პირიქით. ხშირად იძაბება ვითარება იმ აქციებზე, რომლებიც ვიეტნამის ომს ეხება, დემონსტრანტები მიდიან სამხედრო დაწესებულებებთან, ახდენენ მათ პიკეტირებას, ამ ქარხნებში ასაფეთქებელი და სხვადასხვა ქიმიური ნივთიერება მზადდება. ეს დემონსტრაციები ორგანიზებულია და ისინი ლეგალურია. უპირისპირდება თუ არა ეს დემონსტრაციები იმ ინსტიტუციურ ძალადობას, რომელიც ოპოზიციის წინააღმდეგ ილაშქრებს? ჩემი პასუხი ამერიკის ვითარებიდან გამომდინარეობს, მაგრამ თვითონაც მარტივად შეგიძლიათ დასკვნის გამოტანა. ეს დემონსტრაციები არ იქნება კონფრონტაციული ხასიათის მანამ, სანამ ისინი რჩებიან ლეგალისტურ ჩარჩოებში. როდესაც დემონსტრანტები ამ გზით მიდიან, თავიანთ თავს უქვემდებარებენ იმ ინსტიტუციურ ძალადობას, რომელიც ავტონომიურად განსაზღვრავს კანონიერების ჩარჩოს და მას შეუძლია ეს საზღვრები სულის შემხუთველ მინიმუმამდე დაწიოს. მაგალითად ისეთი კანონის მიღებით, რომელიც კრძალავს კერძო და სახელმწიფოს საკუთრებაში არსებული დაწესებულებების ტერიტორიაზე გადაადგილებას, „სიმშვიდის დარღვევას“ და ა.შ. შესაძლოა ამჟამად კანონიერად მიჩნეული სრულიად მშვიდობიანი დემონსტრაცია, რამდენიმე წუთში არაკანონიერად აქციონ, თუ ის შემაწუხებელია საზოგადოებრივი სიმშვიდისათვის, ან თუ დემონსტრანტები გადალახავენ კერძო საკუთრების საზღვარს. ამ შემთხვევაში კონფრონტაცია გარდაუვალია სახელმწიფო ძალასთან და ინსტიტუციურ ძალადობასთან, თუ დაპირისპირება არ შედგება, მაშინ ოპოზიცია გადაიქცევა უვნებელ რიტუალად, ცნობიერების საწოვარად და მოწმედ უფლებებისა და თავისუფლებების მოპოვებისთვის ბრძოლის პროცესში, ხოლო ეს ვითარება ხელს შეუწყობს სტატუს-ქვოს შენარჩუნებას. ჩემს მიერ ხსენებული გარემოებები უკვე გამოსცადეს სამოქალაქო უფლებებისთვის მებრძოლებმა, რომ სისტემა მოძალადეა და მის წინააღმდეგ კანონიერი ჩარჩოებით ბრძოლა, საკმაოდ პრობლემატურია. როდესაც სისტემა იგრძნობს,

რომ სტუდენტების ოპოზიციაც მათთვის საფრთხეა, სტუდენტებიც თავიანთ თავებზე გამოსცდიან ძალადობას. შემდეგ ოპოზიცია ფატალური გადაწყვეტილების წინაშე დგას: იმოქმედოს რიტუალური დატვირთვით, თუ იმოქმედოს როგორც გამათავისუფლებელმა ან გამოაცხადოს სამოქალაქო დაუმორჩილებლოება.

მსურს რამდენიმე სიტყვა მაინც ვთქვა წინააღმდეგობის უფლებაზე, რადგან, როდესაც ამ ფაქტს აღვიქვამ, მე ისევ და ისევ მაოცებს ის, თუ რა მცირედ შეაღწია ამ ცნებამ ადამიანების ცნობიერებაში, სახელდობრ სამოქალაქო დაუმორჩილებლობამ, რომელიც ძველი და ყველაზე წმინდა ელემენტია დასავლური ცივილიზაციისთვის. ამგვარი უფლების იდეა აღემატება პოზიტიურ სამართალს და ეს კონცეფცია ისევე ძველია, როგორც ცივილიზაცია. ოპოზიციის ფორმირების პროცესში ამ უფლებათა კონფლიქტს, ადგილი ყოველთვის აქვს. სისტემას ყოველთვის აქვს ლეგალური უფლება მიმართოს პოზიტიურ სამართალს და ძალადობას, ის ამ საკითხში მონოპოლისტია, ის მიმართავს ძალადობას თავისივე თავის დასაცავად. წინააღმდეგობის უფლების ცნობას, დიდი გარჯა დასჭირდა და სწორედ ეს პროცესი იყო მთავარი მოტივატორი თავისუფლების ისტორიული განვითარებისა. წინააღმდეგობის უფლების გარეშე, ჩვენ ისევ პრიმიტიული საზოგადოებრივი მოწყობის ფორმაში ვიცხოვრებდით. აქვე, ვფიქრობ, რომ ძალადობა მოიცავს ორ ფორმას: ძალადობა ვლინდება სტრუქტურული, ინსტიტუციონალური გზით, რომელიც სისტემის დაფუძნებულია და ძალადობა გათავისუფლებისთვის, რომელიც აპრიორი არაკანონიერია პოზიტიური სამართლის კუთხით. თქმა არ სჭირდება იმას, რომ არც ერთი სისტემა, მის წინააღმდეგ მიმართულ ძალადობას კანონიერად არასოდეს მიიჩნევს. ყველა ამ ფორმის ფუნქციაა კონფლიქტი სხვასთან. არსებობს ჩამხშობი და გამათავისუფლებელი ძალადობა. არსებობს ძალადობა განკუთვნილი სიცოცხლის დაცვისათვის და არსებობს ძალადობა აგრესიისათვის. ორივე ტიპის ძალადობა ისტორიის კუთვნილებაა. ასე, რომ ოპოზიცია

ყოველთვის ძალადობის სარჩულ ქვეშ ფორმირდება. უფლება დგას უფლების პირისპირ, არა როგორც აბსტრაქტული რამ, არამედ როგორც რეალური ქმედება. განვმეორდები, რომ სტატუს-ქვოს აქვს შესაძლებლობა განსაზღვროს კანონიერების ჩარჩოები. წინააღმდეგობის უფლებასა და ინსტიტუციურ ძალადობას შორის არსებულ კონფლიქტი, სისტემას საფრთხეს მოუტანს იმ შემთხვევაში, თუ წინააღმდეგობის უფლებისთვის მებრძოლნი შეუპირისპირდებიან დადგენილ ნორმებს და თუ ძალაუფლების მიერ შეწირული მსხვერპლის რაოდენობა, ზოგიერთ რევოლუციას გადააჭარბებს. იმის ქადაგება, რომ ძალადობა ცუდია, ხელს უწყობს არსებული სისტემის კვლავწარმოებას. მონოპოლისტურ ინდუსტრიულ საზოგადოებაში კი, ეს ძალადობა უპრეცენდენტო რაოდენობით კონცენტრირებულია იმ დომინაციაში, რომელიც ტოტალურად იჭრება საზოგადოებაში. ამ ტოტალურობის გათვალისწინებით გათავისუფლების უფლება მოსჩანს განცალკევებულ რამედ. ამგვარად, კონფლიქტი ძალადობის ორ ტიპს შორის, წარმოჩინდება როგორც განცალკევებულ და ზოგად, ან საზოგადო და კერძო ძალადობების ბრძოლად. ამ ბრძოლაში კერძო ძალადობა დამარცხდება იქამდე, სანამ ის არ შეძლებს, რომ არსებული საზოგადო ძალა, ზოგად ინტერესად გარდასახოს.

იქამდე სანამ ოპოზიციას არ ექნება იმის ძალა, რომ საკუთარი ინტერესები საზოგადო გახადოს, ძალადობის პრობლემა, პირველ რიგში იქნება ტაქტიკური პრობლემაც. შესაძლებელია, რომ ძალაუფლებასთან კონფრონტაციისას, რომელშიც წინააღმდეგობის გამომწვევი ძალა მარცხდება, გარკვეულ შემთხვევებში ძალაუფლების ძალთა ბალანსი ოპოზიციის სასარგებლოდ შეიცვალოს? ამ საკითხის განხილვისას ხშირად ერთი და იმავე არგუმენტებს გვეუბნებიან, რომლებიც არასწორია, სახელდობრ ის, რომ ამგვარი კონფრონტაციისას ოპონენტი ძლიერდება. მეორე მხარე, შეიძლება კონფრონტაციის გარეშეც გაძლიერდეს. როდესაც ოპოზიცია აქტიურია ასეთი ფაქტები ყოველთვის ხდება,

მაგრამ მთავარია ოპონენტი გარდამავალ ფაზაში არ გარდაიქ-მნას. ვითარების ევოლუცია, დამოკიდებულია კონფრონტაციათა შემთხვევებზე და განსაკუთრებით იმ საგანმანათლებლო პროგ-რამებისა და სოლიდარობის წარმატებაზე, რომელიც სისტემა-ტურად აღკვეთადია. შემიძლია ამერიკის შეერთებული შტატების მაგალითი მოვიყვანო. ოპოზიციამ ვიეტნამის წინააღმდეგ ომი აღიქვა, როგორც თავისუფლებისა და სიცოცხლის წინააღმდეგ გალაშქრება, ამ ფაქტორმა გავლენა იქონია მთელ საზოგადოებ-აზე და ეს ამართლებს ტოტალური თავდაცვის უფლებას. მოსახ-ლეობის უმრავლესობა მაინც მხარს უჭერს ვიეტნამის ომსა და მთავრობის ქმედებებს, პარალელურად კი, ოპოზიცია მხოლოდ დიფუზიურად და ლოკალურად ორგანიზდება. ოპოზიციის ქმედე-ბათა ფორმა, რომელიც ჯერ კიდევ კანონიერია, სპონტანურად გარდაიქმნება სამოქალაქო დაუმორჩილებლობად, რომელიც მიემართება სამხედრო სამსახურზე უარის თქმას და ამ უარის ორგანიზებას. ეს კი, უკვე არაკანონიერად მიიჩნევა, რაც მდგო-მარეობას კიდევ უფრო ამწვავებს. სხვა მხრივ, დემონსტრაციებს თან ახლავს საგანმანათლებლო საქმიანობა და ამ პროცესმა უკვე სისტემატიური ხასიათი მიიღო. ეს არის საზოგადოებრივი საქმიანობა(community work). სტუდენტები დადიან ღარიბ და-სახლებებში იმისათვის, რათა იქ მაცხოვრებლებს გაესაუბრონ, პირველ რიგში აღმოუფხვრან ისეთი პრიმიტიული და ელემენ-ტარული პრობლემები, როგორიცაა ანტისანიტარიისა და ჰიგი-ენის საკითხები. ეს სტუდენტები იღწვიან იმისათვის, რათა ამ ადამიანებს დაეხმარონ მატერიალური პრობლემის გადაწყვეტა-ში, მაგრამ ყველაზე მთავარი, ამ დასახლებებში, პოლიტიკური ცნობიერების გაღვიძების საკითხია. ამგვარი საგანმანათლებლო საქმიანობას ისინი მხოლოდ ღარიბ დასახლებებში არ ეწევიან, ასევე არსებობს ცნობილი „doorbell-ringing campaign“, რომელიც მოიცავს დისკუსიებს დიასახლისების პრობლემების გარშემო და თუ ქმრებიც სახლში არიან, მათ პრობლემებსაც განიხილავენ. არჩევნების წინ ეს პროცესი საკმაოდ მნიშვნელოვანია. მინდა

ავღნიშნო ფაქტი, რომ უმეტესად ქალებისთვის უფრო მისაღებია ადამიანური არგუმენტები, ვიდრე კაცებისათვის. ეს იმიტომ ხდება, რომ ქალები ჩართულნი არიან უფრო შრომატევად და რუტინულ საქმიანობაში. იქნება სტუდენტების ეს ძალისხმევა წარმატების მომტანი? წარმატება დამოკიდებულია ხმათა იმ რაოდენობაზე, რომლებსაც ე.წ „მშვიდობის კანდიდატები“ მიიღებენ ადგილობრივ და ფედერალურ არჩევნებში.

დღესდღეობით ოპოზიციური ძალები მიუბრუნდნენ თეორიულ ბაზისებს, ეს პროცესი საკმაოდ მნიშვნელოვანია ახალი მემარცხენეებისათვის, როგორც ავღნიშნე, ისინი შეეჭვებულნი არიან ძველ იდეოლოგიაში. მწამს, რომ ეს პროცესი უფროდაუფრო ხილული გახდება, სისტემის ცვლილებას აუცილებლად სჭირდება თეორიული ცოდნის დაგროვება. ამერიკის შეერთებულ შტატებში მყოფი სტუდენტები, ცდილობენ არა მხოლოდ საზღვრების გავლებას ძველ და ახალ მემარცხენეებს შორის, არამედ ნეო-მარქსისტული ხედვიდან თანამედროვე კაპიტალიზმის კრიტიკასაც.

ოპოზიციის საქმიანობის ბოლო ასპექტი, რომელზეც მსურს ყურადღება გავამახვილო, პროტესტის ახალი განზომილებაა, სახელდობრ, ის შედგება მორალურ-სექსუალური და პოლიტიკური მეამბოხეობის ნაზავისაგან. მსურს დაგიხატოთ ნათელი სურათი იმისა, რისი შემსწრეც მე პირადად ვარ და ვფიქრობ, ეს დაგანახებთ განსხვავებას შტატების სიტუაციასა და გერმანიაში მიმდინარე პროცესებს შორის. ეს ეხება უდიდეს ანტისაომარ დემონსტრაციას, რომელიც ბერკლიში გაიმართა. პოლიციამ დემონსტრაციის ჩატარების ნებართვა გასცა, თუმცა ოკლენდის სამხედრო რკინიგზის მისასვლელები ჩაკეტეს და ამ მიმართულებით წასვლა აკრძალეს. ეს ნიშნავდა, რომ მკაფიოდ და მკაცრად განსაზღვრულ არეალს მიღმა, დემონსტრაცია უკვე არაკანონიერი გახდებოდა. როდესაც აქციის მონაწილენი ამ აკრძალული ტერიტორიის საზღვარს მიუახლოვდნენ, პოლიციამ ათი რიგისგან შემდგარი ბარიკადები აღმართა, ისინი

შეიარაღებულნი იყვნენ ხელკეტებითა და ფარებით. პროტესტანტების ნაკადი მიუახლოვდა ამ ბარიკადს, შემდეგ, როგორც ყოველთვის ხდება, ერთ-ერთმა მათგანმა დაიყვირა, რომ ისინი გაჩერებას არ აპირებდნენ, თუმცა ბარიკადების გარღვევის ნაცვლად, რასაც, რა თქმა უნდა, სისხლიანი, უმიზნო დაპირისპირება მოჰყვებოდა, დემონსტრანტებმა საწინააღმდეგო მხარეს თავიანთივე ბარიკადი აღმართეს, შესაბამისად უკნიდან წამოსულ მასას, ჯერ დემონსტრანტების კორიდორის გარღვევა მოუწევდა. ხშირად ასე არ ხდება ხოლმე, ეს არაბუნებრივი იყო. ორი თუ სამი დამზაფრავი წუთის შემდეგ, ათასობით დემონსტრანტი ქუჩაში დაჯდა, მათ ამოიღეს თავიანთი გიტარები და ჰარმონიკები, ხალხმა ერთმანეთს კისერში დაუწყო კოცნა და ამით დასრულდა დემონსტრაცია. შეიძლება ეს თქვენ სასაცილოდ მიგაჩნიათ, მაგრამ მე მჯერა, რომ ეს ყველაფერი ძალიან სპონტანურად მოხდა და ალბათ საწინააღმდეგო მხარეს არსებულ „მტერზეც“ მოახდინა გავლენა.

რამდენიმე წუთი ოპოზიციის პერსპექტივაზეც ვისაუბრებ. მე არასოდეს მითქვამს, რომ არსებული სტუდენტური ოპოზიცია ჩამოყალიბებული რევოლუციური ძალაა, არც ჰიპები მესახებიან პროლეტარების მემკვიდრეებად. მხოლოდ ეროვნულ-გამათავისუფლებელი ფრონტები არიან დღეს რევოლუციურ ბრძოლაში ჩაბმულნი. ისინი არც ეფექტურ რევოლუციურ მუქარას წარმოადგენენ მოწინავე კაპიტალისტური სისტემისათვის. ყველა ოპოზიციური ძალა დღეს არის მზაობის პროცესში, ისინი მხოლოდ და მხოლოდ მზაობის ეტაპზე არიან და მათი მდგომარეობა ნამდვილად საჭირო ფაქტორია სისტემის შესაძლო კრიზისისათვის. უფრო ზუსტად, ეროვნულ-გამათავისუფლებელი და გეტოების ამბოხი უწყობს ხელს სისტემის კრიზისს, არა მხოლოდ სამხედრო მიმართულებით, არამედ პოლიტიკური და მორალური მიმართულებებითაც. ამ კრიზისისთვის შემზადებამ და მისმა პოტენციალმა, შესაძლოა უფრო რადიკალური გახადოს მუშათა კლასი. მაგრამ ჩვენ არ უნდა ვიყოთ ილუზიაში, შესაძლოა ეს

რადიკალიზება მემარცხენე მიმართულებით არ წარიმართოს და ეს საკითხი დრესაც ღიაა. ჯერ-ჯერობით არ არის დაძლეული ფაშიზმისგან და ნეო-ფაშიზმისგან მომდინარე მწვავე საფრთხე.

მე ვისაუბრე შესაძლო კრიზისზე, სისტემის პოტენციურ კრიზისზე. პროცესები, რომლებიც ამ კრიზისის ხელშემწყობია, დეტალურად უნდა გაანალიზდეს. ვფიქრობ, რომ ჩვენ ეს კრიზისი უნდა განვიხილოთ, როგორც შესართავი, განსხვავებული ობიექტური და სუბიექტური ტენდენციებისა. ეს ეხება ეკონომიკას, პოლიტიკას და მორალის ბუნებას, როგორც აღმოსავლეთში, ისე დასავლეთშიც. ოპოზიციური ძალები ჯერ არ გაერთიანებულან სოლიდარობის ბაზისის ირგვლივ. განვითარებული კაპიტალისტური წეს-წყობილების ქვეყნებში, ისინი დიდი მხარდაჭერით არ სარგებლობენ. ამერიკაში არსებული გეტოებიც კი, პოლიტიზირების საწყის ეტაპზე არიან. ამ მდგომარეობის გათვალისწინებით, მეჩვენება, რომ ოპოზიციის ამოცანა, ამ ეტაპზე, გარკვეული სოციალური ჯგუფების ცნობიერების გათავისუფლებაა. ფაქტია, რომ დღეს ყველას სიცოცხლე რისკის ქვეშაა, და დღეს ყველა დომინაციის ქვეშ არსებობს. ყველამ უნდა შეიცნოს სისტემის საშინელი პოლიტიკა, რომელიც თავისი რეპრესიული მექანიზმით ტოტალურ განადგურებას გვიქადის. უნდა გავაცნობიეროთ, რომ მისაწვდომი საწარმოო ძალები გამოიყენება ექსპლოატაციისა და რეპრესიის მაკვლამწარმოებლად და ე.წ თავისუფლაი მსოფლიო, თვითონვე აღჯურვავს თავისივე თავს, სამხედრო და პოლიციური ძალის დიქტატურით, რათა დაიცვას ჭარბი პროდუქცია. სხვა მხრივ, ეს პოლიტიკა ვერანაირი გზით ვერ გაამართლებს ტოტალიტარიზმს, რომლის წინააღმდეგაც ბევრის თქმა შეგვიძლია. მაგრამ ეს ტოტალიტარიზმი არის ექსპანსიური და აგრესიული, ის ნაკარნახევია სიღარიბისგან. ეს გარემოება არ ცვლის იმ ფაქტს, რომ მის წინააღმდეგ უნდა ვიბრძოლოთ, მაგრამ, რა თქმა უნდა, მემარცხენე ხედვიდან.

ცნობიერების გათავისფულება, რომელზეც მე ვისაუბრე, მეტია ვიდრე უბრალოდ განხილვა. ამ ვითარებაში ეს ნიშნავს და

უნდა ნიშნავდეს, დემონსტრირებას, ამ სიტყვის სრული გაგებით. ყველამ უნდა გამოხატოს ნება სიცოცხლისაკენ, უნდა შეძლოს ნების დემონსტრირება, რათა იცხოვროს მშვიდობიან, ადამიანურ მსოფლიოში. სისტემა მობილიზებულია ამ შესაძლებლობის წინააღმდეგ. ასევე უნდა ითქვას, რომ მავნებელია ილუზიების ქონა, ის იმაზე მეტი ზიანის მომტანია, ვიდრე შეიძლება იყოს ნების არქონა, ან ფატალიზმი, რომლებიც მხოლოდ და მხოლოდ სისტემის წისქვილზე ასხამენ წყალს. ჩვენ ვიპოვეთ საკუთარ თავებში ძალა, რათა შევბრძოლებოდით ფაშისტურ სისტემას, უსარგებლო ომები და დესტრუქციული ქმდებები სისტემის შინაგანი წინააღმდეგობების მანიფესტაციაა. ასეთი სისტემა არ არის იმუნური. ის უკვე თავს იცავს ოპოზიციისაგან და ინტელექტულებისაგან, რომლებიც მსოფლიოს ყველა კუთხეში გვხვდება. და თუ მაინც ვერ დავინახავთ ტრანსფორმაციას, უნდა გავაგრძელოთ ბრძოლა. ჩვენ უნდა გავთავისუფლდეთ და შევეწინააღმდეგოთ თუ გვსურს ვიცხოვროთ როგორც ადამიანებმა, რათა ვიმუშავოთ და ვიყოთ ბედნიერები. სისტემასთან ალიანსი კი ამის გაკეთების უნარს გვიხშობს, მასთან ალიანსი ამ გზიდან გადახვევაა.

სტამბა დამანი
Print House Damani

თბილისი, პ. ჩანჩიბაძის ქუჩა 6
☎ 214 34 01, 577 33 38 57
stamba.damani@gmail.com
f სტამბა დამანი / Print House Damani